

International Alert.

# სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება

ჩინეთი-ტაივანის, სერბეთ-კოსოვოსა და  
კვიპროსის მაგალითები



Understanding conflict. Building peace.



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra



THIS INITIATIVE IS FUNDED  
BY THE EUROPEAN UNION



## International Alert (“ინტერნეიშენელ ალერტ“-ის შესახებ

International Alert ეხმარება ადამიანებს, კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.

ჩვენ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მშვიდობის მშენებელი ორგანიზაცია ვართ, მშვიდობის დამყარების და განმტკიცების თითქმის ოცდაათწლიანი გამოცდილებით.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვთანამშრომლობთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ვეხმარებით რა მშვიდობის დამყარებაში, ასევე, კონსულტაციებს ვუწევთ მთავრობებს, ორგანიზაციებსა და კომპანიებს მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში.

ჩვენი ძალისხმევა მიმართულია მშვიდობის განმაპირობებელ საკითხებსაკენ, როგორცაა მმართველობა, ეკონომიკა, გენდერული ურთიერთობები, საზოგადოებრივი განვითარება, კლიმატის ცვლილება და მაღალი საფრთხის ადგილებში ბიზნესისა და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

**[www.international-alert.org](http://www.international-alert.org)**

მოცემული ნაშრომი შეიქმნა ევროკავშირის, კონფლიქტების ბრიტანული ფონდისა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის მხარდაჭერით. „ინტერნეიშენელ ალერტი“, მაღლიერებას გამოხატავს ჩვენი დონორების - დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის (UKAID), შვედეთის საერთაშორისო განვითარების საკითხებში თანამშრომლობის სააგენტოს, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირლანდიის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის დეპარტამენტის მიმართ.

© International Alert 2015

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია მოცემული ნაშრომის ნებისმიერი ნაწილის გამოყენება, შენახვა საინფორმაციო-საძიებო სისტემის ფარგლებში ან გადაცემა ნებისმიერი, ელექტრონული, მექანიკური, ფოტო, ჩანაწერისა თუ სხვა საშუალებით ავტორისა და წყაროს სრულფასოვანი მითითების გარეშე.

დაკაბადონება და გაფორმება: D. R. ink

თარგმანი: გ.ლაშვი

# სადავო საზღვრების გავლით მიმდინარე ვაჭრობის რეგულირება

ჩინეთი-ტაივანის, სერბეთ-კოსოვოსა და  
კვიპროსის მაგალითები

2015 წლის აპრილი

ავტორი და რედაქტორი: ნატალია მირიმანოვა

ავტორები და თანავტორები: პრედრაგ ბიელიჩი, ქემალ ბაიკალი, იაო  
მინ ჰსუ, შპენდ კურსანი, ლეონიდას პასქალიდეს, ბერატ თაქი

## სარჩევი

ავტორების შესახებ	3
შეჯამება	5
შესავალი	9
თეორიული საფუძვლები	9
ჩინეთისა და ტაივანის ეკონომიკური თანამშრომლობა	14
შესავალი	14
სამართლებრივი საფუძვლები	15
ეკონომიკური თანამშრომლობა	20
დასკვნა: ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში და მის მიღმა	28
ვაჭრობა სერბეთსა და კოსოვოს შორის	30
შესავალი	30
საქონლებზე სერბეთსა და კოსოვოს შორის	33
სერბეთის მიერ კოსოვოს მიმართ გამოყენებული სავაჭრო რეჟიმი *	39
კოსოვო-სერბეთი: ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების საკითხები	48
შესავალი	48
კოსოვო გაეროს ადმინისტრაციის პერიოდში	49
დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი პერიოდი	52
მოდელის ძიება: ევროკავშირის ეგიდით შემდგარი მოლაპარაკებები კოსოვოსა და სერბეთს შორის	54
განხორციელებადი შეთანხმება	58
შეჯამება	60
კვიპროსი: რეგულაცია «მწვანე ხაზის» შესახებ	61
კვიპროსის სავაჭრო პალატა	61
თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატა	66
დასკვნა	74

## ავტორების შესახებ

**პრედრაგ ბიელიჩი** – ბელგრადის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორია. იგი საერთაშორისო ვაჭრობას, ევროკავშირის ეკონომიკასა და ელექტრონულ კომერციას ასწავლის. მისი სპეციალიზაცია საერთაშორისო ვაჭრობაა, გარდა ამისა, ბ-ნი ბიელიჩი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციისა (WTO) და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ექსპერტია. ბ-ნი ბიელიჩი, ასევე მუშაობდა იუგოსლავიის ცენტრალურ ბანკში; მოწვეული პროფესორის სტატუსით, ბელგრადის პოლიტიკისა და ეკონომიკის საერთაშორისო ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციას კურსებს მრავალ სერბულსა თუ საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებაში; მუშაობდა მოწვეულ მეცნიერ-მუშაკადლონდონის ეკონომიკის სკოლასა და ჰარვარდის უნივერსიტეტში; პრედრაგი წამყვანი სერბული კონსალტინგური კომპანიების კონსულტანტია და სამეცნიერო და სხვა გამოცემებში გამოქვეყნებული რამდენიმე წიგნის, ნაშრომისა და 70-ზე მეტი სტატიის ავტორი.

**ქემალ ბაიკალი** – თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატის გენერალური მდივნის მოადგილეა საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში. 2008 წლის შემდგომ, ბ-ნი ბაიკალი ახორციელებს პალატის ურთიერთობის კოორდინირებას ევროკავშირის სტრუქტურებთან, ასევე, ჩართულია თემთა შორის კომერციული თანამშრომლობის კოორდინირების საკითხებში კუნძულზე მიმდინარე სამშვიდობო პროცესის მხარდასაჭერად. როგორც კომუნიკაციის სფეროს დამოუკიდებელი კონსულტანტი მონაწილეობდა კომპანია Deloitte-ის მიერ ტუნისის პალატების გასაძლიერებლად მიმართული პროგრამის განხორციელებაში. სავაჭრო პალატაში მოსვლამდე, ქემალი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თანამშრომელი გახლდათ, «კვიპროსის ეკონომიკური ზრდის საპარტნიორო პროგრამის» ფარგლებში. თანადროულად, ახორციელებდა ორივე თემისთვის საერთო პროექტებს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დაფინანსებით. 2011 წელს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მივლინებით აკვირდებოდა საპარლამენტო არჩევნებს კოსოვოში.

**იაო-მინ ჰსუ** – ტაიპეის ჩენ-ჩის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. იაო-მინის კვლევების ძირითადი მიმართულებაა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წესები და რეგონალური ეკონომიკური ინტეგრაცია, ევროკავშირის სამართალი, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და საერთაშორისო კერძო სამართალია. იაო-მინი რამდენიმე სამეცნიერო და სხვა გამოცემისთვის დაწერილი სტატიის ავტორია, ის ასევე ავტორია კიოტოს ოქმის და იმ თავის, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო ვაჭრობის ორგანიზაციას. მას ეკუთვნის ასევე ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიის მიერ, ბოლო დროს გამოცემული ნაშრომი, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართლის აღსრულებას. იაო-მინი ტაივანის ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრისა და ფრანგული Aix-Marseille Université-ის სამართლის მაგისტრის ორი და სამართლის დოქტორის წოდების მფლობელია.

**შპენდ კურსანი** – ღია საზოგადოების ფონდის მეცნიერია, კოსოვოს უნივერსიტეტის უნივერსალური კოლეჯის საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის კურსის ლექტორ-ასისტენტი და კოსოვოს უსაფრთხოების საკითხების შემსწავლელი ცენტრის (KCSS) მკვლევარი მეცნიერ-თანამშრომელი. კოსოვოს პოლიტიკური კვლევებისა და განვითარების ინსტიტუტის უფროს მკვლევარად მუშაობის პერიოდში, გამოცემული აქვს კოსოვოს ფუნქციონირებისა და პოლიტიკური განვითარებისადმი და სერბეთთან და სხვა საერთაშორისო აქტორებთან მისი ურთიერთობისადმი მიძღვნილი რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი. შპენდი კემბრიჯის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრია, მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე რეგიონალურ და ევროპულ სამეცნიერო კონფერენციაში.

**ნატალია მირიმანოვა** – კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-პრაქტიკოსი, რომელიც ჩართულია კონფლიქტის კვლევისა და მოგვარების საკითხებში 1993 წლიდან. მას მდიდარი გამოცდილება აქვს მიღებული ამ სფეროში რუსეთში, სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, მოლდოვაში, უკრაინაში, ბალკანეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში. გარდა ამისა, ნატალია ბრიუსელი მდებარე ევრაზიის სამშვიდობო ინიციატივად წოდებული კონსალტინგური კომპანიის დირექტორია, International Alert-ის ევრაზიული პროგრამის უფროსი მრჩეველი და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტი. მას მრავალი კვლევითი და პრაქტიკული პროექტი აქვს განხორციელებული გაეროს, ეუთოს, აგა ხანის ფონდის, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტისა და სხვა მრავალი საერთაშორისო, ეროვნული თუ ადგილობრივი ორგანიზაციის ეგიდით. ნატალია, აგრეთვე, კონფლიქტის გარდაქმნის, გარდამავალი საზოგადოების პირობებში დემოკრატიული განვითარებისადმი და მასმედიისადმი მიძღვნილი რამდენიმე წიგნის, სტატიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. იგი აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზისა და გადაწყვეტის ინსტიტუტის ფილოსოფიის დოქტორია.

**ლუონიდას პასკალიდესი** – კვიპროსის სავაჭრო და სამრეწველო პალატის (CCCI) უფროსი დირექტორი, რომელიც უძღვება საგანმანათლებლო, ევროპული პროგრამებისა და საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობათა განყოფილებებს. გარდა ამისა, ლუონიდასს აკისრია CCCI-ის ურთიერთობანი თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატასთან და, ზოგადად, თურქული კვიპროსის საკითხები. იგი წარმოადგენს კვიპროსის სავაჭრო-სამრეწველო პალატას მრავალ კომიტეტში, საბჭოში, ორგანიზაციასა და ორგანოში როგორც კვიპროსზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ლუონიდასს ჩატარებული აქვს მრავალი სემინარი და ბიზნეს-კურსი; იგი გახლავთ მრავალი ნაშრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი ისეთ საკითხებზე, როგორცაა კვიპროსის გაწევრიანება ევროკავშირში, ევრო, ევროკავშირის პოლიტიკა და კანონმდებლობა და კვიპროსის ბიზნესის საერთაშორისო ცენტრად ჩამოყალიბება.

**ბერატ თაქი** – პრიმტინის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის (GAP) მდგრადი ეკონომიკისა და სოციალური განვითარების განყოფილების უფროსი მკვლევარია, ასევე დიდი ბრიტანეთის სტაფორდშირის უნივერსიტეტის ბიზნესის ეკონომიკური ანალიზის მაგისტრი, რომელიც ღია საზოგადოების ფონდისა და Chevening-ის სტიპენდიების წყალობით მიიღო. ბერატი მუშაობდა International Alert-ის გარე მკვლევარად, სწავლობდა რა კოსოვოსა და სერბეთს შორის მიმდინარე ვაჭრობის მარეგულირებელ ნორმატიულ ჩარჩოს. ბაკალავრის წოდებით აქვს დამთავრებული პრიმტინის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი, მას მიღებული აქვს “თაობის საუკეთესო სტუდენტის” ჯილდო.

## შეჯამება

2009 წლიდან, კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების შესასწავლად International Alert-ი თანამშრომლობს რამოდენიმე აფხაზ და ქართველ ექსპერტთან სამართლისა და ეკონომიკის საკითხებში. თანამშრომლობის მიზანია, შეფასდეს ორმხრივი ეკონომიკური ინტერესების პოტენციური კონფლიქტის მოსაგვარებლად (ან დასარეგულირებლად). ჩატარებული სამუშაოს შედეგად, დღეისთვის, ოთხი ფუნდამენტური კვლევითი ანგარიში მომზადდა:

- ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება: ხედვა თითოეული სანაპიროდან (2011),<sup>1</sup> პოლიტიკური და ეკონომიკური მოვებისა და ზარალის კვლევა იმ შემთხვევაში, თუკი მოხდება ენგურზე – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფიზიკურ გამყოფ ხაზზე, – არსებული სავაჭრო კავშირების რეგულირება;
- ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების პერსპექტივები: დაინტერესებულ მხარეთა ანალიზი (2012),<sup>2</sup> რომლის ფარგლებშიც მოყვანილია ემპირიული მონაცემები და რეგულირების საკითხი ბიზნეს თანასაზოგადოებათა შორის, ასევე, მოიცავს რეკომენდაციებს, თუ როგორ შეიძლება ამგვარი რეგულირების გამოყენება კონფლიქტის გარდაქმნის უფრო ფართო დღის წესრიგის სამსახურში;
- ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგულირების საგანი (2013, ტომი I),<sup>3</sup> რომელშიც ფასდება ენგურზე გამავალი ვაჭრობის მოცულობა და განიხილება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდის ქართულ-აფხაზური ეკონომიკური კავშირების სამართლებრივი ჩარჩოები. კვლევის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკურ კავშირებს ოფიციალური მოლაპარაკებების დროს;
- ტრანს-ენგურის ეკონომიკური ურთიერთობები: რეგულირების საგანი (2015, ტომი II),<sup>4</sup> რომელშიც ფასდება ენგურზე გამავალი ვაჭრობის მოცულობა და სტრუქტურა 2013 წლის ნოემბრიდან (სოჭის ოლიმპიური თამაშების წინა პერიოდი) მოყოლებული 2014 წლის დეკემბრამდე.

ამ ნაშრომში მოცემული კვლევების მიზანია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამყოფ ხაზზე გამავალი ვაჭრობის არსის, სოციალური მნიშვნელობისა და მოცულობის სიღრმისეული კვლევა.

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოადგინოს მარეგულირებელი ჩარჩოს შესამუშავებლად აუცილებელი საფუძვლები, რაც მიმდინარე უკანონო ვაჭრობას პროგნოზირებად, გამჭვირვალე სივრცეში მოათავსებს და თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ნაშრომში, ასევე, შემდეგ მთავარ საკითხებზე აქცენტები გაკეთებული: რა საშუალებითაა შესაძლებელი კონფლიქტის ხაზის გავლით მიმდინარე კანონიერი ვაჭრობის წახალისება პოლიტიკური გადაწყვეტილების უქონლობის პირობებში? რა პირობებში მოისურვებენ კონფლიქტის მონაწილე მხარეები ერთმანეთთან ვაჭრობას? როგორ შეიძლება ვაჭრობის დეკრიმინალიზაცია ისე, რომ არცერთი მხარის სადავო ტერიტორიის სუვერენიტეტთან დაკავშირებული პრინციპული პოზიცია არ იქნას შელახული?

არსებობს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა კონფლიქტის მხარეთა შორის ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური ურთიერთქმედების მარეგულირებელი ჩარჩოების არსებობისა იმ პირობებში, როდესაც ერთი მხარე არ აღიარებს მეორეს თანასწორ სახელმწიფოდ და შესაბამისად,

1 N. Mirmanova et al (2011). Regulating Trans-Inguri Economic Relations: Views from Two Banks, London: International Alert. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus\\_TransInguri\\_EconRelationsViews\\_EN\\_2012\\_0.pdf](http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_TransInguri_EconRelationsViews_EN_2012_0.pdf)

2 N. Mirmanova et al (2012). Prospects for the Regulation of Trans-Inguri Economic Relations: Stakeholder Analysis, London: International Alert. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus\\_TransInguri\\_EconRelationsAnalysis\\_EN\\_2012.pdf](http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_TransInguri_EconRelationsAnalysis_EN_2012.pdf)

3 N. Mirmanova et al (2013). Trans-Inguri Economic Relations: A Case for Regulation, London: International Alert. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus\\_TransInguri\\_EconRelationsRegulation\\_EN\\_2013.pdf](http://www.international-alert.org/sites/default/files/Caucasus_TransInguri_EconRelationsRegulation_EN_2013.pdf)

4 ანგარიში 2015 წლის აპრილში გამოქვეყნდება და შემდეგ მისამართზე იქნება ხელმისაწვდომი: [www.international-alert.org](http://www.international-alert.org)

კონფლიქტის გამყოფ ხაზზე გამავალ ვაჭრობას აფასებს არა საგარეო, არამედ შიდა ურთიერთობად. მოცემულ ნაშრომში განიხილება ვაჭრობის დროებითი მარეგულირებელი ნორმების გამოყენების სამი ასეთი შემთხვევა: ტაივანი-ჩინეთი, კოსოვო, სერბეთი და კვიპროსი (კვიპროსის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ კვიპროსი).<sup>5</sup> სამივე შემთხვევაში, სადავო ერთეულის სტატუსი არ არის მხარეთა მიერ შეთანხმებული<sup>6</sup> და კონფლიქტი გადაუწყვეტელი რჩება. მიუხედავად ამ პოლიტიკური ფონისა, ეკონომიკური კავშირები ორივე მხარეს კანონიერია, რაც გულისხმობს ვაჭრობისა და ინვესტიციების დასაცავად და გასაძლიერებლად მიმართული ინფრასტრუქტურის არსებობას, ისევე, როგორც შესაბამისი ბიუჯეტების სასარგებლოდ გაღებული მოსაკრებლებისა და გადასახადების დაცვის მექანიზმებს.

კვლევები სწავლობს ამ მარეგულირებელი ნორმების შემუშავების პირობებსა და იმ გარემოებებს, რომლებმაც მხარეებს ურთიერთვაჭრობის საკითხებში პოზიციების შეჯერების შესაძლებლობა მისცა.

კონფლიქტისა და ეკონომიკური მაჩვენებლებით, სამივე შემთხვევა განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, პროცესის საფუძველზე შესაძლებელია იმ მახასიათებლების გამოყვანა, რამაც მხარეები სამართლებრივი ნორმების შეჯერებამდე მიიყვანა და შედეგად, ვაჭრობის ხელშემწყობი ინსტიტუციური და პროცესუალური წყობა მოიტანა.

- **საერთო გარე ნორმატიული ბაზა და/ან (გეო)პოლიტიკური პირობები** ეხმარება კონფლიქტის მხარეებს ერთმანეთისადმი მიმართული სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზაციაში. კვიპროსის, კოსოვოსა და სერბეთის შემთხვევაში, ასეთად ევროკავშირში (EU) გაწევრიანების პერსპექტივა და ევროკავშირის მიერ ასეთი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის შემუშავებული რეგულაციები და ნორმები გამოდგა. ამგვარად, «მწვანე ხაზის რეგულაცია» (GLR), თავისი არსით, არის ევროკავშირის სავაჭრო ნორმა, რომლის ფარგლებშიც გაიწერება ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოში (კვიპროსის რესპუბლიკა) ისეთი ტერიტორიიდან საქონლის შეტანა, სადაც *acquis communautaire*<sup>7</sup>-ის მოქმედება შეჩერებულია (ტერიტორიები ევროკავშირის ფარგლებს გარეთ, კვიპროსელი თურქების თემი). ევროკავშირი ხელს უწყობდა ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოებს, მათ შორის, კოსოვოს (იმ დროს გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მმართველობაში (UNMIK)), თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დაედოთ ერთმანეთთან და მიერთებოდნენ ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას (CEFTA), 2007 წელს. კონფლიქტებით სავსე დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის ყველა ქვეყანამ წამოიწყო ევროკავშირთან მიერთების პროცესი, პროცესის მართვა ამ უკანასკნელის ხელში იყო. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წესების თანახმად, ვაჭრობის ლიბერალიზაცია ერთ-ერთი საფუძვლიანი განდა ამ გზაზე. სერბეთს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ხელმოწერა კოსოვოს გაეროს ადმინისტრაციასთან მოუწია და არა თვით კოსოვოს ხელისუფლების ორგანოებთან, რაც სერბეთისთვის გადაუღალავი დაბრკოლება არ აღმოჩნდა.

ტაივანისა და ჩინეთის შემთხვევაში, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის ერთიანმა ჩარჩომ განაპირობა მათ ურთიერთობაში ახალი ეტაპი, ტაივანის მზარდი საერთაშორისო ეკონომიკური სტატუსის დამსახურებით. ვინაიდან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, თავისი არსით, მთავრობათა კლუბია, ტაივანისთვის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმწიფოებრიობის არქონას ხელი არ შეუშლია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის წარმატებულ მიღებაში. «განცალკევებული საბაჟო ტერიტორიის» სტატუსი, ეკონომიკური მნიშვნელობა და ჩინეთის მიერ წინააღმდეგობის არგაწევა ის ფაქტორები განდა, რამაც ხელი შეუწყო ტაივანის გაწევრიანებისაკენ

5 შენიშვნა: ტერმინების ტაივანი და ჩინეთი, და კოსოვო და სერბეთი გამოყენება ნაშრომის ამ ნაწილში, მათ შორის ამ ნაშრომის შესავალსა და დასკვნაში, არ გამოხატავს პოლიტიკურ პოზიციას ხსენებული კონტექსტის მიმართ. ქვემოთ მოცემულ თავებში გამოხატული მოსაზრება ავტორისეულია. ზოგადად, კოსოვო აღიარებული იქნება «კოსოვა» ან «კოსოვე», სიმოკლისა და სიმარტივისათვის, ამ ნაშრომში გამოყენებული დაწერილობა "კოსოვო".

6 ტაივანი (ჩინეთის რესპუბლიკა) – ჩინეთი (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა) – წარმოდგენილია მდგომარეობა, როდესაც არც ერთი მხარე აღიარებს მეორეს "ჩინეთად", მაგრამ სწორად ტაივანია ის, ვისაც საერთაშორისო აღიარებაც აკლია.

7 *Acquis communautaire* აკუმულირებული კანონები, საკანონმდებლო აქტები და სასამართლო გადაწყვეტილებებია, რომელთაგან შედგება ევროკავშირის კანონმდებლობის კორპუსი.



მისწრაფებას. ტაივანი ჩინეთთან ურთიერთობისას მიმართავს პროტექციონისტულ ზომებს, მაგრამ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის ყველაზე დიდი შეღავათი ორივე მხარისთვის სხვა რამეშია.

პირველ რიგში, ვმო-ს წევრობამ გაუკვალა ტაივანს გზა ორგანიზაციის სხვა წევრებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების დასადებად, მათ შორის, რეგიონალური მნიშვნელობის ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან, როგორცაა ახალი ზელანდია და სინგაპური.<sup>8</sup> ამით მყარი საფუძველი ჩაეყარა ტაივანის შესაძლებლობას, სამართლებრივად გამართული ეკონომიკური ურთიერთობა დაემყარებინა ისეთ სახელმწიფოებთან, რომელთაც, იმავდროულად, ჩინეთთან გააჩნიათ სავაჭრო შეთანხმებები. ჩინეთის მიერ დაყენებული პირობა იყო ტაივანის მიერ მესამე მხარეებთან დადებულ შეთანხმებებში არსად ყოფილიყო ნახსენები «ორი ჩინეთი» ან «ერთი ჩინეთი, ერთი ტაივანი». ტაივანი დათანხმდა კომპრომისს და მოიხსენიება როგორც «ტაივანის, პენგკუს, კინმენისა და მაცუს განცალკევებული საბაჟო ტერიტორია». ამგვარად, კოორდინატთა საერთო სისტემაზე (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) დაფუძნებული, თანაზიარი კეთილი ნება რეგიონში ვაჭრობის ჰარმონიზაციით სრულდება და გზას უხსნის ტაივანს, შეუერთდეს რეგიონალური მნიშვნელობის სავაჭრო ბლოკებს, რაც, საბოლოოდ, ყველა მხარის ეკონომიკურ ინტერესებს ემსახურება. მეტიც, სრუტეების გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმება (ECFA) უყრდნობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საერთო ჩარჩოს.

- **ეკონომიკური მიზანშეწონილობა** მნიშვნელოვანი ფაქტორია, განაპირობებს რა მხარეების მიერ კანონიერი ვაჭრობის ხელშეწყობი შემოქმედებითი გადაწყვეტილების ძიებას. იმ დროს ტაივანი ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი ინვესტორი იყო, ისევე, როგორც მაღალი მოთხოვნის მქონე ტექნოლოგიების მწარმოებელი. დღეისათვის, ჩინეთთან ვაჭრობა ტაივანის საერთო ვაჭრობის 25%-ს შეადგენს (100 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი), ჩინეთი ტაივანის უპირველესი სავაჭრო პარტნიორია. ამავდროულად, ტაივანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეოთხე ეკონომიკაა, იაპონიის, ჩინეთის და სამხრეთ კორეის შემდგომ და სასურველი პარტნიორია რეგიონალური სავაჭრო შეთანხმებების მაძიებელთათვის. მიუხედავად ამისა, ტაივანს არ ქონდა ფუფუნება, ხელიდან გაეშვა ჩინეთთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხელშეკრულება (ECFA), ASEAN+1 (ჩინეთი) რეგიონალური სავაჭრო ბლოკის შექმნის გათვალისწინებით, საკუთარი ნაწარმის კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად.

სერბეთი კოსოვოს სიდიდით მეორე სავაჭრო პარტნიორია, 2013 წელს ექსპორტმა სერბეთიდან კოსოვოში 300 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. თანადროულად, კოსოვო შედის სერბეთის 10 უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორის სიაში, შეადგენს რა სერბეთის მთლიანი ექსპორტის 3,5%-ს. მეტიც, კოსოვო-სერბეთის ღია კავშირი სამხრეთ-ჩრდილოეთის სატრანზიტო მარშრუტის განუყოფელი ნაწილია.

კვიპროსის ბერძნული თემი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ბაზარს თურქული კვიპროსის ეკონომიკისათვის, რომელიც ძირითადად მომსახურებაზეა ორიენტირებული (უმადლესი განათლება და ტურიზმი). მეორეს მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ კვიპროსელი თურქების თემს არ აქვს საშუალება, კანონიერად ივაჭროს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობასთან და თურქეთზე დამოკიდებული საქონელზე შტრიხ-კოდების დატანისას, საკუთარი უნივერსიტეტების ბოლონის სისტემაში აკრედიტაციისთვის, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ნავსადგურების გამოყენებისას, ინვესტიციების მოსაზიდად და საკუთარი ბაზრის გასავითარებლად, შესაბამისად, როგორც საქონლისა და მომსახურების მწარმოებელი, სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება. კვიპროსის რესპუბლიკის მიერ კვიპროსის თურქული თემის ევროკავშირთან პირდაპირ ვაჭრობაზე დადებული ვეტოს გაუქმება კუნძულის შიდა ეკონომიკურ კავშირებს გააძლიერებდა, შექმნიდა რა ახალ შესაძლებლობებს საქონლისა და მომსახურების ერთიანი ექსპორტისა და ახალი ბიზნეს შესაძლებლობების გასავითარებლად.

8 N. White, J. Chu and K. Lowmaster (2013). ANZTEC and Taiwan's Quest for Economic Integration 1 აგვისტო, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://csis.org/publication/anztec-and-taiwans-quest-economic-integration>

• **ვაჭრობის რეგულირების ისეთი ინსტიტუციონალიზაცია**, რომელიც არ ლახავს არცერთი მხარის პოზიციას სადავო სტატუსის შესახებ, გარღვევა კონფლიქტის გარდაქმნაში. სამივე შემთხვევა შემოქმედებითი მიდგომის მაგალითია, ერთი შეხედვით, ნულოვანი ჯამის მქონე თამაშში. ტაივანმა და ჩინეთმა ჩამოაყალიბეს განსაკუთრებული სტრუქტურები, ნათლად გაწერილი უფლებამოსილებითა და მანდატით. ტაივანში ჩამოყალიბდა «კონტინენტურ საქმეთა საბჭო», რომლის მოვალეობას წარმოადგენს კონტინენტთან ურთიერთობის ზედამხედველობა ისე, რომ არ მოხდეს ჩინეთთან ოფიციალური კომუნიკაცია. ამ ნიშის შესავსებად, საბჭომ, თავის მხრივ, დააარსა არასამთავრობო ორგანო, «სრუტეების გავლით მიმოცვლის ფონდი», რომელსაც დაევალა სრუტეების მიღმა მყოფებთან ურთიერთობა. მსგავსად ამისა, ჩინეთში, ტაივანთან საურთიერთოდ, ჩამოყალიბდა «ტაივანის სრუტის გავლით ურთიერთობების ასოციაცია». სწორედ ეს ორი არასამთავრობო ორგანო გახდა ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულების (ECFA) ხელმომწერი. კვიპროსზე, ორ სავაჭრო პალატას, ორივე მათგანი არასამთავრობო ორგანიზაციაა, მიენიჭა წარმომლობის სერტიფიკატების გაცემის უფლება და კომპანიების მიერ «მწვანე ხაზის» რეგულაციების დაცვის ზედამხედველობა დაევალა. საინტერესოა, რომ სწორედ ორი პალატა ლობირებდა სიმეტრიული, ურთიერთმსგავსი ნორმების გამოყენებას კვიპროსის თურქულ ნაწილში იმისთვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო «მწვანე ხაზის» გავლით კვიპროსის ბერძნული თემის მიერ წარმოებული საქონლით ვაჭრობა. ე.წ. “ანოტირებული შეთანხმება” გახდა სერბეთსა და კოსოვოს შორის საბაჟო მტამპების დაცვის მოგვარების გზა, შენარჩუნებულ იქნა კოსოვოს დასახელება, სერბეთის პოზიციის გათვალისწინებით.<sup>9</sup>

• **კერძო სექტორი, როგორც მეორე მხარესთან ვაჭრობის ლეგალიზაციისა და გამარტივების მხარდამჭერი**, მდგრადობას ანიჭებს სამართლებრივ ნორმებს იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ბიზნესის საჭიროებებს ემსახურება. ტაივანის შემთხვევაში, ტაივანელი მეწარმეების როლი ჩინეთში ინვესტირებისა და ექსპორტის კანონიერი შესაძლებლობების შექმნაში წამყვანი გამოდგა. ადგილობრივი მცირე და საშუალო მეწარმეები (SME) სერბეთის სამხრეთში, განსაკუთრებით, მუსულმანებით დასახლებულ სანძაკის რაიონში, მიესალმებოდნენ ბელგრადისა და პრიშტინას მიერ სადავო საზღვრის გავლით ვაჭრობის დაკანონება-გაადვილებისკენ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს.<sup>10</sup>

უახლოეს მომავალში, არაა მოსალოდნელი, რომ სამი კონფლიქტიდან რომელიმეს მოექდნოს ყველა მხარისთვის მისაღები პოლიტიკურ-ტერიტორიული გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი და რეგიონალური უსაფრთხოების გაძლიერებისკენ, გადაადგილების თავისუფლების აღდგენისკენ და დაძაბული ურთიერთობების ზოგადი გაუმჯობესებისკენ მიმართული პროგრესი თვალსაჩინოა. თითოეული კონფლიქტი საკუთარი ტრაექტორიით ვითარდება და ერთი რომელიმე შემთხვევის პირობების გამოორება სხვა შემთხვევებში შეუძლებელია. თუმცა, ყველა ჩართული მხარისა და გარე აქტორების ძალისხმევამ, რომელიც ვაჭრობის ხელშეწყობის მეშვეობით სიტუაციის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად და რომლის მეშვეობითაც თანდათანობით მოიხსნა მოსახლეობის, პროდუქციისა და კაპიტალის მოძრაობის დამაბრკოლებელი ბარიერები, უკვე მოიტანა შთამბეჭდავი შედეგები: ვაჭრობა, ნელ-ნელა, კარგავს პოლიტიკურ ელფერს, კონფლიქტის სისტემაში ბრუნდება ბაზრის წესები და ამის შედეგად, შესაძლო გამოსავლის ძიების სფერო ფართოვდება. ამავდროულად, კერძო პირებსა და კომპანიებს ეძლევათ საშუალება დაიცვან საკუთარი ბიზნესის ინტერესები, შექმნან სამუშაო ადგილები, მიიღონ შემოსავალი, ნაკლებად დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში განავითარონ ტექნოლოგიები და შეიძინონ უნარები.

9 2012 წლის “ვარსკვლავის შეთანხმება” განსაზღვრავს, რომ დასახელება “კოსოვოს” უნდა დაერთოს “ვარსკვლავი” (კოსოვო), რომელიც მიუთითებს, რომ “ეს დასახელება არ ასახავს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ პოზიციას და შეესაბამება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1244-სა და გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სასამართლოს მოსაზრებას კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე”. ეს გახდა ბრიუსელში 2012 წელს მიღწეულ შეთანხმებათაგან ერთ-ერთი, რომლის ფარგლებში განისაზღვრა კოსოვოს რეგიონალური წარმომადგენლობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხები.

10 კოსოვოსა და სერბეთის შორის ადამიანებისა და ნაწარმის თავისუფალი გადაადგილების საკითხში მიღწეული შეთანხმების მონიტორინგი, 2013 წლის სექტემბერი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.centrazaregionalizam.org.rs/prilozi/monitoring/Monitoring\\_ENG.pdf](http://www.centrazaregionalizam.org.rs/prilozi/monitoring/Monitoring_ENG.pdf)

## შესავალი

მოცემულ ნაშრომში მოყვანილია ტაივან-ჩინეთის, კოსოვო-სერბეთის და კვიპროსის (კვიპროსის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ კვიპროსი) მაგალითები. თითოეული მაგალითისადმი მიძღვნილ თავში მოყვანილია შესაბამისი კონფლიქტის მოკლე მიმოხილვა და ის პოლიტიკური პროცესები, რამაც მოიტანა ვაჭრობის მარეგულირებელი ნორმების შემოღება (მარეგულირებელი ჩარჩო). აგრეთვე, აღწერილია მარეგულირებელი ჩარჩოების საკვანძო ელემენტები და მათი გავლენა ვაჭრობასა და კონფლიქტის მხარეთა ურთიერთობაზე, ისევე, როგორც სამშვიდობო შეთანხმების პერსპექტივები.

მოცემულ ნაშრომში კონფლიქტის მხარეთა შორის კანონიერი ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბების ხელშემწყობი მარეგულირებელი ნორმებისადმი მიძღვნილი ანალიტიკური ნაშრომების უნიკალური ნაკრებია მოცემული. ეს კონფლიქტები განიხილება, როგორც სუვერენიტეტის საკითხებთან თუ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული ურთიერთწინააღმდეგობა, როდესაც «კვიცილი» სახელმწიფოს იმ ნაწილის სუვერენიტეტი, რომელიც დე ფაქტო დამოუკიდებლობის სტატუსით არსებობს, დავის საგანია. მშვიდობის ლიბერალური თეორიის ფარგლებში, ეკონომიკური მიმოცვლა (ვაჭრობა) ის ფაქტორია, რომელიც მოვაჭრე მხარეებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას უწყობს ხელს. რადგანაც, კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით კანონიერი ვაჭრობა ერთი ან ორივე მხარის მიერ იკრძალება,<sup>11</sup> ეკონომიკური ინტერესებით განპირობებული დაახლოება პოლიტიკურად მიუღებელი ხდება, ამავდროულად კი უკანონო ვაჭრობას აყვავებს.

მოცემული ნაშრომის ქვეთავებში მოყვანილია სხვადასხვა სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც მოხდა ორმხრივად მისაღები წესებისა და ნორმების შემოღება და, კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, ვაჭრობის დაკანონება. ანალიტიკური სტატიები განიხილავს დაწესებული ნორმების გავლენას მხარეებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებზე და, ასევე, მშვიდობის დამყარების პერსპექტივებზე.

## თეორიული საფუძვლები

მშვიდობის ლიბერალური პარადიგმის ფარგლებში, კონფლიქტი «ხელიდან წასული ვაჭრობად» განიხილება. მართლაც, მაკროეკონომიკური მოდელირება ცხადყოფს, რომ მტრული ურთიერთობების ალბათობა ურთიერთმოვაჭრე ქვეყნებს შორის უფრო დაბალია, ვიდრე სავაჭრო ურთიერთობის არმქონეთა შორის.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, ემპირიულად, ვაჭრობასა და მშვიდობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გავლება ძნელი ამოცანაა. მარტივად რომ ვთქვათ, თანაბარი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა A და ქვეყანა B ვაჭრობენ ერთმანეთში, რადგანაც მათ შორის მშვიდობაა, ან ქვეყანა A-სა და ქვეყანა B-ს შორის მშვიდობა იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთში ვაჭრობენ.

ცვლილების თეორია, რომელიც საფუძვლად უდევს კონფლიქტის ზონაში ვაჭრობის გამარტივების სტრატეგიას, როგორც სამშვიდობო პროცესს, გულისხმობს კონფლიქტის გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მყოფი კერძო პირებისა და კომპანიების ურთიერთდამოკიდებულების გაზრდას: მხარეები მეტად აფასებენ (აღდგენილ) ურთიერთკავშირს და ყველა მხარისათვის მომგებიანი გადაწყვეტილების მოძიების ალბათობა უფრო მაღალი ხდება, ვიდრე ვაჭრობის არარსებობის პირობებში.

მიუხედავად იმისა, შესაძლებელია თუ არა ცვლილების თეორიის საყოველთაო გამოყენება, უნდა გვახსოვდეს, რომ კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე

<sup>11</sup> N. Mirmanova et al (2013). Op. cit.

<sup>12</sup> S. Polachek and C. Seiglie (2007). ვაჭრობა, მშვიდობა და დემოკრატია: ორმხრივი დავის ანალიზი, T. Sandler and K. Hartley (რედაქტორები) თავდაცვის ეკონომიკის სახელმძღვანელო: თავდაცვა გლობალურ სამყაროში, ტომი 2, North-Holland. გვ. 1017–1074.

ვაჭრობა ნეიტრალური და არასადავო საზღვრების გადაკვეთით მიმდინარე ვაჭრობის მსგავსი ფენომენი არ არის. ამ თეორიიდან გამომდინარე, ჩარევა კონფლიქტის გავლით მიმდინარე ვაჭრობის თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. დამატებითი ნიუანსის სახით, მეორე მხარესთან ვაჭრობის ფენომენი კონფლიქტის ტიპიდან გამომდინარე, იქნის დამატებითი მახასიათებლებს. უპირობოდ ამკრძალავი ეროვნული კანონმდებლობისა თუ გარე სანქციების არარსებობის პირობებში, საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არაფრით ზღუდავს კონფლიქტში მყოფ სახელმწიფოებს – როდესაც გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობები ან ერთ-ერთი მათგანი არ აღიარებს მეორეს – ჩაერთონ ეკონომიკურ ურთიერთობებში იმ პირობით, რომ მათ გააჩნიათ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვისთვის აუცილებელი ატრიბუტები ან/და არიან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) წევრები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო სამართლის ერთ-ერთი ზოგადი პრინციპია “სახელმწიფო, რომლის მიმართაც ვაჭრობის ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმი” (MFN) გამოიყენება, რაც ნიშნავს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრს არ აქვს უფლება, შეზღუდოს სხვა წევრის ტერიტორიიდან მიმდინარე იმპორტი. «ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების» (GATT) მუხლი XXI მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს, რაც კანონიერი საფუძველი შეიძლება გახდეს ქვეყნისთვის, უარი თქვას აღებულ ვალდებულებების შესრულებაზე. თუმცა, ამ «მოქნილი» დებულების გამოყენება ავტომატურად არ ხდება და შეჯერებულ უნდა იქნას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სხვა დებულებებთან. საბოლოო ჯამში, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრისთვის ძნელია, უარი უთხრას ორგანიზაციის ნებისმიერ სხვა წევრს, ქონდეს მასთან ვაჭრობის შესაძლებლობა.<sup>13</sup> შესაბამისად, ვაჭრობის გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია, ისევე, როგორც მისი გაფართოების ინსტიტუციონალური და სამართლებრივი მხარდაჭერა, შეიძლება განვიხილოთ იმ ფაქტორებად, რაც წახალისებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას და მისცემს საკუთარ კერძო სექტორს სხვა სახელმწიფოს კერძო სექტორთან ურთიერთობის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა რომ პოლიტიკური ურთიერთობა შეიძლება უარყოფითი ან ღიად მტრული იყოს.

სახელმწიფოებრიობის შექმნასთან დაკავშირებული კონფლიქტები, რომელთაც მოყვება «კვცილი» სახელმწიფოსგან გამოყოფილი სადავო სუვერენიტეტის მქონე ერთეულების შექმნა წარმოადგენს განსაკუთრებული სახის კონფლიქტს, რომელთა მიმართაც საერთაშორისო სავაჭრო სამართალი არ გამოიყენება. გამოყოფილი ერთეულები არ არის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სახელმწიფოები და მოიხსენიება როგორც «არაღიარებული სახელმწიფო» ან «დე ფაქტო სახელმწიფო». მათი ეკონომიკური ურთიერთობა გარე სამყაროსთან შეზღუდულია, რადგანაც ხელი არ მიუწვდებათ საერთაშორისო ეკონომიკის სუბიექტის ისეთ აუცილებელ ატრიბუტებზე, როგორცაა წარმოშობის სერტიფიკატი და შტრიხ-კოდი, ვერ მონაწილეობენ საერთაშორისო არბიტრაჟში და არ გააჩნიათ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა თუ რეგიონალურ სავაჭრო ბლოკებში გაერთიანების პერსპექტივა. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისაკენ სწრაფვა აიძულებთ უარი განაცხადონ იმ სახელმწიფოს ვაჭრობის შიდა ნორმების გამოყენებაზე, რომლისგანაც გამოყოფას ცდილობენ. ყოველივე ამას მოყვება ეკონომიკური იზოლაცია, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს განვითარებაზე.

სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის შემაფრხველო მთავარ სუბიექტურ დაბრკოლებად კვლავაც პოლიტიკა და საზოგადოებრივი აზრი რჩება. «მტერთან ვაჭრობის» მორალური ტვირთი გავლენას ახდენს ბიზნეს-გადაწყვეტილებებზე. «მტერთან» ურთიერთობის დაუშვებლობის გამო ხელიდან გაშვებული კომერციული შესაძლებლობის რაოდენობისა და ამ რაოდენობის შემდგარ გარიგებებთან ემპირიული შეფარდება მეტად რთულია.

13 გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT 1947), მუხლი XXI: უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული გამონაკლისები – არაფერი ამ შეთანხმებაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც (ა) მოთხოვნა, შეთანხმება რომელიმე მხარის მიმართ გაამყაროს ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც ამ მხარემ შეიძლება მისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიიჩნიოს, ან; (ბ) წინააღმდეგობა შეთანხმების მონაწილე ნებისმიერ წევრის მიმართ ისეთი ქმედების განხორციელების, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს მისი უსაფრთხოების არსებითი ინტერესების დასაცავად; (ი) ბირთვული მასალების ან იმ მასალების მიმართ, რომლებისგანაც ისინია მიღებული; (იი) იარაღით, ტყვია-წამალით და სამხედრო ნედლეულით ვაჭრობის, ასევე სხვა საქონლით და ნედლეულით ვაჭრობის მიმართ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ხორციელდება შეიარაღებული ძალების მომარაგების მიზნით; (იიი) თუ ეს ქმედება ხორციელდება ომის დროს ან საერთაშორისო ურთიერთობებში სხვა განსაკუთრებული გარემოების არსებობისას ან; (გ) წინააღმდეგობა შეთანხმების ნებისმიერი მხარის მიმართ, განხორციელოს რაიმე ქმედება მისი ვალდებულებების შესრულების მიზნით, აგრეთვე, მშვიდობისა და უსაფრთხოების დასაცავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე». ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [https://www.wto.org/english/docs\\_e/legal\\_e/gatt47\\_02\\_e.htm](https://www.wto.org/english/docs_e/legal_e/gatt47_02_e.htm)

“ემოციური ეკონომიკის” ფენომენი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული კონფლიქტების ტიპური მახასიათებელია, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ჯგუფის შიგნით მიმდინარე, იდენტობასთან დაკავშირებული ძალადობრივი კონფლიქტისა სახელმწიფოებს, რეგიონებსა თუ კლასებს შორის. მაგალითად, კვიპროსელ თურქ მეწარმეებს მიაჩნიათ, რომ “მწვანე ხაზის” გავლით მიმდინარე ვაჭრობა მეტად წარმატებული იქნებოდა, კვიპროსელ ბერძნებს ხისტი წინააღმდეგობა რომ შეერბილებინათ თურქულ კვიპროსში წარმოებული საქონლის მასმედიის საშუალებებით რეკლამირებასთან თუ სუპერმარკეტების თაროებზე მათ თავისუფალ განთავსებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, იმის დასადგენად, მართლაც თუ რამდენად ამცირებს ამგვარი მიდგომა ვაჭრობის მოცულობას, შესაბამისი ზუსტი კვლევაა ჩასატარებელი. მიუხედავად ამისა, ასეთი მოსაზრება არსებობს.

სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული კონფლიქტები, თავისი არსით, ასიმეტრიულია – გამოყოფილ ერთეულს, აპრიორი, ნაკლები საშუალება აქვს დაიმკვიდროს საერთაშორისო არენაზე ადგილი ლეგიტიმური მხარის სახით ან უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება საკუთარივე ძალით. კონფლიქტში გამოყოფილი ერთეულის მხარეზე უშუალოდ ან ირიბად ჩართული, ან, სავარაუდოდ, სეპარატიზმის წამქეზებელი ძლიერი სახელმწიფოები ამ წონასწორობას «კვცილი» სახელმწიფოს წინააღმდეგ ცვლიან. ასეთი პროტექტორატის შედეგად ეს უკანასკნელი მოწყვლადი ხდება და საფრთხეში ექცევა. ემოციური ფონის გარდა, მოწინააღმდეგე მხარესთან ვაჭრობის აუცილებლობა ადგილს უთმობს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს. როდესაც კომერციული ურთიერთობა უსაფრთხოების კონტექსტში მიმდინარეობს, (დაძაბული) ურთიერთობის შეიარაღებულ დაპირისპირებამდე ესკალაციის შესაძლებლობის ფონზე, იმ მხარისთვის დახმარების გაწევა, რომლისთვისაც უწყვეტი ვაჭრობა მეტადაა მომგებიანი, ეკონომიკურად ნაკლებად წარმატებული მხარისათვის სამხედრო დამარცხების ტოლფასი შეიძლება განდეს.

პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის, რომელიც განიხილავს შესაძლებლობას, მშვიდობას გამყოფი ხაზის გავლით ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციით მიაღწიოს, მთავარი გამოწვევა გაბატონებული და კონფლიქტის პირობებში უკომპრომისო პოლიტიკური პოზიციისთვის დამახასიათებელი “ემოციური ეკონომიკისა” და “უსაფრთხოება – უპირველეს ყოვლისა” პრინციპიდან გადახვევა და სოციალურად რაციონალურ მიდგომაზე გადასვლაა, ისეთ მიდგომაზე, რომელიც მისცემს კომერციული ინტერესებს პოლიტიკური ჩინის ფარგლებს გარეთ გასვლის საშუალებას.

სიზუსტისათვის, ყოველთვის უნდა განვაცალკევოთ მრავალფეროვანი სოციალური, პოლიტიკური და ადამიანური ქვეტექსტი კონფლიქტის, ერთი შეხედვით, მონოლითური მხარის შიგნით.

“მიღმა მხარესთან» ნებისმიერი კომერციული გარიგებისა თუ ნაწარმის პრინციპული ბოიკოტირების ფენომენი თანაარსებობს პრაგმატულ, უფრო კონკურენტულ ფასებთან, უკეთესი ხარისხის საქონელთან და მეტად ხელმისაწვდომ ბაზრებთან დაკავშირებულ მოსაზრებებთან – თუმცა, ამასაც, ხშირად, ახლავს მტაცებლური მოგების ძიება, სწორადაც იმ ამკრძალავი სავაჭრო რეჟიმის გამო, რომელსაც მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ.

ტაივანსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეძლო ბიზნეს თანასაზოგადოებამ მთავრობაზე ზეწოლა შესაბამისი კანონმდებლობის მისაღებად, ამ თანასაზოგადოებისათვის მიმზიდველი ეკონომიკური ინიციატივების გასატარებლად. როგორც კი ჩინეთი საქონლისა და ინვესტიციებისათვის მიმზიდველ ბაზრად გადაიქცა, ამკარად შეცვალა ტაივანური კომპანიების მიმართ გამოყენებული პოლიტიკა, დაიწყო რა მათი მოზიდვა კონტინენტზე, ტაივანურმა კერძო სექტორმა შესამე პირების, მაგალითად, ჰონგ-კონგისა და იაპონიის, გავლით დაიწყო ოპერირება. ტაივანურ მთავრობას 10 წელიწადზე ოდნავ მეტი დასჭირდა საკუთარი წინააღმდეგობის შესარბილებლად და ტაივანური კომპანიებისთვის კონტინენტურ ჩინეთში ვაჭრობისა და ინვესტირების ნების დართვა. 1990 წელს, ტაივანის კანონმდებლობა უშვებდა

ჩინეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას, თუმცა შეზღუდვების დაცვითა და ირიბად. ეროვნული ეკონომიკის ზრდის გამო, კერძო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდა კონტინენტურ ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია და სამართლებრივი გარანტირება, რაც, თანადროულად, მოსახლეობისთვის «ემოციურ ეკონომიკასთან» მიმართებაში მნიშვნელოვანი გზავნილი გახდა.

სერბეთსა და კოსოვოს შემთხვევაში, ამ უკანასკნელის სტატუსთან დაკავშირებული მოუგვარებადი კონფლიქტის ფონზე, კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე კოსოვოელი სერბებისა და კოსოვოელი ალბანელების ერთობლივი კონტრაბანდისტული საწარმოები ყვაოდა. სერბეთსა და კოსოვოს შორის, სერბების მიერ კონტროლირებად მიტროვიცაში, საბაჟო რეჟიმის შემოღებას მოყოლილი პროტესტი, სავარაუდოდ, მხოლოდ კოსოვოს დამოუკიდებლობის მიუღებელი ინსტიტუციონალიზაციის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური რეაქცია არ ყოფილა, არამედ, ნაწილობრივ, უაღრესად მომგებიანი, საგადასახადო და საკონტროლო სისტემებს გარეთ მოქმედი ბიზნესის დაკარგვის შიშთანავე უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.<sup>14</sup>

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კერძო სექტორისათვის მოგების ნახვის პრიორიტეტი შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს «ემოციურ ეკონომიკასთან» და ანაცვლებდეს კიდევ საზოგადოებრივ აღქმას. თუმცა, კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით შექმნილი სპორადული სავაჭრო კავშირების არსებობის შემთხვევაშიც კი, კერძო მეწარმეებს არ გააჩნიათ სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძველი, რომელიც ამ ვაჭრობას დაიცავდა და გამჭვირვალეს გახდიდა. რადგანაც «მტერთან» ვაჭრობა კანონითაა კრიმინალიზირებული და საზოგადოების მიერ იგმოზა, მეწარმეებს, რომლებიც მზად არიან მასში ჩაერთონ, რთული გადაწყვეტილების მიღება უწევთ – ჩაერთონ უკანონო საქმიანობაში და აიღონ საკუთარ თავზე ამასთან დაკავშირებული რისკები, მაგრამ, მოგებაც ნახონ გადასახადების გადახდისგან თავის არიდებისა და მცირე კონკურენციის გამო.

კონტრაბანდა მაშინ ყვავის, როდესაც კანონიერი ვაჭრობა შეუძლებელია ან ოფიციალური ტარიფები გადაჭარბებულად მაღალია, და მაშინაც, როდესაც სავაჭრო ბარიერების შეულახაობაზე პასუხისმგებელი პირები კორუმპირებულები არიან. გამყოფი ხაზზე გამავალი დანაშაულებრივი ქსელები მოგებას ნახულობენ გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მყოფი მოსახლეობის შემოსავლის წყაროების სიმწირით, იზრდება რა მზაობა, აიღონ საკუთარ თავზე გარკვეული რისკები და ჩაერთონ ჩრდილოვან ეკონომიკურ საქმიანობაში. ასეთი ქსელები ძალიან მომგებიანი შეიძლება იყოს ე.წ. «მეკარეებისათვის» (მათთვის, ვინც აკონტროლებს ამგვარ ვაჭრობას) და შინაგანად მდგრადი მანამ, სანამ მოგება აჭარბებს ჩვეულებრივი ვაჭრებისათვის არსებულ რისკებს ან ვიდრე ამგვარ ქსელთან მიმართებაში რაიმე გარეშე ძალა არ ალაგმავს მსგავს საქმიანობას. მაგალითად, უზარმაზარი უკანონო ბაზრობა სოფელ ერგენტში საქართველო-სამხრეთ ოსეთის გამყოფი წლების განმავლობაში ამარაგებდა კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრებ ათასობით ადამიანს შემოსავლით და მოქონდა მილიონობით დოლარის მოგება «მეკარეებისათვის». მიუხედავად ამისა, ყოველივე ამას სულ რამდენიმე დღეში მოელო ბოლო, მას შემდეგ, რაც კორუფციის ასალაგმად მომართულმა ახლადარჩეულმა ქართულმა მთავრობამ რამდენიმე გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა.<sup>15</sup> კიდევ ერთი არაფორმალური ბაზრობა, სადახლოს ქართულ სოფელში, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების სიახლოვეს, რომელიც, დროთა განმავლობაში, დაიხურა, სომხებისა და აზერბაიჯანელების შეხვედრის ადგილად გამოიყენებოდა, საქმიანი გარიგებების დასადებად და ადამიანური ურთიერთობისათვის. ეს თვითმარქვია «კონფლიქტის ალტერნატიული» უკანონო საქმიანობა ბაზრებს შიდა და გარე შოკებისადმი ხდიდა მოწყვლადს.<sup>16</sup>

14 D. Carvajal (2011). 'In Kosovo, Smuggling Fosters Unusual Ethnic Cooperation', New York Times, 24 October.

Available at [http://www.nytimes.com/2011/10/24/world/europe/in-balkans-smuggling-forges-a-rare-unity.html?pagewanted=all&\\_r=0](http://www.nytimes.com/2011/10/24/world/europe/in-balkans-smuggling-forges-a-rare-unity.html?pagewanted=all&_r=0)

15 International Alert (2006). 'ადგილობრივი ბიზნესი, ადგილობრივი მშვიდობა: შიდა კერძო სექტორის სამშვიდობო პოტენციალი. შეჯამება'. ლონდონი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://caucasusbusiness.net/wp-content/uploads/2014/09/local\\_business\\_local\\_peace\\_01.pdf](http://caucasusbusiness.net/wp-content/uploads/2014/09/local_business_local_peace_01.pdf)

16 ერგენტისა და სადახლოს ბაზრობების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, იხილეთ N. Mirimanova (2006). 'ადგილობრივი ბიზნესი, ადგილობრივი მშვიდობა: შიდა კერძო სექტორის სამშვიდობო პოტენციალი. კავკასიის კაზუსი. ლონდონი: International Alert. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [www.international-alert.org/sites/default/files/publications/28\\_section\\_2\\_South\\_Caucasus.pdf](http://www.international-alert.org/sites/default/files/publications/28_section_2_South_Caucasus.pdf)

სამართლებრივი ბარიერები სადავო საზღვარზე გამჭვირვალე და დადებითად აღქმული ვაჭრობის შემაფერხებელი ძირითადი ობიექტური ფაქტორია. კონფლიქტის ორი მხარის გამყოფი საზღვრის სადავო ხასიათი სრულდება ისეთი მდგომარეობით, როდესაც ერთი მხარე («კვეცილი» სახელმწიფო) განიხილავს მას, როგორც ადმინისტრაციულ საზღვარს, შესაბამისად, ნებისმიერი ეკონომიკური მიმოქცევა ასეთი საზღვრის გავლით განიხილება, როგორც შიდა ვაჭრობა. ამის საპირწონედ, აუღიარებელი სახელმწიფო იმავე გამყოფს საერთაშორისო საზღვრად აღიქვამს, შესაბამისად, მასზე გამავალი ვაჭრობა, მისთვის საგარეო ვაჭრობაა. თუნდაც არსებობდეს სავაჭროდ ორმხრივი მზაობა, ისეთი საკითხები, როგორიცაა საბაჟო პუნქტების განლაგება და საბაჟო პროცედურები, დაბეგვრა, წარმოშობის სერტიფიკატი, ლიცენზიის გაცემის უფლება და სხვა ფაქტორები, ღრმადაა ჩაქსოვილი კონფლიქტის არსში – კერძოდ კი, კონკრეტული გამოყოფილი ტერიტორიის სტატუსისა და მასზე პოლიტიკური კონტროლის საკითხებში, შესაბამისად, ასეთ საკითხებზე შეთანხმება შეუძლებელი ხდება.

შემდგომ ქვეთავებში განხილული იქნება ტაივანი-ჩინეთის, კოსოვო-სერბეთის და კვიპროსის (კვიპროსის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ კვიპროსი) შემთხვევები, რაც შუქს მოჰფენს სწავდასხვა სტრატეგიას, რომელმაც მოიტანა ორივე მხარისთვის მისაღები წესებისა და ნორმების ჩამოყალიბების შესაძლებლობა ვაჭრობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტილება არ გამოწახულა.

## ჩინეთისა და ტაივანის ეკონომიკური თანამშრომლობა

იაო-მინ ჰსუ

### შესავალი

ოფიციალურად «ჩინეთის რესპუბლიკად» (ROC) წოდებული ტაივანი 1911 წელს დაარსდა. თუმცა, 1949 წლის შემდგომ, «ჩინეთი» გაიყო ორ ნაწილად: ყოფილი «ჩინეთის რესპუბლიკა» ტაივანზე იქნა გადატანილი, კომუნისტანის (გომინდანის) (KTM) ნაციონალისტური პარტიის თაოსნობით; კომუნისტური პარტიის მეოხებით ახლადშექმნილი «ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის» (PRC) კონტროლის ქვეშ მოექცა კონტინენტური ჩინეთის დიდი ნაწილი. 1971 წელს გაერომ (UN) ოფიციალურად ცნო ჩინეთის ადგილი გაეროში, რომელიც სწორედ «ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ» შეავსო. მას შემდგომ, «ჩინეთის რესპუბლიკა», ასევე ფორმალად ან ტაივანად ცნობილი, კვლავაც მოქმედებს როგორც *sui generis*<sup>17</sup> საერთაშორისო არენაზე და ინარჩუნებს ნახევრადოფიციალურ ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან. მაგალითად, ტაივანის მოქალაქეები 130 ქვეყანასთან სარგებლობენ უვიზო მიმოსვლის რეჟიმით, ტაივანი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ოფიციალური წევრია.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მხარის პოზიციიდან გამომდინარე, ჩინეთი და ტაივანი კვლავაც «სამოქალაქო ომის» მდგომარეობაში არიან, გარკვეული ეკონომიკური თანამშრომლობა მაინც საჭიროა. 1990 წლამდე, ოფიციალური ურთიერთობა შესაბამის მთავრობებს შორის არ არსებობდა, სამოქალაქო/კომერციული კავშირები კი მწირი იყო. ჩინეთმა შემოიღო დროებითი ნორმები ტაივანთან ვაჭრობის წამოსაწყებად ჯერ კიდევ 1979 წელს. ეს იყო არც თუ ისე ფარული მცდელობა, დაერაზმა ტაივანელი ბიზნესმენები საკუთარი მთავრობის ორი ქვეყნის გაერთიანებისკენ წასაბიძგებლად. თავის მხრივ, ტაიპეი აგრძელებდა ეკონომიკური მიმოცვლის შეზღუდვას, შიშობდა რა, რომ კონტინენტურ ჩინეთზე გაზრდილი ეკონომიკური დამოკიდებულება დაასუსტებდა ტაივანს. მიუხედავად ამისა, 1990 წლის ოქტომბერში, ტაიპეიმ სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია ტაივანური ინვესტიციები კონტინენტზე «კონტინენტზე არაპირდაპირი ინვესტირებისა და ტექნიკური თანამშრომლობის ზომების» დებულებების ძალით, – თუმცა მხოლოდ მესამე მხარეების მეშვეობით (ძირითადად, ჰონკონგი და იაპონია) და სამთავრობო მხარდაჭერით.<sup>18</sup> ამ ინიციატივამ შეცვალა წინარე პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც იკრძალებოდა პირდაპირი კავშირები, ვაჭრობა თუ სატრანსპორტო კომუნიკაცია ჩინეთთან. 1990-იანი წლების შემდგომ პერიოდში, ტაივანურმა ბიზნესებმა სულ უფრო მზარდი მოცულობით დაიწყეს ინვესტირება ჩინეთში, რასაც ხელს უწყობდა ენის ერთობლიობა და სამუშაო ძალის სიახლე ჩინეთში. მას შემდგომ, ტაივანის სრუტის ორივე მხარემ წამოიწყო დიალოგი, საკუთარი აღმავლობისა და დაღმავლობის პერიოდებით, მაგრამ, მიუხედავად ტაივანის ხელმძღვანელობის პოლიტიკური შიშებისა ჩინეთის «მახეში» მოქცევასთან დაკავშირებით, ურთიერთობა ორ მხარეს შორის მეტი ეკონომიკური ლიბერალიზაციისკენ მიდიოდა. ამ ნაშრომის მომზადების დროისთვის, 2014 წელს, ტაივანური საქონლით ვაჭრობის დაახლოებით 22%-ი ჩინეთს უკავშირდება (ინილეთ ცხრილი 1).

17 ლათინური ტერმინი "ერთადერთი, განუმეორებელი"-სა და "თავისი მახასიათებლებით უნიკალურის" მნიშვნელობით.

18 C. Chen (2012). 'სასარგებლო შეტოქები: როგორ გავიგოთ უსაფრთხოების პოლიტიკური ეკონომიკა', in J.-M.F. Blanchard and D.V. Hickey (რედაქტორები) ტაივანის საკითხის ანლებური გაგება: წარმოშობის, დინამიკისა და პერსპექტივების თეორიული საკითხები. ოქსფორდი: Routledge. გვ. 48–70.



**ცხრილი 1: სასაქონლო ვაჭრობა ტაივანსა და ჩინეთს შორის (2014 წლის იანვარ-ოქტომბერი)**

ტაივანის სასაქონლო ვაჭრობა 2014 წლის იანვარ-ოქტომბერში	ადგილი	ვაჭრობის მოცულობა წილი	
		აშშ\$	%
<b>პირველი ათეული</b>		<b>მოცულობა</b>	<b>%</b>
ჩინეთი	1	107,888,809,684	21.926
აშშ	2	51,678,425,269	10.502
იაპონია	3	51,507,543,144	10.468
ჰონგ-კონგი	4	36,540,419,880	7.426
სინგაპური	5	24,183,419,283	4.915
კორეის რესპუბლიკა	6	22,737,374,638	4.621
მალაიზია	7	14,863,818,264	3.021
საუდის არაბეთი	8	13,659,032,734	2.776
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა	9	13,053,795,627	2.653
ვიეტნამი	10	10,475,021,965	2.129
<b>ჯამში</b>	<b>სულ</b>	<b>492,060,260,686</b>	<b>100.00</b>

წყარო: საერთაშორისო ვაჭრობის ბიურო (ტაივანი)<sup>19</sup>

**სამართლებრივი საფუძვლები**

**შესწორებები ტაივანის კონსტიტუციაში**

ტაივანსა და ჩინეთს შორის პირდაპირი, – თუნდაც არასამთავრობო, – ურთიერთობის შესაძლებლობა ტაივანის კონსტიტუციაში 1992 წელს შეტანილი შესწორებების ძალით გახდა შესაძლებელი. «ჩინეთის რესპუბლიკის» 1992 წლის კონსტიტუციური შესწორებების შესაბამისად,<sup>20</sup> პრეამბულა განსაზღვრავს, რომ «ერის მოთხოვნები და კმაყოფილების მიზნით, ერის გაერთიანებამდე, ჩინეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის შემდეგი მუხლები იცვლება ან ემატება ჩინეთის რესპუბლიკას...». მეტიც, მე-11 მუხლის ფარგლებში, ისაზღვრება განსაკუთრებული დებულებანი, რომელთა ძალითაც «უფლებები და მოვალეობები ჩინეთის კონტინენტურ ნაწილში მცხოვრებსა და თავისუფალ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს შორის, აგრეთვე, სხვა, ამასთან დაკავშირებული საკითხები, შეიძლება განისაზღვროს კანონის ძალით.»

შესაბამისად, «ტაივანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხსა და კონტინენტურ ნაწილში მცხოვრებ ხალხს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი აქტი»,<sup>21</sup> რომელსაც, ზოგჯერ, სიმარტივისათვის, «სრუტეების გავლით ურთიერთობის აქტად» (CSRA) მოიხსენიებენ, გამოქვეყნდა 1992 წელს, ჩინეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-11 მუხლში შეტანილი ცვლილებების ძალით. «სრუტეების გავლით ურთიერთობის აქტის» 1-ლი მუხლის თანახმად:

*“მოცემული აქტი ძალაში შედის ტაივანის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საჯარო კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, არეგულირებს რა ურთიერთობებს ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებს შორის და მიმართულია სამართლებრივი საკითხების მოსაგვარებლად, ვიდრე არ შედგება ეროვნული გაერთიანება. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იფარება მოცემული აქტით, გამოყენებულ იქნება სხვა, შესაბამისი კანონმდებლობის დებულებანი.”*

19 საერთაშორისო ვაჭრობის ბიურო (ტაივანი), ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://cus93.trade.gov.tw/FSCI/>  
 20 ჩინეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები (1992). ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://law.moj.gov.tw/Eng/LawClass/LawContent.aspx?PCODE=A0000002>  
 21 ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ურთიერთობის მარეგულირებელი აქტი (2011). ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://law.moj.gov.tw/Eng/LawClass/LawContent.aspx?PCODE=Q0010001>

დამატებით, მუხლი 3.1 განსაზღვრავს სრუტეების გავლით ურთიერთობების რეგულირებაზე პასუხისმგებელ ორგანოს:

*“კონტინენტურ საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებს განაგებს მოცემული აქტის ძალით პასუხისმგებელ ორგანოდ განსაზღვრული აღმასრულებელ იუანთან (მინისტრთა კაბინეტი) არსებული კონტინენტურ საქმეთა საბჭო.”*

მნიშვნელოვანია, რომ «სრუტეების გავლით ურთიერთობის აქტი» ფარავს ყველა ადმინისტრაციულ საკითხს, რეგიონული მნიშვნელობის კერძო სამართალს (კანონმდებლობათა კონფლიქტი) და ორმხრივ თანამშრომლობას დანაშაულებრივი საქმიანობის აღაგმვის საკითხებში.

მიუხედავად ამისა, ტაივანის მთავრობა კვლავაც არაა განწყობილი, დაამყაროს ჩინეთთან ოფიციალური კონტაქტი სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, ჩინეთიც იკავებს თავს მსგავსი ქმედებისაგან. ამ მიზნით, ტაივანში, «ნახევრად»-არასამთავრობო ორგანიზაცია (NGO) იქნა შექმნილი, – კერძოდ, «სრუტეების გავლით მიმოცვლის ფონდი» (SEF).<sup>22</sup> ხსენებული ფონდი «კონტინენტურ საქმეთა საბჭოს» ოფიციალური განკარგულების საფუძველზე დაარსდა. «სრუტეების გავლით ურთიერთობათა აქტის» მე-4 მუხლი განსაზღვრავს, რომ:

*“აღმასრულებელ იუანთან არსებული კონტინენტურ საქმეთა საბჭო უფლებამოსილია, გადასცეს ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ურთიერთობის მართვის საკითხი წინა პარაგრაფში ნახსენებ ორგანოს ან ნებისმიერ სხვა კერძო ორგანიზაციას, რომელიც შეესაბამება შემდგომ მოთხოვნებს:*

1. დაარსების დღისათვის, მისი აქტივების ნახევარზე მეტი სამთავრობო შენატანებითაა შექმნილი; და
2. მისი დაარსების მიზანი ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ურთიერთობის საკითხების მართვაა, მის შემდგომ ორგანოს კი, აღმასრულებელ იუანთან არსებული კონტინენტურ საქმეთა საბჭო წარმოადგენს.”

დამატებით, «სრუტეების გავლით შეთანხმების» პროცედურული საკითხების რეგულირების მიზნით, «სრუტეების გავლით ურთიერთობათა აქტის» მუხლი 4.2 განსაზღვრავს, რომ:

*“1. ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიას შორის ნებისმიერ შეთანხმებასთან დაკავშირებული საკითხები იმართება აღმასრულებელ იუანთან არსებულ კონტინენტურ საქმეთა საბჭოს მიერ; იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმების საგანი პროფესიული თუ ტექნიკური ხასიათისაა და სასურველია მისი დადება მხარეების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ, შეთანხმების ადმინისტრირების უფლებამოსილება, აღმასრულებელ იუანთან არსებულ კონტინენტურ საქმეთა საბჭოს გადაწყვეტილებითა და აღმასრულებელი იუანის თანხმობით, შეიძლება გადაეცეს ხსენებულ კომპეტენტურ ორგანოს;*

*2. აღმასრულებელ იუანთან არსებულმა კონტინენტურ საქმეთა საბჭომ, ან, წინა პარაგრაფში მოყვანილი წესის თანახმად, აღმასრულებელი იუანის მიერ დამტკიცებულმა თითოეულმა კომპეტენტურმა ორგანომ, შეიძლება გადასცეს შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების წარმოებისა და შეთანხმების დადების უფლებამოსილება მე-4 მუხლში ჩამოთვლილ ნებისმიერ დაწესებულებასა თუ კერძო ორგანიზაციას, დამკისრებლის სახელით, კონტინენტური ტერიტორიის შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან თუ მის კანონიერ წარმომადგენელ – იურიდიულ პირთან, ორგანიზაციასა თუ სხვა დაწესებულებასთან;*

3. ამ დებულებაში ნახსენები «შეთანხმება» გულისხმობს ნებისმიერ

<sup>22</sup> სრუტეების გავლით მიმოცვლის ფონდი (SEF). ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.sef.org.tw/ct.asp?xItem=110671&CI=4716&mp=300>

წერილობით დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც გაწერილია სამთავრობო უფლებამოსილების განხორციელება ან ნებისმიერი პოლიტიკური საკითხი, რომელიც თანხმდება ტაივანის ტერიტორიასა და კონტინენტურ ტერიტორიას შორის; ნებისმიერი დამატებითი ოქმი, დამატებითი დებულება, აღსრულებული ოქმი, შეთანხმებული ოქმი, დანართი ან სხვა დანამატი შეადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.”

მეტიც, ყველა მსგავსი შეთანხმების შესახებ ანგარიში უნდა ჩაბარდეს ტაივანის კონგრესს ან დამტკიცებულ უნდა იქნას კონგრესის მიერ. «სრუტეების გავლით ურთიერთობის აქტის» მე-5 მუხლი განსაზღვრავს, რომ:

“1. დაწესებულება, კერძო ორგანიზაცია ან სხვა არაკომერციული იურიდიული პირი, რომელსაც გადაეცა უფლებამოსილება, დადოს შეთანხმება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ან 4.2-ი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ვალდებულია, შეთანხმების აღსრულებამდე, უფლებამოსილების დამკისრებელი ორგანოების მეშვეობით, გადასცეს შეთანხმების პროექტი აღმასრულებელ იუანს დასამტკიცებლად.

2. იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმების საგანი მოითხოვს არსებული კანონმდებლობის ნებისმიერი სახის ცვლილებას ან ახალი კანონმდებლობის მიღებას, შეთანხმების ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, აღმასრულებელი იუანის მეშვეობით, გადასცეს შეთანხმება საკანონმდებლო იუანს (კონგრესს) განსახილველად 30 დღის ვადაში შეთანხმების აღსრულების შემდეგ; იმ შემთხვევაში, თუკი შეთანხმების საგანი არ ითხოვს არსებული კანონმდებლობის რაიმე ცვლილებას ან ახალი კანონმდებლობის მიღებას, შეთანხმების ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო გადასცემს შეთანხმებას აღმასრულებელ იუანს დასამტკიცებლად და საკანონმდებლო იუანს რეგისტრაციის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, კონფიდენციალურობის პროცედურის დაცვით.”

სინამდვილეში, იმდროინდელი პრაქტიკიდან გამომდინარე, აღმასრულებელი იუანის მიერ შეთანხმებების დადასტურება და კონგრესისათვის გადაცემა იმდენად სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რომ საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის დაპირისპირება გამოიწვია და, საბოლოოდ, ე.წ. «მწესუმწირის პროტესტით» დასრულდა.

### ჩინეთის კონსტიტუცია და კანონი გამოყოფის აკრძალვის თაობაზე

“ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის” კონსტიტუციის (1982)<sup>23</sup> პრეამბულის მე-9 პარაგრაფი განსაზღვრავს, რომ:

“ტაივანი წარმოადგენს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წმინდა მიწის ნაწილს. ჩინელი ხალხის, მათ შორის, ტაივანელ თანამემამულეთა, ხელშეუხებელი ვალია აღასრულოს სამშობლოს გამთლიანების დიადი ამოცანა”

მეტიც, 2005 წელს, მიღებულ იქნა განსაკუთრებული კანონი «გამოყოფის აკრძალვის თაობაზე»,<sup>24</sup> რომლის 1-ი მუხლში კეთდება ოფიციალური განცხადება:

“მოცემული კანონი ჩამოყალიბდა კონსტიტუციის შესაბამისად და მიზნად ისახავს ტაივანის ჩინეთისგან გამოყოფისათვის, რომლისკენაც, «ტაივანის დამოუკიდებლობის» სახელით, მიიღტვიან სეპარატისტები, წინააღმდეგობის გაწევასა და შეჩერებას; ერის მშვიდობიანი გაერთიანების ხელშეწყობას, ტაივანის სრუტეში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და ჩინელი ხალხის ფუნდამენტური ინტერესების დაცვას.”

23 ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://english.gov.cn/archive/laws\\_regulations/2014/08/23/content\\_281474982987458.htm](http://english.gov.cn/archive/laws_regulations/2014/08/23/content_281474982987458.htm)

24 კანონი გამოყოფის წინააღმდეგ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.china.org.cn/english/2005lh/122724.htm>

ტაივანის სტატუსთან დაკავშირებით, «გამოყოფის აკრძალვის შესახებ» კანონის მე-2 მუხლი ითვალისწინებს:

*“მსოფლიოში მხოლოდ ერთი ჩინეთია. კონტინენტური ნაწილიც და ტაივანიც ერთიან ჩინეთს მიეკუთვნება. ჩინეთის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა განუყოფელია. ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ჩინელი ხალხის, მათ შორის, ტაივანელი თანამემამულეების, საერთო მოვალეობაა. ტაივანი ჩინეთის ნაწილია. სახელმწიფო არასდროს დაუშვებს «ტაივანის დამოუკიდებლობის» სახელით მოქმედი სეპარატისტული ძალების მიერ ტაივანის ჩინეთისგან გამოყოფას, რა სახელითაც თუ საშუალებითაც არ უნდა ხდებოდეს ამგვარი გამოყოფა.”*

გარდა ამისა, იმავე კანონის მე-3 მუხლი გამორიცხავს ნებისმიერ საერთაშორისო ჩარევას ტაივანის საკითხში:

*“ტაივანის საკითხი 1940-იანი წლების ჩინეთის სამოქალაქო ომის გადმონაშთია; ტაივანის საკითხის გადაწყვეტა და ერის გაერთიანება ჩინეთის შიდა საქმეა, და არ ექვემდებარება გარე ძალების ჩარევას.”*

მე-8 მუხლი დამატებით უსვამს ხაზს იმას, რომ:

*“იმ შემთხვევაში, თუკი «ტაივანის დამოუკიდებლობის» სახელით მოქმედი სეპარატისტული ძალები, ნებისმიერი სახელითა თუ საშუალებით, ეცდებიან ტაივანის ჩინეთისგან გამოყოფას, ან მოხდება რაიმე ინციდენტი, რომელსაც შედეგად მოყვება ტაივანის გამოყოფა ჩინეთისგან, ან სრულად იქნება ამოწურული მშვიდობიანი გაერთიანების საშუალებანი, სახელმწიფო მიმართავს არამშვიდობიან ზომებს და სხვა აუცილებელ საშუალებებს ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად.”*

ტაივანის სტატუსის განსაზღვრის შემდგომაც, «გამოყოფის აკრძალვის შესახებ» კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გარკვეული თანამშრომლობა, მაინც, აუცილებელია:

*“ტაივანის სრუტეში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად და სრუტეების გავლით ურთიერთობის მხარდასაჭერად, სახელმწიფო შემდეგ ზომებს მიიღებს:*

1. მეტი ურთიერთგაგებისა და ურთიერთდობის მისაღწევად, სრუტის გავლით კადრების გაცვლის მხარდაჭერა და წახალისება;
2. ეკონომიკური გაცვლისა და თანამშრომლობის, პირდაპირი სავაჭრო, საფოსტო, საჰაერო და სატრანსპორტო მომსახურების, სრუტის ორი მხარის უფრო მჭიდრო, ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური კავშირების მხარდაჭერა და წახალისება;
3. სრუტის გავლით საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, კულტურული, ჯანდაცვისა და სპორტის საკითხებთან დაკავშირებული გაცვლის მხარდაჭერა და წახალისება და ერთობლივი შრომა ჩინეთის სახელოვანი კულტურული ტრადიციების წინწასაწევად;
4. სრუტის გავლით დანაშაულთან ბრძოლის საქმეში თანამშრომლობის მხარდაჭერა და წახალისება;
5. ტაივანის სრუტეში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის აუცილებელი სხვა საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება და სრუტეების გავლით ურთიერთობის გაძლიერება;
6. სახელმწიფო იცავს ტაივანელ თანამემამულეთა უფლებებსა და ინტერესებს კანონმდებლობის შესაბამისად.”

შორეულ პერსპექტივაში, მე-7 მუხლი, აგრეთვე, განსაზღვრავს თანამოქმედების სავარაუდლო სფეროს:

“ტაივანის სრუტის ორი მხარე შეიძლება ჩაერთოს კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებში შემდეგ საკითხებზე:

1. ორ მხარეს შორის საომარი მოქმედებების ოფიციალური დასრულება;
2. სრუტეების გავლით ურთიერთობების განვითარების დაგეგმვა;
3. ერის გაერთიანებისაკენ გადასადგმელი მშვიდობიანი ნაბიჯები და მისაღები ზომები
4. ტაივანის ხელისუფლების პოლიტიკური სტატუსი;
5. ტაივანის რეგიონის მისი სტატუსის შესაბამისი საერთაშორისო ურთიერთობების უნარის განხილვა;
6. ერის მშვიდობიანი გაერთიანების მისაღწევად აუცილებელი სხვა ზომები.”

### ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა

წინარე პარაგრაფებიდან ნათლად ჩანს, რომ ჩინეთსა და ტაივანს შორის გარკვეული პოლიტიკური დაძაბულობა შენარჩუნებულია, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობის გარკვეული დონე საკვანძო მნიშვნელობას იძენს. ორივე ათწლეულის წინ, ვიდრე ჩინეთი თავად განდებოდა დიდი ეკონომიკური ძალა, მისი დაინტერესება ტაივანთან ბიზნეს კავშირების განვითარების საკითხში, განსაკუთრებით ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროსა და ინვესტიციებში, უფრო მაღალი იყო. დღესდღეისობით, ტაივანის, როგორც ჩინეთის ეკონომიკური პარტნიორის, მნიშვნელობა ნაკლებია, თუმცა იგი მაინც მნიშვნელოვანია და საკუთარ ნიშას იკავებს. ჩინეთთან ვაჭრობა ტაივანის მთლიანი ვაჭრობის მოცულობის, დაახლოებით, ერთი მეხუთეა. ტაივანის მიერ ჩინეთთან ეკონომიკური და სამოქალაქო ურთიერთობების ლიბერალიზაციას კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი, მიზეზი გაუჩნდა. რეგიონალურ სავაჭრო ბლოკებში წევრობამ გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძინა ტაივანისათვის სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ბარიერების შესამსუბუქებლად თუ აღმოსაფხვრელად. ამისთვის კი ჩინეთის «თანხმობის» გარანტირება გახდა საჭირო.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაწიერიდან, თვალსაჩინოა, რომ ჩინეთისა და ტაივანის მოწინააღმდეგე ვაჭრობის მრავალმხრივ სისტემაში უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩინეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი 2001 წლის 11 დეკემბერს გახდა, ტაივანი კი 2002 წლის 1 იანვარს (ოფიციალურად, «ტაივანის, პენგჰუს, კინმენსა და მაცუს განცალკევებული საბაჟო ტერიტორიის» სახელით). ტაივანს მიეცა საშუალება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისა, რადგანაც, ეს უკანასკნელი, მთავრობებისა და არა სახელმწიფოების გაერთიანებაა, განსხვავებით, მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისაგან (OECD).

თუმცადა, ჯერ-ჯერობით, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, არც «ვაჭრობის ყველაზე ხელსაყრელი რეჟიმი» (MFN), არც «ეროვნული რეჟიმი» (NT) არ გამოყენებულა ჩინეთსა და ტაივანს შორის მიმდინარე ეკონომიკურ და კომერციულ ურთიერთობებში. ჯერ კიდევ 2006 წელს, წარმოიშვა «პირსახოცების ომის» სახელით ცნობილი სავაჭრო დავა, რომელიც ჩინეთიდან ტაივანზე გატანილ პირსახოცებს ეხებოდა; საბოლოო ჯამში, საკითხი პოლიტიკურ დონეზე გადაიწია. სწორად ამის გამოა საჭირო ტაივანსა და ჩინეთს შორის განსაკუთრებული – „*sui generis*“ შეთანხმებები. შესაბამისად, ხელი მოეწერა «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმებას» (ECFA),<sup>25</sup> რომელიც ძალაში 2010 წელს შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების» ზოგიერთი, ადრეულ მოსავალთან დაკავშირებული, დებულება უკვე აღსრულდა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩარჩო ხელშეკრულებაა, აუცილებელია დამხმარე შეთანხმებების დადება ორივე მხარის მიერ სათანადო დეტალური რეგულირებისათვის. 2014 წლის მარტში «მომსახურებით ვაჭრობის» შეთანხმებებისა და

25 სრუტეების გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმება <http://www.ecfa.org.tw/EcfaAttachment/ECFADoc/ECFA.pdf>. ობიექტი: დანართები <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

«ჩარჩო შეთანხმების» შემდგომი განხორციელების წინააღმდეგ მიმართული პროტესტის («მზესუმზირა სტუდენტების მოძრაობა») გამო, ოფიციალურად, სხვა არც ერთი შეთანხმება დამტკიცებული. ზოგიერთი მოლაპარაკება კვლავაც მიმდინარეობს.

## ეკონომიკური თანამშრომლობა

სრუტეების გავლით თანამშრომლობის შესაძლებლობას საფუძველი 1992 წლის «კონსენსუსს»,<sup>26</sup> ჩინეთისა და ტაივანის ნახევრადოფიციალური წარმომადგენლების პოლიტიკურ განცხადებას, – მოყვა, რომელშიც ნათქვამია რომ «არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი», მაგრამ ამ ცნების განმარტებისადმი «განსხვავებული (შესაბამისი) მიდგომა» არსებობს.

1998 წლიდან მოყოლებული, მოცემული ნაშრომის შექმნამდე, ძალაში შევიდა 21 შეთანხმება და 2 კონსენსუსი, მათ შორის, საჰაერო და საზღვაო გადაზიდვებთან დაკავშირებით, საფოსტო მომსახურების თაობაზე, სურსათის უვნებლობაზე, ურთიერთდანიშნულებასა და თანამშრომლობაზე დანაშაულოთან ბრძოლის საქმეში, ფინანსურ და მონეტარულ თანამშრომლობაზე, სანიტარულ და ფიტოსანიტარულ საკითხებზე, თევზჭერის, სავაჭრო უფლებების დაცვის, სამედიცინო და ჯანდაცვის საკითხებზე, ბირთვული უსაფრთხოების, ინვესტიციების დაცვისა და წახალისების და საბაჟო თანამშრომლობის საკითხებზე. 2014 წელს კიდევ სამი შეთანხმების თაობაზე მიმდინარეობდა მოლაპარაკება – “შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის თაობაზე”, “მეტეოროლოგიურ საკითხებში თანამშრომლობის შეთანხმება” და “მიწისძვრების მონიტორინგის სისტემების თანამშრომლობის შეთანხმება”.<sup>27</sup>

## ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმება (ECFA)

სრუტეების გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება, სავარაუდოდ, 2010 წელს დადებული «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმება» (ECFA). ეს შეთანხმება ტაივანის «სრუტეების გავლით მიმოცვლის ფონდისა» და ჩინეთის «ტაივანის სრუტის გავლით ურთიერთობების ასოციაციის» ურთიერთშეთანხმების შედეგი გახდა, თანასწორობის, თანაზიარობის და პროგრესულობის პრინციპების დაცვითა და სრუტეების გავლით ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს ორ კერძო ორგანიზაციას შორის დადებული შეთანხმებაა, «ჩარჩო შეთანხმებას» ჩინეთისა და ტაივანის შესაბამისი შიდა ნორმების თანახმად გააჩნია განსაკუთრებული იურიდიული ძალა.

რადგანაც ჩინეთიც და ტაივანიც, ორივენი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დამოუკიდებელი წევრები არიან, «ჩარჩო შეთანხმების» პრეამბულაში ნათლად არის გაწერილი, რომ ორივე მხარე:

*“...თანხმდება, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ძირეული პრინციპების შესაბამისად, ორი მხარის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თანდათანობით შეამცირონ ან აღმოფხვრან ვაჭრობისა და ინვესტიციების ურთიერთშემაფერხებელი დაბრკოლებები, შექმნან სამართლიანი ვაჭრობისა და ინვესტირებისათვის აუცილებელი გარემო, ხელი შეუწყონ სრუტეების გავლით ვაჭრობის შემდგომ განვითარებასა და ინვესტირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს «სრუტეების გავლით თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების» ხელმოწერით.”*

<sup>26</sup> “1992 წლის კონსენსუსი” “სხვადასხვა განმარტებას” ნიშნავს, China Times (editorial), 2012 წლის 28 ნოემბერი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.kmt.org.tw/english/page.aspx?type=article&mnum=113&anum=12234>

<sup>27</sup> სრუტეების გავლით მიმოცვლა, <http://www.mac.gov.tw/hp.asp?ctNode=5890&mp=3>

მეტიც, მე-9 მუხლი მხარეებს ავალდებულებს, რომ:

*“მოცემული შეთანხმების არც ერთი დებულება არ უნა იქნას განმარტებული ისე, რომ არ მისცეს რომელიმე მხარეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებთან შესაბამისობაში მყოფი გამონაკლისი ზომების მიღებისა თუ შენარჩუნების საშუალება.”*

“ჩარჩო შეთანხმების” დეტალური შესავალი შემდეგნაირად განმარტავს განსხვავებულ მუხლებს.

### **მუხლი 1 – ამოცანები**

“ჩარჩო შეთანხმების” 1-ლი მუხლი შემდეგნაირად გაწერს ამოცანებს:

- “1. მხარეთა შორის ეკონომიკური, სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის გაძლიერება და ხელშეწყობა;*
- 2. მხარეთა შორის საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია და თანდათანობით, ინვესტირებისა და ინვესტიციების დაცვის სამართლიანი, გამჭვირვალე და ხელშემწყობი საშუალებების დანერგვა;*
- 3. ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროთა გაფართოება და თანამშრომლობის საშუალებების დანერგვა.”*

### **მუხლი 2 – თანამშრომლობის ზომები**

“ჩარჩო შეთანხმების” მე-2 მუხლი აღწერს სრუტეების გავლით თანამშრომლობის გაძლიერებაზე მიმართულ ზომებს:

*“საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, სრუტეების გავლით ეკონომიკური მიმოცვლისა და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, მხარეები თანხმდებიან, მიიღონ ქვემოთ მოყვანილი ზომები, მაგრამ არ არიან ვალდებულები, მხოლოდ ამ ზომებით შემოიფარგლონ:*

- 1. სასაქონლო ნომენკლატურის დიდ ნაწილში, თანდათანობით შეამცირონ ან აღმოფხვრან მხარეთა შორის ვაჭრობის შემაფერხებელი სატარიფო და არასატარიფო ბარიერები;*
- 2. მომსახურებით ვაჭრობის სფეროთა დიდ ნაწილში, თანდათანობით შეამცირონ ან აღმოფხვრან მხარეთა შორის ვაჭრობის შემაფერხებელი შეზღუდვები;*
- 3. ხელი შეუწყონ ორმხრივ ინვესტირებას და მიიღონ ინვესტიციების დამცავი ზომები;*
- 4. ხელი შეუწყონ სამრეწველო გაცვლასა და თანამშრომლობას და გაამარტივონ ვაჭრობა და ინვესტირება.”*

### **მუხლი 3 – სასაქონლო ვაჭრობა**

მუხლი 3.1-ში აღნიშნულია, რომ:

*“მხარეები თანხმდებიან, მოცემული შეთანხმების მე-7 მუხლის ფარგლებში მოყვანილი «ადრეული მოსავლის» სასაქონლო ვაჭრობის პრინციპის საფუძველზე, ჩაატარონ სასაქონლო ვაჭრობის საკითხისადმი მიძღვნილი კონსულტაციები არაუგვიანეს 6 თვის ვადაში მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან და უმოკლეს ვადაში დაასრულონ ხსენებული კონსულტაციები.”*

თუმცა, მოცემული ნაშრომის მომზადების დროისათვის, სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის მიზეზის გამო, სხვა აღმასრულებელი შეთანხმება ჯერ არ გატარებულა. შესაბამისად, «ექსპრესიანი ვადის» მოთხოვნა მოცემულ დებულებაში მოჩვენებითი ჩანს.

სასაქონლო ვაჭრობის «ადრეული მოსავლის» პრინციპთან მიმართებაში, «ჩარჩო შეთანხმების» 7.1 მუხლში ნათქვამია:

“მოცემული შეთანხმების ამოცანების შესრულების დასაჩქარებლად, მხარეები თანხმდებიან, განახორციელონ «ადრეული მოსავლის» პროგრამის პირველ დანართში<sup>28</sup> (“სასაქონლო ნომენკლატურა და ტარიფების შესამცირებელი ზომები სასაქონლო ვაჭრობის “ადრეული მოსავლის” პრინციპის თანახმად”) მოყვანილ სასაქონლო სიასთან მიმართებაში.”

მუხლი 3.2 განსაზღვრავს, რომ:

“სასაქონლო ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული კონსულტაციები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:

1. ტარიფების შემცირებისა და აღმოფხვრის გზები;
2. წარმოშობის დადგენის წესები;<sup>29</sup>
3. საბაჟო პროცედურები;
4. არასატარიფო ზომები, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერები (TBT) და სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (SPS);
5. ვაჭრობის სამართლებრივი დაცვის ზომები, მათ შორის «ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების» მე-6 მუხლის აღსრულების თაობაზე შეთანხმების», «სუბსიდირებისა და კომპენსირების ზომების თაობაზე შეთანხმებისა» და «ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დამცავი ზომების თაობაზე და მხარეთა შორის დამცავი ზომების მიღების თაობაზე შეთანხმების»<sup>30</sup> ფარგლებში მოცემული ზომები, რომლებიც მიესადაგება მხარეთა შორის სასაქონლო ვაჭრობას.”

#### მუხლი 4 – მომსახურებით ვაჭრობა

მომსახურებით ვაჭრობის რეგულირების მიზნით, «ჩარჩო შეთანხმების» მუხლი 4.1 ადგენს:

“მხარეები თანხმდებიან, მე-8 მუხლის ფარგლებში მოყვანილი მომსახურებით ვაჭრობის ადრეული მოსავლის პრინციპის თანახმად, ჩაატარონ კონსულტაციები მომსახურებით ვაჭრობის საკითხზე შეთანხმების მიზნით, არაუგვიანეს 6 თვის ვადაში მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან და უმოკლეს ვადაში დაასრულონ ხსენებული კონსულტაციები.”

მომსახურების სფეროში «ადრეული მოსავლის» პროგრამა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული 8.1. მუხლში:

“მოცემული შეთანხმების ამოცანების შესრულების დასაჩქარებლად, მხარეები თანხმდებიან, განახორციელონ «ადრეული მოსავლის პროგრამა» მე-4 დანართში მოყვანილ სფეროებში და ჩამოთვლილი ლიბერალიზაციის ზომების მიხედვით. «ადრეული მოსავლის პროგრამა» უნდა განხორციელდეს მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან უმოკლეს ვადაში.”

28 დანართი I. სასაქონლო ნომენკლატურა და ტარიფების შემცირებაზე მიმართული ზომები სასაქონლო ვაჭრობის ადრეული მოსავლის თანახმად <http://www.ecfa.org.tw/EcfaAttachment/ECFADoc/Annex%20I%20Product%20List%20and%20Tariff%20Reduction%20Arrangements.pdf>. იხილეთ: დანართი <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

29 დანართი II. ნაწარმისადმი გამოსაყენებელი წარმოშობის დადგენის დროებითი წესები. <http://www.ecfa.org.tw/EcfaAttachment/ECFADoc/Annex%20II%20Provisional%20Rules%20of%20Origin%20Applicable%20to%20Products.pdf>. იხილეთ დანართები <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

30 დანართი III. მხარეთა შორის გამოსაყენებელი დაცვითი ზომები ადრეული მოსავლის პრინციპით სასაქონლო ვაჭრობისათვის <http://www.ecfa.org.tw/EcfaAttachment/ECFADoc/Annex%20III%20Safeguard%20Measures%20Between%20the%20Two%20Parties.pdf>. იხილეთ დანართები <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>



“ჩარჩო შეთანხმების” მე-4 დანართი დასათაურებულია, როგორც “მომსახურებით ვაჭრობის საკითხში “ადრეული მოსავლის” სფეროები და ლიბერალიზაციის ზომები”.<sup>31</sup>

მიუხედავად ამისა, მსგავსად სასაქონლო ვაჭრობისა, არანაირი დამატებითი შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის სფეროში არ შემდგარა «ჩარჩო შეთანხმების» ძალაში შესვლიდან ექვსი თვის ვადაში. მეტიც, «ადრეული მოსავლის პროგრამის» ეკონომიკური მასშტაბი მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სასაქონლო ვაჭრობაზე გაცილებით მცირეა.

*“მომსახურებით ვაჭრობის თაობაზე შეთანხმების კონსულტაციები მიზნად ისახავს (მუხლი 4.2):*

1. თანდათანობით შემცირდეს ან გაუქმდეს მხარეთა შორის მომსახურებით ვაჭრობის მრავალ სფეროში არსებული შეზღუდვები;
2. მეტად გაფართოვდეს და გაღრმავდეს მომსახურებით ვაჭრობა;
3. ხელი შეეწყოს მხარეთა შორის მომსახურებით ვაჭრობის საკითხზე თანამშრომლობას.”*მუხლი 6 – შემდგომი შესაძლო ეკონომიკური თანამშრომლობა.*”

გარდა სასაქონლო ვაჭრობისა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროებისა, მხარეები შეთანხმდნენ, გაეძლიერებინათ ეკონომიკური თანამშრომლობა შემდეგ სფეროებში:

- “1. საავტორო უფლებების დაცვა და თანამშრომლობა;
2. ფინანსური თანამშრომლობა;
3. ვაჭრობის ხელშეწყობა და გამარტივება;
4. საბაჟო თანამშრომლობა;
5. თანამშრომლობა ელექტრონული კომერციის სფეროში;
6. სამრეწველო თანამშრომლობის მოწყობისა და ძირითადი მიმართულებების განხილვა, თანამშრომლობა მსხვილი პროექტების განხორციელების საქმეში, იმ პრობლემების გადაწყვეტის კოორდინირება, რაც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის სამრეწველო თანამშრომლობის ფარგლებში;
7. მხარეთა შორის მცირე და საშუალო მეწარმეთა თანამშრომლობის ხელშეწყობა, და ამ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის გაძლიერება;
8. მხარეთა ეკონომიკური და სავაჭრო ორგანოების მიერ წარმომადგენლობების გახსნის მხარდაჭერა.”

## **მუხლი 10 – დავათა გადაწყვეტა**

ამ მუხლის პირველი პარაგრაფის თანახმად:

*“მხარეები ჩაერთვებიან კონსულტაციებში დავების გადაწყვეტის შესაბამისი პროცედურის ჩამოყალიბების მიზნით არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან, და, უმოკლეს ვადაში, მიაღწევენ შეთანხმებას იმ დავების გადაწყვეტის საქმეში, რაც მოცემული შეთანხმების განმარტებას, აღსრულებასა თუ გამოყენებას შეიძლება მოყვას.”*

ამ ნაშრომის მომზადების დროისთვის, დავათა გადაწყვეტის სპეციალური პროცედურების შესახებ მოლაპარაკება არ დაწყებულა. შესაბამისად, პრაქტიკული გამოყენება, დღესდღეობით, მხოლოდ მოცემული მუხლის მეორე პარაგრაფს აქვს:

*“მოცემული შეთანხმების განმარტებასთან, აღსრულებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, ვიდრე ძალაში შევიდოდეს მოცემული მუხლის 1-ელ პარაგრაფში ნახსენები დავების გადაწყვეტის შეთანხმება, უნდა*

31 დანართი IV. მომსახურებით ვაჭრობის ადრეული მოსავლის პრინციპების ფარგლებში განსაზღვრული სფეროები და ლიბერალიზაციის ზომები <http://www.ecfa.org.tw/EcfaAttachment/ECFADoc/Annex%20IV%20Sectors%20and%20Liberalization%20Measures.pdf>. იხილეთ დანართები <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

გადაწყდეს მხარეთა შორის კონსულტაციის გზით ან, შესაბამისი გზით, «სრუტის გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის» მიერ, რომელიც დაფუძნებულ იქნება მოცემული შეთანხმების მე-11 მუხლის შესაბამისად.”

რეალურად, «სრუტის გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი» უკვე დაფუძნდა 2011 წლის 6 იანვარს.

### **მუხლი 11 – “სრუტის გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტი”**

კომიტეტის პასუხისმგებლობის სფერო შემდგომს მოიცავს:

1. მოცემული შეთანხმების ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი კონსულტაციები;
2. მოცემული შეთანხმების შესრულების შეფასება და მონიტორინგი;
3. მოცემული შეთანხმების დებულებათა განმარტება;
4. მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სავაჭრო ინფორმაციის გავრცელება;
5. მოცემული შეთანხმების მე-10 მუხლის შესაბამისად, მოცემული შეთანხმების განმარტებასთან, შესრულებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის გადაწყვეტა.”

### **მუხლი 16 – “ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების” შეწყვეტა**

მისი მოქმედების შეწყვეტასთან დაკავშირებით, «ჩარჩო შეთანხმების» მე-16 მუხლში ნათქვამია:

1. მოცემული შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის მოსურნე მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს ამის თაობაზე მეორე მხარეს. მხარეები დაიწყებენ კონსულტაციებს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაცემიდან 30 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუკი კონსულტაციების გზით მოლაპარაკება ვერ შედგება, მოცემული შეთანხმება შეწყვეტილად ითვლება შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაცემიდან 180-ე დღეს.
2. მოცემული შეთანხმების შეწყვეტიდან 30 დღის ვადაში, მხარეები იწყებენ კონსულტაციებს შეთანხმების მოქმედებების შეწყვეტიდან გამომდინარე საკითხებზე.”

### **ინვესტიციების დაცვა**

ჩინეთის ეკონომიკაში ტაივანურმა ინვესტიციებმა 2013 წლის სექტემბრისათვის, დაახლოებით, 110 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. მეტიც, დაახლოებით 2 მილიონი ტაივანელი, დღესდღეობით, ჩინეთში ცხოვრობს.

“ჩარჩო შეთანხმების” 5.1 მუხლის თანახმად:

“მხარეები თანხმდებიან, ჩაატარონ მოცემული მუხლის მე-2 პარაგრაფით განსაზღვრული კონსულტაციები, მოცემული შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი თვის განმავლობაში და უმოკლეს ვადაში მიაღწიონ შეთანხმებას.”

უფრო კონკრეტულად კი, 5.2 მუხლის თანახმად, ასეთი შეთანხმება უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოყვანილ პუნქტებს (მაგრამ ის, ამ პუნქტებით არ უნდა იყოს შემოფარგლული):

1. ინვესტიციების დაცვის საშუალებების დანერგვა;
2. ინვესტირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გამჭვირვალობის გაზრდა;

3. მხარეთა შორის ინვესტიციების ხელისშემშლელი შეზღუდვების თანდათანობითი შემცირება;
4. ინვესტირების გამარტივების ხელშეწყობა.”

ხსენებული ამოცანის შესასრულებლად, ჩინეთმა და ტაივანმა, 2012 წლის აგვისტოში, ხელი მოაწერეს «სრუტის გავლით ინვესტირების ორმხრივი დაცვისა და ხელშეწყობის»<sup>32</sup> (BIPPA) შეთანხმებას.

ამ შეთანხმების პრეამბულაში ვკითხულობთ:

“ტაივანის სრუტის გავლით ინვესტირების უფლებათა და ინტერესთა დასაცავად, ინვესტირების ორმხრივი დაცვის ხელშეწყობად, მიუკერძოებელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად და სრუტის გავლით ეკონომიკური კეთილდღეობის გასაძლიერებლად, «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების» მე-5 მუხლის თანახმად, «სრუტის გავლით მიმოცვლის ფონდი» და «ტაივანის სრუტის გავლით ურთიერთობების ასოციაცია» თანხმდებიან თანასწორი მოლაპარაკებების...”

უშუალო გამოყენების თვალსაზრისით, მუხლი 2.1 განსაზღვრავს მასშტაბს და ადგენს, რომ:

“მოცემული შეთანხმება განსაზღვრავს მხარის მიერ მეორე მხარის ინვესტირებისა და მათი ინვესტიციების მიმართ მიღებულ და გამოყენებულ ზომებს.”

“ინვესტირების ორმხრივი შეთანხმების” აღსრულების საკითხზე (მუხლი 2.4):

“მხარეს აქვს უფლება მიიღოს, გამოიყენოს და აღასრულოს ნებისმიერი, მის მიერ საჭიროდ მიჩნეული ზომა საკუთარი უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ინტერესის დასაცავად.”

მუხლი 2.7, აგრეთვე, გამორიცხავს შეთანხმების გამოყენებას საჯარო შესყიდვების, ერთ-ერთი მხარის მიერ გამოყოფილი სუბსიდიებისა თუ გრანტების მიმართ და, გარდა სხვა მუხლების მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა, ეს შეთანხმება არ გამოიყენება ნებისმიერი მხარის საგადასახადო სისტემის მიმართ (მუხლი 2.8).

იმავე ლოგიკის გამოყენებით, რაც «ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების» (GATT) მე-20 მუხლს ახლავს, «ინვესტირების ორმხრივი დაცვის» შეთანხმების მუხლი 2.5 განსაზღვრავს შესაძლო გამოწვევებს და ადგენს, რომ:

“მხარეს უფლება აქვს შემოიღოს და გამოიყენოს ინვესტირების შემდეგი შემზღუდავი ზომები, გამომდინარე არადაუსაბუთებელი და არაგაუმართლებელი დისკრიმინაციის პრინციპიდან და იმ პირობით, რომ ამგვარი ზომები არ წარმოადგენს ვაჭრობისა თუ ინვესტირების შეზღუდვის ფარულ მცდელობას:

1. ზომები, რომლებიც აუცილებელია მოცემულ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მყოფი კანონებისა და რეგულაციების დაცვის უზრუნველსაყოფად;
2. ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად აუცილებელი ზომები;
3. ამოწურვადი ბუნებრივი რესურსების დასაცავად აუცილებელი ზომები.”

ინვესტიციების დაცვის თვალსაზრისით, «ინვესტირების ორმხრივი დაცვის» შეთანხმების 3.1 მუხლი აყალიბებს დაცვის სტანდარტებს:

32 “სრუტის გავლით ინვესტირების ორმხრივი დაცვისა და ხელშეწყობის შეთანხმება” (Cross-Strait Bilateral Investment Protection and Promotion Agreement (BIPPA)). ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე [http://www.mac.gov.tw/public/ Attachment/210417181458.pdf](http://www.mac.gov.tw/public/Attachment/210417181458.pdf) (მხოლოდ ჩინურ ენაზე, შეთანხმების ტექსტის ყველა მოყვანილი თარგმანი ავტორისეული და არ არის ოფიციალური თარგმანი).

“თითოეული მხარე უზრუნველყოფს მეორე მხარის ინვესტორებისა და მათი ინვესტიციების სამართლიან და თანასწორ მოპყრობას, და უზრუნველყოფს სრულ დაცვასა და უსაფრთხოებას:

1. სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა გულისხმობს, რომ მხარის მიერ მიღებული ზომები უნდა შეესაბამებოდეს სამართალწარმოების სათანადო პროცედურებს და მეორე მხარის ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სამართალწარმოება და სამართლიანი სასამართლო პროცედურები, და რომ აშკარად დისკრიმინაციული და დაუსაბუთებელი ხასიათის ზომები მიღებული არ იქნება.
2. სრული დაცვა და უსაფრთხოება გულისხმობს, რომ მხარე მიიღებს გონივრულ და საჭირო ზომებს, რათა დაიცვას მეორე მხარის ინვესტორებისა და მათი ინვესტიციების უსაფრთხოება.”

დამატებით, ტაივანელი ინვესტორების სასარგებლოდ, მუხლი 3.2 განსაზღვრავს, რომ:

“მხარეები განახორციელებენ ინვესტორებისა და მათი პერსონალის პირადი თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის გამიზნულ ზომებს, პირნათლად შეასრულებენ თავისუფლების საკითხთან დაკავშირებული შეტყობინების ვალდებულებას გაწერილ ვადებში და საკუთარი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების შესაბამისად, და ისწრაფვიან შეტყობინების არსებული საშუალებების გასაუმჯობესებლად.”

შესაძლებლობები, დავების გადაწყვეტის საკითხში, ერთადერთი შეზღუდული საშუალებითაა შემოფარგლული. მუხლი 3.6 განსაზღვრავს:

“მეორე მხარის ინვესტორებს არ აქვთ უფლება, წამოიწყონ დავის გადაწყვეტის პროცედურები გარდა მოცემული შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.”

გამჭვირვალობისა და ინვესტირების გამარტივების საკითხებთან დაკავშირებით, «ინვესტირების ორმხრივი დაცვის» შეთანხმების მუხლი 4.1 განსაზღვრავს:

“მხარე ვალდებულია, საკუთარი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების შესაბამისად, დროულად გამოაქვეყნოს და სწავგვარად გაასაჯაროვოს ინვესტირებასთან დაკავშირებული კანონები, რეგულაციები, ზომები, პროცედურები და სხვ., რაც ზოგადად ან განსაკუთრებით მიესადაგება მეორე მხარეს.”

დამატებით, მუხლი 6.2 მოითხოვს, რომ:

“მხარეები თანხმდებიან, გაუადვილონ ერთმანეთს ინვესტირება.”

შესაძლო ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით, მუხლი 7.1 განსაზღვრავს შემდეგს:

“მხარეს არ აქვს უფლება, მოახდინოს მეორე მხარის მიერ განხორციელებული ინვესტიციისა თუ ინვესტიციიდან მიღებული მოგების ექსპროპრიაცია (მათ შორის, პირდაპირი თუ ირიბი ექსპროპრიაციის გზით), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა პირობაა დაცული:

1. არსებობს საზოგადოებრივი საჭიროება;
2. დაცულია მხარის სამართლებრივი ნორმები და რეგულაციები და სამართალწარმოების სათანადო პროცედურები;
3. არ აქვს ადგილი დისკრიმინაციასა და დაუსაბუთებლობას;

4. კომპენსაციის გადახდა ხორციელდება მოცემული მუხლის მე-4 პარაგრაფის შესაბამისად.”

მე-8 მუხლი, აგრეთვე, გაწერს ზარალის ანაზღაურების სტანდარტებს:

“თუკი რომელიმე მხარის ინვესტორი განიცდის ზარალს ინვესტიციაზე ან ინვესტიციიდან მისაღებ მოგებაზე მეორე მხარის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტის, განსაკუთრებული მდგომარეობისა თუ მსგავსი მოვლენის გამო, რომელსაც ადგილი აქვს მეორე მხარის ტერიტორიაზე, მეორე მხარე ვალდებულია, აანაზღაუროს, გაუწიოს კომპენსაცია ან გამონახოს სხვა გადაწყვეტილება, არანაკლებ მოპყრობისა, რომლითაც სარგებლობენ თავად ამ მხარის ინვესტორები ან ნებისმიერი მესამე მხარის ინვესტორები მსგავს გარემოებებში, იმის მიხედვით, თუ რომელია ამ გადაწყვეტილებათა შორის ყველაზე ხელსაყრელი ინვესტორებისათვის.”

როგორც ზემოთ ითქვა, ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის შესაძლებლობები, ამ თვალსაზრისით, შეზღუდულია. ჩინეთსა და ტაივანს შორის წარმოშობილი დავების თაობაზე «ინვესტირების ორმხრივი დაცვის» შეთანხმების მე-12 მუხლი განსაზღვრავს:

“მხარეთა შორის მოცემული შეთანხმების განმარტების, აღსრულებისა და გამოყენების თაობაზე წარმოშობილი დავები უნდა გადაწყდეს «სრუტეების გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების» მე-10 მუხლის პირობების თანახმად [ე.ი., “სრუტეების გავლით ეკონომიკური თანამშრომლობის კომიტეტის” მიერ].”

მიუხედავად ამისა, ინვესტორსა და მიმღებ მხარეს შორის წარმოშობილი დავის შემთხვევაში, არსებობს დავის გადაწყვეტის სხვა, ინვესტიციებთან დაკავშირებული დავების საერთაშორისო გადაწყვეტის პრაქტიკის მსგავსი შესაძლო საშუალებები. მაგალითად, მე-13 მუხლიდან გამომდინარე, ინვესტორსა და მიმღებ მხარეს შორის წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად, დავის გადაწყვეტის შემდეგი გზებია ნაპირაუდევო:

- “1. დავის მხარეთა მეგობრული მორიგება;
2. დავის კოორდინაცია ინვესტიციის განხორციელების ადგილას არსებული კოორდინაციის მექანიზმისა თუ ზემდგომი უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით;
3. მოცემული შეთანხმების მე-15 მუხლით გათვალისწინებული დავების გადაწყვეტის მექანიზმის გამოყენებით;
4. ინვესტორი უფლებამოსილია, მოცემული შეთანხმებიდან გამომდინარე ინვესტიციის მიხედვით კომპენსაციასთან დაკავშირებით ინვესტორსა და მიმღებ მხარეს შორის წარმოშობილი დავის გადაწყვეტის საკითხში შუამავლობის მოთხოვნით მიმართოს «სრუტის გავლით საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ორგანოს». ყოველ ექვს თვეში ერთხელ, «სრუტის გავლით საინვესტიციო დავების გადაწყვეტის ორგანო» ანგარიშვალდებულია მოცემული შეთანხმების მე-15 მუხლით განსაზღვრული «საინვესტიციო სამუშაო ჯგუფის» წინაშე, ატყობინებს რა მას ინვესტიციების მიხედვით კომპენსაციებთან დაკავშირებული მიმდინარე დავების მდგომარეობას;
5. მიმართვა სასამართლოს მიმღები მხარის ადმინისტრაციული თუ სასამართლო სამართალწარმოების წესით.”

“ინვესტირების ორმხრივი დაცვის” შეთანხმების მე-14 მუხლი უკავშირდება ინვესტირებასთან დაკავშირებულ კომერციულ დავებს. თავდაპირველად, როდესაც ერთ-ერთი მხარის ინვესტორი კომერციულ გარიგებას დებს მეორე მხარის კერძო თუ იურიდიულ პირთან ან სხვა ორგანოსთან შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების გათვალისწინებით

და მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის დაცვით, გარიგების მხარეები უფლებამოსილები არიან, წინასწარ დათქვან კომერციულ დავათა გადაწყვეტის გზები. დამატებით, მსგავსი გარიგება შეიძლება შეიცავდეს დებულებას ინვესტიციასთან დაკავშირებული კომერციული დავების არბიტრაჟის გზით გადაწყვეტის შესახებ. თუკი დებულება არბიტრაჟის შესახებ არ არის გარიგებაში გაწერილი, მოდავე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ და გადასცენ დავა არბიტრაჟს, მისი წარმოშობის შემდგომ. არბიტრაჟისათვის, კომერციული დავის მხარეებმა შეიძლება განაწესონ სრუტის ნებისმიერ მხარეს მდებარე საარბიტრაჟო ორგანო და შეთანხმდნენ საარბიტრაჟო სასამართლოს ადგილსამყოფელზე. თუკი არბიტრაჟის საკითხი არ არის გაწერილი კომერციულ გარიგებაში, მოდავე მხარეებს, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შეუძლიათ მიმართონ სრუტის ნებისმიერ მხარეს მდებარე საარბიტრაჟო სასამართლოს. და ბოლოს, ორივე, ჩინეთიც და ტაივანიც, ადასტურებს, რომ კომერციული გარიგების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ არბიტრაჟის შედეგების აღიარება შესაბამისი სამართლებრივი ნორმებისა და რეგულაციების შესაბამისად.

## დასკვნა: ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში და მის მიღმა

როგორც აღინიშნა, დღესდღეისობით, ჩინეთსა და ტაივანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, მნიშვნელოვანწილად, «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმებასა» და «სრუტის გავლით ინვესტირების ორმხრივი დაცვისა და ხელშეწყობის შეთანხმებას» ეფუძნება. საქონლისა და მომსახურების რამდენიმე დასახელება უკვე მოცულია «ადრეული მოსავლის» პროგრამით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საბედნიეროდ, ტაივანელი ინვესტორები და ინვესტიციები ჩინეთში სათანადოდაა დაცული «ინვესტიციების ორმხრივი დაცვის» შეთანხმებით, თუნდაც, ჩინელი ინვესტორები და ინვესტიციები ტაივანზე კვლავაც იშვიათობაა, ტაივანის მთავრობის მიერ პოლიტიკური მიზეზებით გამოყენებული სამართლებრივი შეზღუდვების გამო. შესაბამისად, საჭიროა მეტი მოლაპარაკება.

“ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმებას” რამოდენიმე თანდაყოლილი ნაკლი აქვს, გარდა ამისა, შემდგომ მოლაპარაკებას რამოდენიმე გარე ფაქტორიც აფერხებს.

რაც შეეხება «ჩარჩო შეთანხმებას», ვინაიდან იგი, მხოლოდ და მხოლოდ, ჩარჩო შეთანხმებაა, ტექსტში გამოყენებული ტერმინები მეტისმეტად პოლიტიკური და ორწარმოვანი ხასიათისაა. სამართლებრივი თვალსაზრისით, «ჩარჩო შეთანხმება», ზოგჯერ, «რბილ», არასავალდებულო კანონად გვევლინება, ესაჭიროება რა მეტი დამატებითი, დამხმარე შეთანხმებები ეკონომიკური თანამშრომლობის უშუალო განხორციელებისათვის. «ჩარჩო შეთანხმება» ისეთი წიგნის სარჩევითაა, რომლის გვერდებიც ჯერ არ შევსებულა.

სხვა ფაქტორების თვალსაზრისით, 2014 წლის მარტში, მომსახურების სექტორში მეტი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად მოწოდებული «სრუტის გავლით მომსახურებით ვაჭრობის შეთანხმების» კონგრესის მიერ რატიფიკაციას მრავალი სტრუქტურული პროტესტი მოყვა ტაივანზე. ძირითადად, კოლეჯის სტრუქტურებისა და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მეოხებით ორგანიზებული «მწესუმწირების მოძრაობა»<sup>33</sup> გამოდიოდა, მარტივად რომ ვთქვათ, ჩინეთში ინვესტირებად დანახულ «მდიდრებსა» და «ღარიბებს» (ტაივანის უბრალო მოსახლეობა) შორის უკანასკნელ წლებში მზარდი სხვაობის წინააღმდეგ, და გამოხატავდა მიმართველი პარტიის (კომინტანის (გომინდანი)) მიმართ მზარდ უნდობლობას. მოვლენები, საბოლოოდ, ტაივანის კონგრესის (საკანონმდებლო იუანის) დროებითი, თითქმის ერთთვიანი, ოკუპაციითა და მინისტრთა კაბინეტის (ადმინისტრაციული იუანის) შენობაში ძალმომრეობითი შეღწევით დასრულდა. «მწესუმწირის» მოძრაობის აზრით, სრუტის გავლით დადებული ნებისმიერი შეთანხმების თითოეული მუხლი, სათითაოდ, კონგრესის მიერ, ან, მეტიც, საჯარო რეფერენდუმზე, უნდა შეფასებულიყო. დღევანდელი მდგომარეობით, მსგავსი შეთანხმებების უმრავლესობა

<sup>33</sup> «მწესუმწირის მოძრაობა» აღნიშნავს 2014 წლის მომხდარ სტრუქტურულ და სამოქალაქო ჯგუფთა პროტესტებს იმ შეთანხმების დადების წინააღმდეგ, რომლის ფარგლებშიც უნდა გამარტივებულიყო მომსახურებით ვაჭრობა ჩინეთთან.

კაბინეტის მიერ იქნა რატიფიცირებული, კონგრესს კი ამის თაობაზე უბრალოდ შეტყობინება მისდიოდა – გარდა «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმებისა», რომლის შემთხვევაშიც კენჭისყრა კი ჩატარდა, მაგრამ დოკუმენტის მთლიანი ტექსტის მიხედვით.

გარდა ამ მოძრაობის საზრუნავისა, ტაივანზე მცხოვრები სხვა მრავალი ადამიანიც ფრთხილობს ჩინეთთან სამომავლო გაერთიანებასთან დაკავშირებით, იქნება ამგვარი გაერთიანება ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი. ჩინეთთან მეტი ეკონომიკური თანამშრომლობა მასზე მეტ დამოკიდებულებას ქმნის. თუმცადა, ჩინეთის მსოფლიო ეკონომიკური გავლენის ზრდასთან ერთად, ძნელია იმის ვარაუდი, თუ ჩინეთთან თუ ჩინეთთან თანაარსებობისათვის რამდენად უფრო უსაფრთხო გზის გამონახვას შეძლებს ტაივანი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთში ტაივანურმა იმიგრაციამ დაახლოებით ორ მილიონ ადამიანს მიაღწია – ძირითადად ბიზნესმენებისა და მათი თანამშრომლების სახით. ეს რიცხვი ტაივანის საერთო ოცდასამილიონიანი მოსახლეობის თითქმის მესამედია, მაშინ, როცა ჩინეთში 1,3 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. მეტიც, 2013 წელს, ტაივანი 2,87 მილიონმა ჩინელმა ტურისტმა მოინახულა, რამაც თითქმის 5,000 სტუმარი შეადგინა დღეში. მეორეს მხრივ, ტურიზმს ტაივანისათვის შემოსავალი მოაქვს და უკეთეს წარმოდგენას უქმნის ჩინელებს დემოკრატიული ტაივანის შესახებ. მარტივად რომ ვთქვათ, სავაჭრო და ბიზნეს ინტერესების ეროვნულ იდენტობასთან ურთიერთქმედების დილემა ადვილი გადასაწყვეტი არ არის.

ტაივანის 2014 წლის ნოემბრის მოვლენები ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობისადმი გარკვეული წინააღმდეგობის მაჩვენებელია. ნოემბრის ბოლოს შემდგარი შიდა არჩევნების შედეგებმა ცხადყო, რომ სულ უფრო მეტი ტაივანელი უჭერს მხარს «დემოკრატიული პროგრესის პარტიას», რომლის პოზიციაც კონტინენტური ჩინეთისგან ტაივანის დისტანცირებას გულისხმობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთსა და ტაივანს შორის უკვე დადებული «ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო შეთანხმება» ძალაში რჩება, შემდგომი მოლაპარაკებების სინშირემ შეიძლება დროებით იკლოს.

## ვაჭრობა სერბეთსა და კოსოვოს შორის

პრედრაგ ბიელიჩი

### შესავალი

კოსოვოს ღრმად აქვს გადგმული ფესვები სერბეთის ისტორიაში, მითოლოგიასა და რელიგიაში. ოდესღაც შუასაუკუნოვანი სერბული სამთავროების ნაწილი, კოსოვო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სერბული იმპერიის ნგრევის ისტორიაში თურქული დაპყრობის შემდგომ. კოსოვოს ბრძოლამ უკვდავება ჰპოვა სერბულ ფოლკლორში სერბეთში ოსმალის მბრძანებლობის პერიოდში. ბალკანეთის ომების შემდგომ, როდესაც სერბეთმა ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა, კოსოვო შევიდა თანამედროვე სერბეთის შემადგენლობაში და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, სერბების, ხორვატებისა და სლოვენელების სამეფოს (შემდგომში, იუგოსლავიის სამეფო) ნაწილი გახდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოსოვო სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი იყო და გარკვეულ საზღვრებში, შეზღუდული ავტონომიით სარგებლობდა. ეს ავტონომია მოგვიანებით გაფორმდა როგორც კოსოვოსა და მეტოქის ავტონომიური პროვინცია. მღელვარება კოსოვოში 1980-იან წლებში დაიწყო, პრეზიდენტ ტიტოს სიკვდილის შემდეგ, როდესაც კოსოვოელმა ალბანელებმა მეტი თვითმმართველობა მოითხოვეს. 1990-ებში, კოსოვოსა და მეტოქიას ჩამოერთვა ავტონომია სერბული მთავრობის მიერ, სლობოდან მილოშვიჩის მეთაურობით.

კოსოვოს კრიზისი დასრულდა იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ინტერვენციით, 1999 წელს. მდგომარეობა გადაწყდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციის (UNSCR 1244) მიღებით, რომლის ძალითაც კოსოვო საერთაშორისო (გაეროს) კონტროლს დაექვემდებარა. იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთიანი ბაზარი დაიყო სამ საბაჟო ტერიტორიად – უშუალოდ სერბეთი (რომელმაც მოიცვა ცენტრალური სერბეთი და ვოივოდინას ავტონომიური პროვინცია), მონტენეგრო და კოსოვო და მეტოქია.<sup>34</sup> კოსოვოსა და მეტოქის ავტონომიური პროვინცია, სერბეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური ნაწილი, გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუციის ძალით მოექცა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ და შეიქნა გაეროს განსაკუთრებული მისია – გაეროს მისია კოსოვოში (UNMIK). კოსოვო, როგორც ამ ტერიტორიას მოიხსენიებს რეზოლუცია, გარდაიქმნა დამოუკიდებელ საბაჟო ტერიტორიად, მაგრამ სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და წარმოების უზენაესი უფლებამოსილება კოსოვოში გაეროს მისიას გადაეცა.

სერბეთმა, ფაქტიურად, ცნო კოსოვო დამოუკიდებელ საბაჟო ტერიტორიად, მოაწერა რა ხელი ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განახლებულ ვერსიას 2006 წელს (ე.წ. CEFTA 2006<sup>35</sup>), რადგანაც ხსენებული შეთანხმების ხელმოწერი მხარე კოსოვოში გაეროს მისია იყო, რომელიც კოსოვოს საბაჟო ტერიტორიის სახელით მოქმედებდა, გაეროს უშიშროების საბჭოს 1244-ი რეზოლუციით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. სერბეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებისა და აღსრულების უფლებამოსილება კოსოვოს ტერიტორიაზე, როგორც სავაჭრო სუვერენიტეტის მატყუნებელი, კოსოვოში გაეროს მისიას მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, რომელიმე ტერიტორიის განცალკევებულ საბაჟო ტერიტორიად და საერთაშორისო ვაჭრობის სუბიექტად აღიარება არ გულისხმობს იმავე ტერიტორიის სამართლებრივ აღიარებას დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ.<sup>36</sup>

34 P. Bjelić (2011). 'Međunarodna trgovina', Centar za izdavačku delatnost Ekonomskog fakulteta u Beogradu. Beograd, p. 495.

35 განახლებული CEFTA, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება 1993 წელს თავდაპირველად ხელმოწერილი ვერსიისაგან.

36 ინილიუ მეტი P. Bjelić და სხვანი (2012). 'კოსოვოსა და სერბეთს შორის ადამიანებისა და ნაწარმის გადაადგილების თავისუფლება: სამეცნიერო კვლევა'. ნოვი სადი. რეგიონალიზმის ცენტრი.



2008 წელს, კოსოვოს ხელისუფლების დროებითმა ორგანოებმა პრიშტინაში ცალმხრივად გამოაცხადეს სერბეთისგან გამოყოფა. მიუხედავად ამისა, სერბეთის მთავრობამ არ აღიარა ეს დეკლარაცია. კოსოვოს ხელისუფლების ორგანოებმა პრიშტინაში მაშინვე სცადეს კოსოვოში გაეროს მისიის როლის მარგინალიზაცია, ისე რომ, იმ მომენტიდან და შემდგომში კოსოვოს სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მათ ხელში გადასულიყო, რა მიზნითაც ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო იქნა ჩამოყალიბებული.<sup>37</sup> ეს მდგომარეობა სერბული მთავრობისთვის მიუღებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მრავალმა გავლენიანმა ქვეყანამ აღიარა კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244 არ შეუცვლია, რაც კოსოვოზე სერბული სუვერენიტეტის გარანტიაა და გაეროს მისია დარჩა კოსოვოში. პრიშტინას ცალმხრივმა მოქმედებამ შეაფერხა სავაჭრო ნაკადები კოსოვოსა და სერბეთს შორის, რადგანაც კოსოვოს საბაჟო და იწყო საბაჟო დოკუმენტაციის «კოსოვოს რესპუბლიკის» მატარებელი ნიშნებით გამოცემა, კოსოვოში გაეროს მისიის საბაჟო შტამპების გარეშე. სერბეთის საბაჟო ორგანოები ასეთი დოკუმენტაციით შემოსულ საქონელს სერბეთში არ უშვებდნენ.

მიუხედავად ამისა, საქონლის ნაწილი მაინც აღმოჩნდა სერბეთში, რადგანაც ხდებოდა საქონლის მონტენეგროს გავლით რეექსპორტი. მონტენეგრო ხელახლა ურთავდა საქონელს საბაჟო და სხვა შესაბამის დოკუმენტაციას, სადაც ეთითებოდა საქონლის კოსოვური წარმომავლობა. ასეთი მეთოდი სერბული საბაჟო ორგანოებისთვის მისაღები აღმოჩნდა. რადგანაც, ოფიციალურად, სერბეთს კოსოვოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადებული არ ქონდა (მხოლოდ კოსოვოში გაეროს მისიასთან), არც იყო ვალდებული დოკუმენტურად დაედასტურებინა კოსოვური წარმომავლობის საქონლის მიმართ გამოყენებული შეღავათიანი პირობები.

კოსოვოს კონფლიქტის მოგვარებაში მეტი მონაწილეობის მიზნით, ევროკავშირმა შექმნა კოსოვოში ევროკავშირის მისია (EULEX), რომელმაც გადაიბარა კოსოვოში გაეროს მისიის მრავალი უფლებამოსილება. თუმცა, უფლებამოსილების გადაცემამდე აუცილებელი იყო სერბეთის თანხმობის მიღება. ევროკავშირის მისიის წარდგენამდე, გაეროს მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს განსაკუთრებული გეგმა იქნა შემუშავებული. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს გენერალური მდივნის<sup>38</sup> წარდგენით მიღებული ე.წ. «ექვსპუნქტიანი გეგმის» თანახმად, კოსოვოში გაეროს მისია უნდა გარდაქმნილიყო, მისი მნიშვნელობა შემცირებულიყო, ევროკავშირის მისია კი უნდა მოვლენილიყო კოსოვოში კანონის უზენაესობის, პოლიციურ და სასამართლო საკითხებზე საზრუნავად.

გეგმის თანახმად, კოსოვო ერთიან საბაჟო ტერიტორიად უნდა დარჩენილიყო. სერბეთისთვის, საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იარინიეს (Jarinja) და ბრნიაკის (Brnjak) სახელით ცნობილი, კოსოვოს ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო-გამშვები პუნქტები 1-სა და 31-ის (იხილეთ სურ. 1) საერთაშორისო კონტროლის ქვეშ დარჩენა იყო. ამ სასაზღვრო-გამშვები პუნქტების გავლით უშუალოდ სერბეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთისგან მიღებული მოსაკრებელი ადგილობრივი თემების განვითარებას უნდა მოხმარებოდა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგანაც ჩრდილოეთ კოსოვო ეთნიკურად სერბული უმრავლესობითაა დასახლებული. სწორედ ამ მიზეზით დაარსდა კოსოვოს საბაჟო სამსახურის მიერ საბაჟო პუნქტი სამხრეთ მიტროვიცაში, რომელიც ქალაქ კოსოვსკა მიტროვიცას პრიშტინის ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ნაწილია.

37 P. Bjelić (2015). 'დასავლეთ ბალკანეთში კონკურენტუნარიანობისა და ვაჭრობის პოტენციალის გაზრდა: ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება ევროპული ინტეგრაციის მოლოდინში', M. Thomas and V. Bojicic-Dzellilovic (რედაქტორები.) "დასავლეთ ბალკანეთში საჯარო პოლიტიკის წარმოება: რეალური ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის რეფორმების მიმოხილვა". ნიდერლანდები: Springer Science and Business Media. გვ. 69.

38 Daily Politika-ს თანახმად, 'Plan Ujedinjenih Nacija od šest tačaka', 2011 წლის 18 სექტემბერი.

### სურათი 1: იარინიეს და ბრნიაკის გამშვები პუნქტები



პრაქტიკული მდგომარეობა, შესაბამისად, მეტყველებდა, რომ კოსოვო არ იყო ერთიანი საბაჟო ტერიტორია, რადგანაც გამშვები პუნქტები კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში არ ექვემდებარებოდა კოსოვოს საბაჟოს კონტროლს. მოცემული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრიუსელში, 2011 წელს, ევროკავშირის ორგანოების შუამავლობით, დაიწყო ბელგრადისა და პრიშტინას მოლაპარაკებები ტექნიკურ საკითხებზე. ევროკავშირის უფლებამოსილმა ორგანოებმა შეძლეს შუამავლის როლის შესრულება, რადგანაც ორივე მხარე იმედოვნებდა, სამომავლოდ, ევროკავშირის წევრობას. სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი საკითხი კოსოვოს საბაჟო დოკუმენტაციისა და საბაჟო შტამპების საკითხი იყო. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას, 2011 წლის ზაფხულში, სრული შეთანხმების მიუღწევლობის გამო, კოსოვოს ხელისუფლებამ დაიწყო კოსოვოში სერბული ექსპორტის ბლოკადა და სცადა კოსოვოს ჩრდილოეთში საბაჟო პუნქტების (იარინიესა (Jarinje) და ბრნიაკის (Brnjak)) საკუთარი კონტროლის ქვეშ მოქცევა, სპეციალური დანიშნულების პოლიციური ძალებისა და კოსოვოს საბაჟო სამსახურის ოფიცრების გამოყენებით. ჩრდილოეთ კოსოვოში მცხოვრებმა სერბებმა ამას გზების გადაკვეთით უპასუხეს, საბოლოოდ კი ეს გამშვები პუნქტები «კოსოვოს ძალების» (KFOR) კონტროლის ქვეშ მოექცა.


კომპრომისი კოსოვოს საბაჟო დოკუმენტაციისა და საბაჟო შტამპების საკითხზე 2011 წელს იქნა მიღწეული, და კოსოვოს მხარეს ბლოკადა მოიხსნა. საქონელი შედის კოსოვოში სერბეთიდან, ჩვეულებრივ, მერდარეში მდებარე სასაზღვრო პუნქტის გავლით, ხოლო ჩრდილოეთ კოსოვოში მდებარე სასაზღვრო პუნქტების საკითხი გადაწყდა ბელგრადისა და პრიშტინას შორის საზღვრისა და გადაკვეთის ერთიანი მართვის შესახებ შეთანხმებით. ბელგრადისა და პრიშტინას შორის ბრიუსელში მიღწეული შეთანხმებები (ე.წ. «ბრიუსელის შეთანხმებები») ბოლომდე ჯერ არ აღსრულებულა არც ერთი მხარის მიერ. გარდა ამ შეთანხმებებისა, სხვა საკითხებიც, როგორცაა მაგალითად, ენერგეტიკის სფერო - რჩება გადაუწყვეტელი, ასე რომ, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ბელგრად-პრიშტინას მოლაპარაკებების გაგრძელება. სერბეთისთვის, კოსოვოს სტატუსი კვლავაც გადაუწყვეტელი რჩება. სერბეთმა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) მიმართა პრიშტინას ხელისუფლების მიერ გამოყოფის ცალმხრივი გამოცხადების უკანონობის სადარბაზოდ, თუმცა, ამ სასამართლოს გადაწყვეტილებაში უკანონობა არ იყო განცხადებული. ბრიუსელში 2012 წელს მიღწეული ერთ-ერთი შეთანხმება ეხება კოსოვოს რეგიონალურ წარმომადგენლობასა და თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებში. შეთანხმების თანახმად, დასახელება «კოსოვოს» უნდა დაერთოს «ვარსკვლავი» (კოსოვო\*), სქოლიოში კი მიეთითოს,

რომ «ეს დასახელება არ ასახავს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ პოზიციას და შეესაბამება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244-სა და გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებას კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე».<sup>39</sup> შემდგომში, ტექსტში გამოიყენება დასახელება «კოსოვო\*».

## საქონელბრუნვა სერბეთსა და კოსოვოს შორის

1999 წელს იუგოსლავიის რესპუბლიკის ბაზრის დაშლის შემდგომ, სავაჭრო კავშირები სერბეთსა და კოსოვოს შორის და კოსოვოს, როგორც საბაჟო ტერიტორიის, განუხანძრველი სტატუსი დაირღვა, ამის მიზეზი 1999 წელს კოსოვოში შემდგარი კონფლიქტი გახდა. პირველი, მცირე მოცულობის (30 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი მოცულობით, იხილეთ დიაგრამა 1) რეგისტრირებული სავაჭრო მიმოცვლა სერბეთისა და კოსოვოს\* საბაჟო ტერიტორიებს შორის 2001 წელს შედგა. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლამდე ვაჭრობა გაორმაგდა (60 მილიონი ევრო), ეს მოცულობა, ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე მიმოცვლასთან შედარებით, მწირია. ვაჭრობის წამყვანი ნაკადი სერბეთიდან მიმდინარე ექსპორტია, რადგანაც კოსოვოდან\* სერბეთში გატანილი საქონლის მოცულობა უმნიშვნელო იყო, 2004 წელს დაახლოებით 6 მილიონი ევრო. თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმ პერიოდში მრავალი სავაჭრო ნაკადი ოფიციალურად არ დარეგისტრირებულა, საბაჟო კონტროლის არქონის გამო.<sup>40</sup>

**დიაგრამა 1: ვაჭრობა სერბეთსა და კოსოვოს\* შორის 2001-2012 წლებში (მილიონი ევრო)**



წყარო: სერბეთის საბაჟო 2001–2004 წლებისათვის და სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატა 2005–2012 წლებისათვის

2004 წლიდან მოყოლებული, კოსოვოს\* და სერბეთს შორის საქონელბრუნვა ზრდას იწყებს, რისი ძირითადი მიზეზიც სერბეთიდან კოსოვოს საბაჟო ტერიტორიაზე მზარდი ექსპორტი ხდება. კოსოვოს ექსპორტმა სერბეთში, დაკვირვების პერიოდისათვის, პიკს (12 მილიონ ევროზე მეტი) 2006 წელს მიაღწია, მაგრამ სავაჭრო ნაკადების უდიდესი ზრდა სერბეთსა და კოსოვოს\* შორის 2006 წლის შემდგომ იყო. ზრდა ვაჭრობის მოცულობაზე, გამოიწვია 2006 წელს “ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე” ხელმოწერამ, რომლის ხელმომწერი მხარეები სერბეთი და კოსოვოც\* (წარმოდგენილია კოსოვოში გაეროს მისიით) იყვნენ. შეთანხმების შესრულება 2007 წლის ბოლოს დაიწყო, ასე რომ, ვაჭრობის მოცულობის ზრდა 2008 წლიდან და შემდგომ პერიოდში რეგისტრირდება.


39 "რეგიონალური წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის შეთანხმება. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.srbija.gov.rs/kosovo-metohija/index.php?id=168200>. იხილეთ: დანართები, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

40 ამ ნაწილში შესული მონაცემების უზრავლებლობა სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატისგანა მიღებული, რეგიონალიზმის ცენტრის მიერ „წივი სადმი“, 2011-2013 წლებში ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელებული პროექტის ფარგლებში.

კოსოვოს\* მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ორ ერთეულს შორის მიმდინარე ვაჭრობა ოდნავ შეაფერხა, უფრო მსხვილი ჩავარდნა სავაჭრო ნაკადებში 2011 მოხდა, როდესაც პრიშტინა ცდილობდა კოსოვოს საბაჟოსთვის გადაებარებინა კოსოვოში გაეროს მისიის უფლებამოსილება და «კოსოვოს რესპუბლიკის» სიმბოლიკის მქონე სავაჭრო დოკუმენტაციის გამოყენება დაიწყო, რაც სერბეთის მთავრობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, ასეთი დოკუმენტაციის მქონე ნებისმიერი საქონელი ისევ კოსოვოში\* ბრუნდებოდა. პრიშტინის ხელისუფლებამ სერბეთის მხრიდან ამგვარი მიდგომა სავაჭრო ბლოკადად აღიქვა, სანაცვლოდ, აკრძალა სერბული ნაწარმის იმპორტი კოსოვოში\*. სავაჭრო ურთიერთობების ამ შეფერხების აღმოსაფხვრელად, ევროკავშირის ეგიდით დაიწყო ბრიუსელის დიალოგი ტექნიკურ საკითხებზე, რასაც, შედეგად, სერბეთსა და კოსოვოს\* შორის ვაჭრობის გასამარტივებელი შეთანხმებების მთელი რიგი მოყვა. ყველაზე მნიშვნელოვანი, კოსოვოს საბაჟოს საბაჟო შტამებთან დაკავშირებული შეთანხმება გახდა. ამ დროიდან საქონელბრუნვა სერბეთსა და კოსოვოს შორის სტაბილურად იზრდება. სერბეთის ექსპორტმა კოსოვოში\* 300 მილიონ ევროს მიაღწია, ამავდროულად, კოსოვოს\* ექსპორტმა სერბეთში – თითქმის 10 მილიონ ევროს. ამგვარად, ერთ-ერთი მთავარი მაჩასიათებელი სერბეთ-კოსოვოს სავაჭრო ურთიერთობისა უერთიერთექსპორტის მნიშვნელოვანი უთანასწორობაა, სერბეთის სასარგებლოდ, რაც ორი მხარის ეკონომიკის განვითარების შესაბამისი დონით აიხსნება.

თუკი სერბეთიდან კოსოვოში\* გატანილი საქონლის ზოგად სტრუქტურას შევფასებთ (იხ. დიაგრამა 2), აღმოვაჩინოთ, რომ «ჯგუფი 0 – სურსათი და ცოცხალი პირუტყვი» წარმოადგენს სასაქონლო ნომენკლატურის უმნიშვნელოვანეს ჯგუფს, რომლის წილმაც 2012 წელს ექსპორტის 33% შეადგინა. სერბეთიდან კოსოვოში\* საექსპორტო საქონლის სხვა მნიშვნელოვანი ჯგუფებია- ჯგუფი 6 (მზა ნაწარმი) და ჯგუფი 5 (ქიმიური პროდუქცია), 2012 წელს, 21%-იანი და 14%-იანი წილებით. ეს სამი სასაქონლო ჯგუფი, ერთად, სერბეთის კოსოვოში\* მთლიანი ექსპორტის თითქმის 70%-ია. სასაქონლო ნომენკლატურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი 11%-იანი წილის მქონე მე-3 ჯგუფია – “წიაღისეული საწვავი და საპოხი მასალა”.

**დიაგრამა 2: კოსოვოში\* სერბეთის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა 2012 წელს**



შენიშვნა: წილები გამოთვლილია «სტანდარტული საერთაშორისო სავაჭრო კლასიფიკაციის» (SITC) მე-3 გამოცემის ჯგუფების მიხედვით.

წყარო: სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მონაცემები

სერბეთიდან კოსოვოში\* ექსპორტის სასაქონლო ნომენკლატურის უფრო დაწვრილებითი სტრუქტურა გვიჩვენებს ინდივიდუალური დასახელების ნაწარმს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა 2012 წლის საქონელობრუნვაში, სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მონაცემებით. ცალკეული ნაწარმი კლასიფიცირდება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ჰარმონიზებული სისტემის (HS) 6-სიმბოლოიან დონეზე (იხ. ცხრილი 2). თვალსაჩინოა, რომ სასურსათე ნაწარმი წარმოადგენს სერბეთის კოსოვოში\* ექსპორტის დიდ ნაწილს, აქედან უმნიშვნელოვანესი ხორბალია 5,55%-იანი წილით 2012 წელს. გარდა ხორბლისა, აგრეთვე მნიშვნელოვანია ფქვილი და მზა სურსათი. სხვა, მნიშვნელოვანი საქონელი მოიცავს ენერგომატარებლებს, როგორცაა ნავთობი და ელექტროენერჯია. სამშენებლო მასალები, როგორცაა კერამიკული კრამიტი დიდი მოთხოვნით სარგებლობს, ისევე, როგორც ქიმიური ნაწარმი, წამლები და სასუქი.


**ცხრილი 2: ძირითადი ცალკეული საქსპორტო ნაწარმი სერბეთიდან კოსოვოში\* 2012 წელს, ღირებულება და წილობრივი მაჩვენებელი**

	HS კოდი	სახელი	მნიშვნელობა (€)	წილი მთლიან ექსპორტში
1	1001.19	ხორბალი და ხორბლისა და ჭვავის ნაზავი, სხვა	16,403,403	5.55
2	2709.00	ნედლი ნავთობი, სხვა	12,407,378	4.20
3	1101.00	ფქვილი	10,129,674	3.45
4	6905.10	კერამიკული კრამიტი	8,784,774	2.97
5	2106.90	სურსათი	7,785,683	2.64
6	2716.00	ელექტროენერჯია	7,493,761	2.54
7	3003.20	სხვა ანტიბიოტიკების შემცველი მედიკამენტები	7,222,675	2.45
8	3105.90	სასუქი	7,072,913	2.39
9	2202.90	არაალკოჰოლური სასმელები	5,753,177	1.95
10	2103.90	ნაზავი საწებლები	5,406,449	1.83
			88,459,887	29.97
			295,358,692	100.00

წყარო: სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მონაცემები

უკანასკნელი, 2013 წლის, მონაცემები ცხადყოფს, რომ სერბეთიდან კოსოვოში\* ექსპორტის მზარდი ტენდენცია გრძელდება. დიაგრამა 3 მოიცავს მონაცემებს საქონელობრუნვის ექსპორტის, იმპორტისა და ბალანსის შესახებ სერბეთსა და კოსოვოს შორის შესაბამისი წლის პირველი 10 თვის განმავლობაში. შედეგად, ვხედავთ 2013 წელს სერბული ექსპორტის მნიშვნელოვან, 41%-იან, ზრდას წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით. სავაჭრო ნამატი კვლავაც სერბეთის მხარესაა, წარმოადგენს რა სერბული ექსპორტის 97.4%-ს 2013 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში.

### დიაგრამა 3: სერბეთის ექსპორტი და იმპორტი კოსოვოსთან\* 2012 და 2013 წლების პირველი 10 თვის განმავლობაში (მილიონი აშშ დოლარი)



წყარო: სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მონაცემები

ბალანსის დეფიციტი სერბეთსა და კოსოვოს\* შორის საქონელბრუნვაში ორი ეკონომიკის განვითარების დონეების სხვაობითაა გამოწვეული, მაგრამ, აგრეთვე, ცხადყოფს, რომ სავაჭრო ნაკადების მიმართულება შენარჩუნდა იმ დროიდან, როდესაც, ამჟამად ორი განცალკევებული ერთეული ერთიანი ბაზრის ნაწილს წარმოადგენდა. კოსოვო\* სერბეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზრების ათეულში შედის, – კოსოვოსათვის განკუთვნილმა ექსპორტმა სერბეთის 2013 წლის საერთო ექსპორტის 3,5% შეადგინა. კოსოვოს\* მიერ იმპორტირებული მრავალი დასახელების საქონელი, სერბეთიდან შემოტანის შემთხვევაში, უფრო იაფია. სერბეთი, აგრეთვე, უაღრესად მნიშვნელოვანია კოსოვოს\* სატრანზიტო ვაჭრობისათვის, წარმოადგენს რა მისთვის დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ უახლოეს რგოლს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მომსახურებით ვაჭრობა სერბეთსა და კოსოვოს\* შორის უაღრესად მნიშვნელოვანია და უფრო დაწვრილებით შეფასებას იმსახურებს, კვლავაც დგას რა მრავალი შეზღუდვის წინაშე ორივე მხარის მიერ დაწესებული სავაჭრო პროცედურებისა და სადაზღვევო პოლიტიკის გამო.

„ნოვი სადში“ მდებარე რეგიონალიზმის ცენტრის მკვლევართა ჯგუფის მიერ ევროკავშირისაგან დაფინანსებული პროექტის<sup>41</sup> ჩარჩოში ჩატარებული კვლევის<sup>42</sup> ფარგლებში შედარდა საქონელბრუნვა სერბეთსა და კოსოვოს\* შორის, როგორც სერბულ, ასევე კოსოვურ წყაროებზე დაყრდნობით. სერბული მონაცემები, რომლებიც, თავდაპირველად (2004 წლამდე) სერბეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ გროვდებოდა, მოგვიანებით- სერბული საბაჟოს მიერ, სერბეთის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მიერ იქნა მიწოდებული. კოსოვური მონაცემების წყაროდ კოსოვოს სტატისტიკის ბიუროს მიერ კოსოვოში გაეროს მისიის საბაჟო სამსახურისა და, მოგვიანებით, კოსოვოს საბაჟოს წყაროებზე დაყრდნობით გამოქვეყნებული სავაჭრო მონაცემები გახდა.

თუკი შევაფასებთ სერბეთიდან კოსოვოში\* ექსპორტის მონაცემებს და შევადარებთ მათ კოსოვოდან\* მიღებულ მონაცემებს სერბეთიდან იმპორტის შესახებ, აღმოვაჩინოთ, რომ ადრეულ წლებში, სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალური მონაცემები ნაკლებია, ვიდრე კოსოვოს\* მიერ გაცემული მონაცემები. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაჭრობის ნაწილი სერბეთში დაურეგისტრირებელი რჩება. ეს სხვაობა, სასაქონლო ნომენკლატურის ზოგიერთი ერთეულის მიხედვით, 30%-ს აღემატება დაკვირვების პერიოდის ზოგიერთ წელიწადს 2008 წლამდე. 2005

41 ევროკავშირის მიერ დაფინანსებული როგორც Project No. EuropeAid/130847/L/ACT/RS.

42 პირველი კვლევა 2012 წელს გამოქვეყნდა (Bjelić et al (2012). Op. cit.) და ეძღვნებოდა სერბეთსა და კოსოვოს შორის საქონლისა და ადამიანის გადაადგილების თავისუფლებას. მეორე კვლევა 2013 წელს მომზადდა და სერბეთსა და კოსოვოს შორის საქონელბრუნვისა და სავაჭრო პროცედურების მონიტორინგს ეძღვნება (P. Bjelić et al (2013). Monitoring of Implementation of the Agreement Concluded between Kosovo and Serbia in the Field of Free Movement of People and Goods, Expert Report. Novi Sad: Center for Regionalism).

წლისათვის, სერბული მონაცემები სერბეთიდან კოსოვოში\* ექსპორტის მიხედვით 30%-ით ნაკლებ დონეს აჩვენებს, ვიდრე კოსოვოს\* წყაროებიდან მიღებული მონაცემები, 2007-ში კი ეს სხვაობა 38%-დე აღის. 2008 წლის შემდგომ, მდგომარეობა იცვლება და სერბეთიდან მიღებული მონაცემები კოსოვოში\* ექსპორტის თაობაზე მეტი მოცულობის ჩვენების ტენდენციას იჩენს, ვიდრე კოსოვოში\* წყაროებიდან მიღებული მონაცემები; სხვაობა ორ წყაროს შორის ოდნავ ნაკლებია, მთლიანი მოცულობის 10%-ის მიდამოებში. სხვაობა ყოველწლიურად იზრდებოდა და 2010 წლისათვის რეგისტრირებული სასაქონლო ბრუნვის 12%-ი შეადგინა. 2008 წლის ცვლილება 2006 წლის ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედებას და კოსოვოს მიერ, ცალმხრივად, დამოუკიდებლობის გამოცხადების<sup>43</sup> შემდგომ შეცვლილ საველე პირობებს უკავშირდება. 2008 წლამდე, სერბეთში არ იწარმოებოდა ზუსტი რეგისტრაცია, იქიდან გამომდინარე, რომ კოსოვოსთან გამყოფ ადმინისტრაციულ საზღვარზე საბაჟო არ იყო, და, აგრეთვე იმის გამო, რომ სერბეთიდან ჩრდილოეთ კოსოვოში გატანილი რიგი საქონლისა, რომელიც არ შედიოდა სტატისტიკურ მონაცემებში, სამხრეთ კოსოვოში ხდებოდა რეექსპორტის საგანი. 2008 წლის შემდგომ, სერბეთის საბაჟო დაიწყო ზუსტი რეგისტრირება, მათ შორის, ჩრდილოეთ კოსოვოში\* გატანილ საქონელზე, რომლებიც, დღესდღეისობით, კოსოვოში საერთო ექსპორტის ნაწილად ითვლება. მეორეს მხრივ, კოსოვოს საბაჟო არ გააჩნია მონაცემები სერბეთიდან ჩრდილოეთ კოსოვოში ექსპორტისა და რეექსპორტის მიხედვით, ვინაიდან ის არ აკონტროლებს ჩრდილოეთ კოსოვოს\* გამშვებ პუნქტებს.

სერბეთიდან და კოსოვოდან\* მომდინარე ოფიციალური მონაცემების სხვაობა იმის მაჩვენებელიცაა, რომ საქონელბრუნვის რაღაც ნაწილი რეგისტრაციის გარეშე მიმდინარეობს რომელიმე მხარეს და შესაძლოა, არსებობს ჩრდილოვანი ვაჭრობა. ჩრდილოვანი ვაჭრობა მოიცავს ისეთ სავაჭრო ნაკადებს, რომელიც შეიძლება არც იყოს უკანონო, მაგრამ ფარულია საგადასახადო და საბაჟო ტვირთის შემცირების მიზნით. ნოვი სადში მდებარე რეგიონალიზმის ცენტრის დაკვეთით, ჩვენს მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში, შევისწავლეთ როგორც ოფიციალური საქონელბრუნვა, ასევე სერბეთსა და კოსოვოს\* შორის მიმდინარე ჩრდილოვანი ვაჭრობაც. საველე კვლევები კოსოვოს\* სერბეთით დასახლებულ ჩრდილოეთ ნაწილში ჩატარდა, რადგაც, დაკვირვებამ ცხადყო, რომ ეს რეგიონი, დე ფაქტო, თავისუფალი ვაჭრობის ზონაა და სერბეთიდან მომდინარე დამატებითი ღირებულებების გადასახადისგან (დღგ) გათავისუფლებული საქონელი ან ბრუნდებოდა სერბეთში, ან პრიშტინის ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სამხრეთ კოსოვოში\* იგზავნებოდა. ჩვენი საველე მკვლევარი, ბისერა შეჩერაგიჩი (Bisera Šećeragić), იკვლევდა და არეგისტრირებდა ძირითადი სასაქონლო ერთეულების ბრუნვას კვირის შერჩეული პერიოდის განმავლობაში. დამატებით, ეს მონაცემები შეჯერდა კოსოვოში\* საქონლის გადამტან „ნოვი პაზარელ“ (Novi Pazar) გადამზიდველების მოსაზრებასთან.

### ცხრილი 3: სერბეთსა და კოსოვოს\* შორის ჩრდილოვანი ვაჭრობის შეფასება, 2010

საქონლის სახეობა	ბრუნვის სავარაუდო მოცულობა (ათასი €)	მთლიანი ჩრდილოვანი ვაჭრობის წილი (%)
1 მოტორიზირებული სატრანსპორტო საშუალებები და ჰიდრავლიკური ზეთები	144,100	29.0
2 სავაჭრო საქონელი (სურსათი, ალკოჰოლოური და უალკოჰოლო სასმელები, საყოფაცხოვრებო ქიმიკა)	100,000	20.1
3 დასაფქველი ხორბალი	80,000	16.1
4 თესლი (ხორბალი და სიმინდი)	40,000	8.1
5 სამშენებლო მასალები	40,000	8.1
6 ცემენტი, მოსაპირკეთებელი მასალები საფასადე და შიდა სამუშაოებისათვის, რკინა	32,000	6.4
7 შაქარი	12,600	2.5
8 სათესლე სიმინდი	12,500	2.5
9 სასუქი, დანამატები	12,000	2.4
10 ფქვილი	10,000	2.0
11 საქონლის საკვები	5,000	1.0
12 კერამიკული ნაწარმი და სააბაზანო აღჭურვილობა	3,750	0.7
13 ცოცხალი პირუტყვი	1,700	0.3
14 ავეჯი	1,500	0.3
15 პური, რძე, რძის ნაწარმი	1,250	0.2
16 ტექსტილი (ჯინსი)	450	0.1
17 სატექსტილე მასალები	400	0.1
18 სხვა სამრეწველო ნაწარმი	250	0.1
ჯამი	497,500	100.0

წყარო: რეგიონალიზმის ცენტრის პროექტის სავაჭრო კვლევის მონაცემები

სავაჭრო კვლევამ აჩვენა, რომ სერბეთსა და კოსოვოს\* შორის ვაჭრობის ჯამური მოცულობა, დაახლოებით, 500 მილიონ ევროს შეადგენდა. თუკი შევადარებთ ამ მონაცემებს ოფიციალურად რეგისტრირებულ საქონელბრუნვას 2010 წლისათვის (დაახლოებით 300 მილიონი ევრო), ჩრდილოვანი ვაჭრობა, დაახლოებით 200 მილიონის ტოლფასი გამოვა, ანუ ჯამური ვაჭრობის 40%-ი. ამ ჩრდილოვან ზონაში, წამყვანი სასაქონლო ერთეული მოტორიზირებული სატრანსპორტო საშუალებებია (29% 2010 წელს, იხ. ცხრილი 3). სხვა, მნიშვნელოვანი, საქონელი მოიცავს კომერციულ პროდუქტს და დასაფქვავ ხორბალს (20,1% და 16,1%, შესაბამისად, 2010 წელს). ამ დაურეგულირებელი საქონელბრუნვის ფარგლებში, განსაკუთრებულ ყურადღებას მოტორიზირებული სატრანსპორტო საშუალებები (ავტომანქანები), ნედლი ნავთობი და მისი ნაწარმი მოითხოვს. უცხოური ავტომანქანები გადააქვთ სერბეთიდან ჩრდილოეთ კოსოვოში. დილერები და სერბეთში უცხოური ავტოკომპანიების წარმომადგენლები ყიდნიან ამ ავტომანქანებს ინდივიდუალურ მყიდველებზე ჩრდილოეთ კოსოვოდან ისეთი პროცედურის დაცვით, რაც დღეს-ს გადახდისგან გათავისუფლებას უზრუნველყოფს სერბეთში. სავაჭრო კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით, 2007 წლიდან 2011 წლის ივნისამდე, გაიყიდა, დაახლოებით, 14,400 ავტომანქანა. ამ პერიოდში გაყიდული ავტომანქანების საერთო ღირებულება, დაახლოებით, 666 მილიონ ევროს შეადგენდა. ჩრდილოეთ კოსოვოელ\* მყიდველებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ყვიდათ, მაგალითად, ახალი ფოლქსვაგენ პოლო 16,500 ევროდ, როდესაც სერბეთში მსგავსი ავტომანქანა დაახლოებით 19,500 ევრო ღირდა, რაც 25.4%-იან სხვაობას შეადგენს. იმავე პერიოდში, სერბეთიდან იმპორტირებული ავტომანქანებიდან მხოლოდ 1,500 გაიყიდა სამხრეთ კოსოვოში, უფლებამოსილი დილერების გავლით და დღეს-



დაბრუნების ჩვეულებრივი პროცედურების დაცვით. დროის იმავე პერიოდში, ჩრდილოეთ კოსოვოში\* გაიყიდა ნედლი ნავთობისა და მისი ნაწარმის დიდი მოცულობა, არა მარტო პანჩევოსა (Pančevo) და ნოვი სადის (Novi Sad) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან, არამედ ისეთი ქვეყნიდანაც, როგორცაა ბოსნია და ჰერცეგოვინა, რუმინეთი, ბულგარეთი და უკრაინა. 2008 წლიდან მოყოლებული 2011 წლის ივნისამდე, ჩვენი სავაჭრო კვლევის შეფასებით, წლიურად საშუალოდ 191,625,000 ლიტრი იყიდებოდა სერბული ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ნაწარმი ჩრდილოეთ კოსოვოში\*, რაც დაკვირვების პერიოდისათვის, ჯამურად, 670,687,500 ლიტრს შეადგენს. ამ საქონლის ღირებულებამ წლიურად, საშუალოდ 143 მილიონი ევრო შეადგინა, დაახლოებით 503 მილიონი ევრო დაკვირვების სრული პერიოდისათვის.

## სერბეთის მიერ კოსოვოს\* მიმართ გამოყენებული სავაჭრო რეჟიმი

1999 წელს იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთიანი ბაზრის დაშლასთან ერთად, დადგა სერბეთისა და კოსოვოს\* საბაჟო ტერიტორიებს შორის მიმდინარე ვაჭრობის რეგულირების საკითხი. თავდაპირველად, სერბეთი, მიუხედავად განცალკევებული საბაჟო ტერიტორიების არსებობისა,<sup>44</sup> ცდილობდა კოსოვოსთან ვაჭრობას მოჰყოლოდა, როგორც შიდა ვაჭრობის ერთ-ერთ სახეობას. სპეციფიკურ პრობლემას სერბული უმრავლესობით დასახლებულ და პრიშტინას ხელისუფლების კონტროლს გარეთ მყოფ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილთან ვაჭრობა წარმოადგენდა. ეს ტერიტორია, დე ფაქტო, თავისუფალი ვაჭრობის ზონა იყო, თუმცა, მდგომარეობა შეიცვალა 2006 წელს, ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, როდესაც, სერბეთმა, საბოლოოდ, ცნო კოსოვოს\* განცალკევებული საბაჟო ტერიტორიად და დაიწყო საბაჟო ორგანოების გამოყენება კოსოვოსთან\* ვაჭრობის გასაკონტროლებლად. ამ პერიოდში, სავაჭრო პოლიტიკა და საბაჟო საკითხების მოგვარება კოსოვოში გაეროს მისიის უფლებამოსილებას წარმოადგენდა. კოსოვოსთან\* ვაჭრობის ახლებური რეგულირება გახდა საჭირო სერბეთში კოსოვოს\* მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, რაც სერბეთმა არ აღიარა. წარმოიშვა პრობლემა კოსოვოს\* საბაჟო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან, კოსოვოში გაეროს მისიის საბაჟო ნაცვლად, ახალი დოკუმენტაცია «კოსოვოს რესპუბლიკის» სიმბოლიკას ატარებდა, რაც სერბეთისთვის მიუღებელი იყო. ევროკავშირის შუამავლობით, დაუყოვნებლივ იქნა წამოწყებული ტექნიკურ საკითხებზე სერბეთსა და კოსოვოს შორის ბრიუსელის დიალოგი. სერბეთის მიერ კოსოვოს\* მიმართ გამოყენებული სავაჭრო რეჟიმის შესაცვლელად, მრავალი შეთანხმება იქნა მიღწეული.

### ვაჭრობა კოსოვოსთან\* როგორც შიდა ვაჭრობა (1999–2005)

მას შემდეგ, რაც 1999 წელს კოსოვოს<sup>45</sup> საბაჟო ტერიტორია გამოეყო სერბეთის დანარჩენ ნაწილს, წარმოიშვა ამ ორ ეკონომიკურ ერთეულს შორის ვაჭრობის რეგულირების პრობლემა. გამოყოფის პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში საქონელბრუნვის მოცულობა უმნიშვნელო იყო სპეციალური ძალების მიერ განხორციელებული უსაფრთხოების დასამყარებლად მიმდინარე ოპერაციების გამო, მაგრამ მოგვიანებით, გაიზარდა. პირველ პერიოდში, 2000 წლიდან 2005-დე, სერბეთის რესპუბლიკის მთავრობა განიხილავდა კოსოვოსა და თავად სერბეთის საბაჟო ტერიტორიებს შორის მიმდინარე საქონელბრუნვას როგორც შიდა სავაჭრო ნაკადებს. ამ მიდგომიდან გამომდინარე, კოსოვოსა და სერბეთს შორის ვაჭრობის რეგულირების საკითხი საგადასახადო მოსაკრებლების აღების საკითხი იყო. საბოლოოდ, 2001 წელს, სერბეთის მთავრობამ მიიღო კოსოვოსა და მეტოპიის ავტონომიურ პროვინციასთან სასაქონლო ვაჭრობის რეგისტრაციის პირობები და მეთოდი და საჯარო შემოსავლის შეფასების წესი და მეთოდი.<sup>46</sup>

44 დაწვრილებით, იხილეთ J. Minic, P. Bjelić, M. Bobić et al (2005). A Joint European Vision: Free Movement for Goods and People in Kosovo and Serbia, პოლიტიკის დოკუმენტი. Priština: European Movement in Serbia Belgrade and Kosovar Institute for Policy Research and Development Priština.

45 ამ თავის შემდეგ ნაწილში, "ვარსკვლავი" აღარ გამოიყენება, ვინაიდან ავტორი ეხება ისტორიულ მონაკვეთს 2008 წელს კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე.

46 ეს რეგულაციები გამოქვეყნდა ოფიციალურ გამოცემაში Gazette of the Republic of Serbia No. 48/2001 და შემდგომში, მასში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება აქ Official Gazette of the Republic of Serbia No. 5/2002, 24/2002, 26/2002, 45/2002, 69/2002, 15/2003, 56/2003, 93/2003, 2/2004, 31/2004, 51/2004, 78/2004, 116/2004, 139/2004, 5/2005, 15/2005 and 27/2005.

იმ დროს, სერბეთსა და კოსოვოს შორის მიმდინარე ვაჭრობა საბაჟო მოსაკრებლებით არ იბეგრებოდა, განიხილებოდა რა როგორც იუგოსლავიის შიგნით მიმდინარე საქონელბრუნვა. თუმცადა, ხსენებული რეგულაციის ძალით<sup>47</sup> ისაზღვრებოდა 5%-ის ტოლი მოსაკრებელი ნებისმიერ, კოსოვოში სერბეთიდან ექსპორტირებულ საქონელზე. ეს იყო საგადასახადო გათანაბრების მექანიზმი, რადგანაც სერბეთსა და კოსოვოში სავაჭრო საქონელზე სხვადასხვა გადასახადი იყო. კოსოვოში, განაკვეთი 15%-ს შეადგენდა და დღგ-ს სახით აიღებოდა, სერბეთში კი გაყიდვებზე დაწესებული მოსაკრებელი 20%-ს შეადგენდა. საქონლის მიერ სერბეთის საბაჟო ტერიტორიის დატოვებისა და კოსოვოში გადატანის დამადასტურებელ დოკუმენტს საგადასახადო დეკლარაცია ეწოდებოდა.<sup>48</sup> ასეთი დოკუმენტაცია გაიცემოდა სერბეთის სახელმწიფო ადმინისტრაციის მიერ, მოგვიანებით კი კოსოვოში გაეროს მისიასთან შეთანხმებით. კოსოვოში ნაწარმის გამყიდველი სერბული კომპანია ვალდებული იყო, მსგავსი ტრანზაქციები დაერეგისტრირებინა, ამ საქონლის საზღაურის უცხოურ ბანკებში ტარდებოდა უცხოურ ვალუტაში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე გარკვეული ტრანზაქციების განხორციელების დროებითი წესის შესახებ კანონის ძალით.<sup>49</sup> კოსოვოდან სერბეთის საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული საქონელი იბეგრებოდა გაყიდვების მოსაკრებლით 20%-იანი განაკვეთით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონლის დანიშნულება გადაყიდვა ან შემდგომი გადამამუშავება იყო, რასაც ადასტურებდა საგადასახადო დეკლარაცია. კოსოვოში საქონლის შემყიდველი კომპანიებიც, აგრეთვე, ვალდებული იყვნენ ყველა ტრანზაქცია განსაკუთრებული წესით დაერეგისტრირებინათ.

სერბეთზე ტრანზიტით გამავალი საქონელი, რომლის საბოლოო დანიშნულების ადგილი კოსოვო იყო, სერბეთში 5%-იანი გამათანაბრებელი მოსაკრებლით იბეგრებოდა. სერბეთიდან კოსოვოში ტრანზიტით მიმავალ საქონელზე, როგორცაა ნავთობი და მისი ნაწარმი, ან თამბაქო, დაწესებული იყო აქციზი, 230,887.14 სერბული დინარის<sup>50</sup> ოდენობით თითოეულ სატვირთო ავტომობილზე, უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში შესაბამისი კურსით. ნავთობისა და მისი ნაწარმის სერბეთის ტრანზიტით გადაკვეთისას, როდესაც საბოლოო დანიშნულების ადგილი კოსოვო იყო, საჭირო იყო სერბეთის ენერგეტიკის სამინისტროს ნებართვა. სერბეთის საბაჟო ტერიტორიის გადამკვეთი საქონელი საბოლოო დანიშნულებით კოსოვოში უნდა განცხადებულიყო სერბეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე. საბაჟო მოსაკრებელი ასეთ საქონელზე არ აიღებოდა, მაგრამ გადამზიდი ვალდებული იყო შეეტანა დეპოზიტი სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ან წარმოედგინა საბანკო გარანტია სატრანზიტო საქონელზე იმ საბაჟო მოსაკრებლის ოდენობით, რაც აიღებოდა სერბეთისთვის განკუთვნილ საქონელზე. სერბეთის გავლით კოსოვოში მიმავალი საქონელი უნდა განცხადებულიყო ორ საბაჟო ტერიტორიას შორის გამშვებ პუნქტზე სერბეთის საბაჟო ტერიტორიის დატოვებისას. კოსოვოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შეტანილი საქონლისათვის, ამგვარი დეპოზიტის განთავსება სავალდებულო არ იყო. 2004 წელს, სერბეთის მთავრობამ მიიღო დამატებითი რეგულაცია კოსოვოსა და მეტოპიას ავტონომიურ პროვინციასთან საქონელბრუნვის განსაკუთრებული პირობების შესახებ,<sup>51</sup> რომელიც არეგულირებდა სერბეთის მიერ კოსოვოს მიმართ გამოყენებულ სავაჭრო რეჟიმს. შიდა წარმოების საქონელი განისაზღვრება, როგორც სერბეთში ან კოსოვოში წარმოებული საქონელი ადგილობრივი მასალის (წარმოებაში შეტანილი ღირებულების მიხედვით) არანაკლებ 51%-იანი წილის გამოყენებით. ამ რეგულაციის ფარგლებში, გაწერილია სერბეთისათვის განკუთვნილი უცხოური წარმოების საქონლის კოსოვოზე ტრანზიტის წესი. კოსოვოზე გამავალი, უცხოური საქონლის სერბეთსა და კოსოვოს შორის მდებარე გამშვებ პუნქტებზე განბაჟება შეუძლებელია, ამისთვის საქონელმა უნდა გაიაროს საერთაშორისო გადამკვეთი პუნქტები პრეშევა (Preševo) და პროჰორ პჩინსკი (Prohor Pčinjski). ასეთი საქონელი

47 რეგულაციის პრაქტიკული აღსრულება უზრუნველყოფილი იყო ინსტრუქციით საგადასახადო ანგარიშების გამოცემის, სერტიფიცირებისა და კოსოვოსა და მეტოპიას ავტონომიურ რესპუბლიკასთან ვაჭრობის მონიტორინგისა და კონტროლის წესის შესახებ, რომელიც ოფიციალურ გამოცემაში Gazette of the Republic of Serbia No. 54/2001 გამოქვეყნდა.

48 Poreska izjava სერბულად.

49 კანონი გამოცემა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურ გამოცემაში Official Journal of the Federal Republic of Yugoslavia No. 9/2001. შენიშვნა: US\$1 = RSD 108 2015 წლის თებერვლის მდგომარეობით.

51 ეს რეგულაცია გამოქვეყნდა გამოცემაში Official Gazette of the Republic of Serbia No. 139/2004, მოგვიანებით, შესული ცვლილებები გამოქვეყნდა აქ Official Gazette of the Republic of Serbia No. 8/2005, 15/2005 და 91/2006.

იბეგრება ყველა საბაჟო მოსაკრებლით, გადასახადითა და აქციზით. შემუშავებულ იქნა განსაკუთრებული პროცედურა საქონლის, შაქრის, თამბაქოსა და ალკოჰოლური სასმელების ყველანაირი სახეობის სააქციზო მარკირებისთვის, კოსოვოში გაეროს მისიის სიმბოლიკით, სერბეთის ტრანზიტით გადაკვეთისას.

სერბეთისა და მონტენეგროს შიგნით მიმდინარე სავაჭრო ტრანზაქციები საბაჟო მოსაკრებლით არ იბეგრებოდა, 2005 წელსაც კი. სერბეთში დღგ-ს დაკისრების შესახებ ახალი კანონის მიღებამ,<sup>52</sup> რომელმაც ჩაანაცვლა ადრე გამოყენებული გაყიდვების გადასახადი, გავლენა იქონია კოსოვოსთან ვაჭრობაზეც.

ახალი რეგულირების წესი ახალი პირობების გათვალისწინებით იქნა მიღებული – გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244-ის მოქმედების ვადაში, დამატებითი ღირებულების გადასახადის დაკისრების კანონის აღსრულების წესი კოსოვოსა და მეტოჰიას ავტონომიურ პროვინციაში.<sup>53</sup> ეს რეგულაცია აყალიბებდა ახალ სამართლებრივ ჩარჩოებს სერბეთის მიერ კოსოვოს მიმართ გამოყენებული სავაჭრო რეჟიმისათვის. კოსოვოზე ტრანზიტით გამავალი, უშუალოდ სერბეთისათვის განკუთვნილი უცხოური საქონელი იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით საბაჟო ადმინისტრაციის მიერ, ამისთვის გამოყენებული დოკუმენტი საბაჟო დეკლარაციაა (ერთიანი საბაჟო დოკუმენტი – ან *Jedinstvena Carinska Isprava* (JCI) სერბულად). კოსოვოში წარმოებული საქონელი (განისაზღვრება, როგორც კოსოვოში წარმოებული საქონელი ადგილობრივი წარმოშობის მასალის (წარმოებაში შეტანილი ღირებულების მიხედვით) არანაკლებ 51%-იანი წილის გამოყენებით)), იბეგრება დღგ-თ სერბეთის ტერიტორიაზე შემოტანისას საგადასახადო ადმინისტრაციის განსაკუთრებული განყოფილების მიერ. კოსოვო და მეტოჰიისათვის ეს განყოფილება, თავდაპირველად, საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებისაგან შედგებოდა, მოგვიანებით კი, მას საბაჟო სამსახურის თანამშრომლებიც შეემატნენ, რათა მოეცვათ უშუალოდ სერბეთის საბაჟო ტერიტორია. საქონლის კოსოვური წარმოშობა დასტურდება სერბული ადმინისტრაციის მიერ წარმოებული კოსოვოს მეწარმეთა რეესტრისა<sup>54</sup> თუ სასოფლო-სამეურნეო ფერმების რეესტრის<sup>55</sup> მიხედვით ან კოსოვოში გაეროს მისიის მიერ დადასტურებული დეკლარაციის საფუძველზე. ამ მიზნით, საგადასახადო ადმინისტრაციის განსაკუთრებული განყოფილება გამოსცემს დოკუმენტს სახელით OLPDV,<sup>56</sup> რომლის ფარგლებშიც ხდება დღგ-ს გამოთვლა და დაკისრება. ისეთი უცხოური საქონლისათვის, რომელსაც არ გაუვლია განბაჟების პროცედურა და რომლის გადაზიდვაც ხდება სერბეთიდან კოსოვოში, გამოიყენება სრული საბაჟო პროცედურა. შიდასერბული წარმოების საქონლისა და უცხოური საქონლისათვის, რომელმაც გაიარა სერბულ საბაჟოზე განბაჟების პროცედურა, დღგ-ს ოდენობა აკლდება კოსოვოში ექსპორტირების დროს. საქონლის მიერ სერბეთის საბაჟო ტერიტორიის დატოვების დასტურად, გაიცემა ე.წ. «დასტურის ფურცელი» (EL).<sup>57</sup> დასტურის ფურცელს საგადასახადო ადმინისტრაციის განსაკუთრებული განყოფილება<sup>58</sup> გასცემს, მაგრამ მას უნდა ახლდეს სერბეთის ეროვნული ბანკისათვის უცხოური ვალუტის მიყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტიც. კოსოვოსთან მოვაჭრე სერბული კომპანიები ვალდებული იყვნენ შეეტყობინებინათ საგადასახადო ადმინისტრაციის განსაკუთრებული განყოფილებისათვის კოსოვოსთან განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქციის შესახებ, სპეციალური KMPDV დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც ამ რეგულაციითაა განსაზღვრული. თუმცა, 2005 წლის დასაწყისში, საგადასახადო გათანაბრების განაკვეთი კოსოვოსთან ვაჭრობისათვის გაუქმდა და *კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციასთან სასაქონლო ვაჭრობის რეგისტრაციის პირობები და*

52 Zakon o porezu na dodatu vrednost, გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 84/2004 and 86/2004.

53 ეს რეგულაცია გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 15/2005-ში; ჩაანაცვლა იმავე დასახელებისა და მოქმედების მქონე აქტი, რომელიც, თავდაპირველად, გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 124/2004-ში, შემდგომი ცვლილებები კი Official Gazette of the Republic of Serbia No. 139/2004-სა და 05/2005-ში.

54 სერბულად – Registar proizođača dobara ne teritoriji APKM. რეესტრის წარმოების წესი განსაზღვრულია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლის რეესტრის წარმოებისა და მონაცემების სახეობის განსაზღვრის წესის მიხედვით, რომელიც Official Gazette of the Republic of Serbia No. 19/2005-ში გამოქვეყნდა. მალე ახალი რეგულაცია უნდა იქნას მიღებული, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, მოქმედებს ეს წესი.

55 სერბულად – Registar poljoprivrednih gazdinstava na teritoriji APKM.

56 Obračunski list za PDV (OLPDV).

57 Evidencioni List (EL).

58 ორივე, OLPDV და EL დოკუმენტის ფორმატი და შიგთავსი განისაზღვრება OLPDV და EL ფორმის, შინაარსისა და შევსებისა და დღგ-სა და საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების აკრეფის წესის მიხედვით, რომელიც Official Gazette of the Republic of Serbia No. 19/2005-სა და No. 38/2005-ში გამოქვეყნდა.

მეთოდი ასევე საჯარო შემოსავლის შეფასების წესი და მეთოდი<sup>59</sup> მნიშვნელოვნად შეიცვალა, დარჩა მხოლოდ მუხლები, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრებოდა, რომ კოსოვოსთან საბრუნავი საქონელი მხოლოდ შესაბამისი სააქციზო მოსაკრებლის ოდენობის ტოლფასი გადასახადით იბეგრებოდა.

უმუშალოდ სერბეთის საბაჟო ტერიტორიის მოწესრიგების გზაზე გადადგმული შემდეგი ნაბიჯი გახდა 2005 წელს მიღებული რეგულაცია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციასთან ვაჭრობის განსაკუთრებული პროცედურების შესახებ,<sup>60</sup> რომლის ფარგლებშიც გაწერილი იყო საქონლის კოსოვოდან ან კოსოვოში დროებითი ექსპორტისა და იმპორტის წესი, აგრეთვე, საქონლის შემდგომი გადამუშავებისთვის გადაგზავნისა და მიღების წესი. ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური გახდა გადაწყვეტილება საბაჟო ზედამხედველობისა და განბაჟების განხორციელების მიზნით, საბაჟო კონტროლის პუნქტების დაარსების შესახებ,<sup>61</sup> რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა ექვსი საბაჟო-საკონტროლო პუნქტი, – ორი კრალიევოს (ბრნიაჩკი მოსტი და რუდნიცა) (Kraljevo (Brnjački most and Rudnica) საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებაში და ოთხი პრიშტინას (დეპცე, კონჩული, მერდარე და მუტივოდე) (Depce, Končulj, Merdare and Mutivode) საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებაში.

### საქონელბრუნვის ინსტიტუციონალიზაცია (2006–2008)

სერბეთის მიერ კოსოვოს მიმართ მოქმედი სავაჭრო რეჟიმის შემდგომი დიდი ცვლილება განხორციელდა 2006 წელს, როდესაც ხელი მოეწერა ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განახლებულ ვერსიას (CEFTA 2006). ამ შეთანხმების ხელმომწერი მხარეები მოიცავს სერბეთს<sup>62</sup> და კოსოვოში გაეროს მისიას, კოსოვოს საბაჟო ტერიტორიის სახელით (შეთანხმებაში ნახსენებია როგორც UNMIK/ Kosovo). CEFTA 2006-ის ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2010 წლამდე ჩამოეყალიბებინათ საქონელბრუნვისათვის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ხოლო უახლოეს მომავალში გათვალისწინებული იყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მომსახურების, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმისა და ეკონომიკის სხვა დარგებში. რეგიონალური ვაჭრობის ინტეგრაცია მიღწეულ იქნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებისა და პრინციპების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ბალკანეთის რეგიონის მრავალი ეკონომიკა არ იყო ვმო-ს წევრი. CEFTA 2006-დე, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების ქსელი შეიქმნა დასავლეთ ბალკანეთის<sup>63</sup> რეგიონში 2000 წელს «ვაჭრობის ლიბერალიზაციის მემორანდუმის» ხელმოწერის გზით. სერბეთი და მონტენეგრო ორი მხარე იყო, რომელსაც არ ქონდა UNMIK/Kosovo-სთან ხელი მოწერილი რეგიონალური ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესში. მიუხედავად ამისა, როგორც კოსოვოში გაეროს მისიამ, ასევე სერბულმა ხელისუფლებამ, აიღეს საკუთარ თავზე ვალდებულება არ დაეწესებინათ საბაჟო მოსაკრებელი სერბეთსა და კოსოვოს შორის საქონელბრუნვაზე.

CEFTA 2006-ის ხელმოწერამ და სერბეთში დღეს-ს შემოღებამ მოიტანა სერბეთში კანონქვემდებარე აქტების მიღების საჭიროება, კოსოვოსთან ვაჭრობის ახალი გარემოებების გათვალისწინებით რეგულირების მიზნით. გარკვეული საქონლით ვაჭრობის დროებითი პირობების შესახებ<sup>64</sup> აქტის თანახმად, კონკრეტული საქონლის კოსოვოში ექსპორტირებამდე, აუცილებელია დასტურის<sup>65</sup> მიღება კომერციის სფეროზე პასუხისმგებელი სერბული სამინისტროსგან.<sup>66</sup>

59 ეს რეგულაცია გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 48/2001-ში, შემდგომი ცვლილებები გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 5/2002, 24/2002, 26/2002, 45/2002, 69/2002, 15/2003, 56/2003, 93/2003, 2/2004, 31/2004, 51/2004, 78/2004, 116/2004, 139/2004, 5/2005, 15/2005 და 27/2005-ში.

60 ეს რეგულაცია გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 40/2005-ში.

61 The new version of this Regulation was published in the Official Gazette of the Republic of Serbia No. 83/2010, while the previous version was published in the Official Gazette of the Republic of Serbia No. 9/2004, 73/2006 and 47/2009.

62 სერბეთისათვის, CEFTA 2006 ძალაში შევიდა 2007 წლის 24 ოქტომბერს.

63 ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დასავლეთ ბალკანეთის რეგიონი მოიცავს ალბანეთს, ბოსნიას და ჰერცეგოვინას, ხორვატიას, მაკედონიას (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა), მონტენეგროს, სერბეთსა და კოსოვოს (UNSCR 1244-ის მიხედვით). მოცემული რეგიონის სავაჭრო ლიბერალიზაციის საკითხში, აქტიურადაა ჩართული მოლდოვის რესპუბლიკა, თუნდაც გეოგრაფიულად არ წარმოადგენდა ამ რეგიონის ნაწილს.

64 ეს რეგულაცია გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 73/2007-ში. აგრეთვე, მოყვანილია საბაჟო სამსახურის შესაბამისი მოსაზრება – Objasnjenje Uprave carina, 01/2.1 br. D-14667/1 2007 წლის 6 აგვისტოს.

65 Saglasnost.

66 დღესდღეობით, ვაჭრობის, ტურიზმისა და ტელეკომუნიკაციების სამინისტრო.

2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ძალზედ მნიშვნელოვანი რეგულაცია კოსოვოსა და მეტოქის ავტონომიურ პროვინციასთან სასაქონლო ვაჭრობის განსაკუთრებული პირობების შესახებ.<sup>67</sup> ამ აქტით რეგულირდება ვაჭრობა სერბეთსა და კოსოვოს შორის უცხოური საქონლით, რომელიც ერთ-ერთი საბაჟო ტერიტორიიდან მომდინარეობს, ან ტრანზიტით მომავალი უცხოური საქონლით. განისაზღვრება, რომ სერბეთსა და კოსოვოს შორის ვაჭრობისას, გამოიყენება სერბეთის საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული წესი. კოსოვოს საბაჟო ტერიტორიიდან ტრანზიტით მომავალი უცხოური საქონელი არ შეიძლება გატარდეს სერბეთსა და კოსოვოს შორის გამყოფ ადმინისტრაციულ საზღვარზე. ასეთი საქონელი უნდა განცხადდეს სერბული საბაჟო ორგანოებისათვის საბაჟო გამშვებ პუნქტებში პრეშევო (Preševo) და პროჰორ ჩინისკი (Prohor Pčinjski). ფოსტით გაგზავნილი საქონლის განბაჟება ხდება ნიშის (Niš) საბაჟო სამსახურში, ავიაგადაზიდვებით შემოსული საქონელი განბაჟდება ბელგრადის აეროპორტში. ამ საქონლის განბაჟება ხდება საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, აიღება საბაჟო მოსაკრებელი, დღგ, აქციზის მოსაკრებელი და სხვა მოსაკრებლები. სერბეთში განუბაჟებელი უცხოური საქონელი და უშუალოდ სერბეთის საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტით მყოფი უცხოური საქონელი გადამისამართდება კოსოვოში ტრანზიტისათვის შესაბამისი საბაჟო პროცედურების დაცვით. აქციზით დასაბეგრი საქონლისთვის, როგორცაა ნავთობი და შაქარი, საბაჟო პროცედურები ტარდება პრეშევო (Preševo) სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში. ერთ-ერთი პირობა, ასეთი საქონლის გადასამისამართებლად არის, ამ საქონლით მოვაჭრე კომპანიის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენა ან საგარანტიო დეპოზიტის განთავსება, რაც შეესაბამება საბაჟო და სხვა გადასახადების თანხას, თუ ეს საქონელი უნდა განბაჟდეს სერბეთში. მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, როგორცაა კოსოვოში გაეროს მისია ან ნატო, განკუთვნილი საქონელი თავისუფლდება ამ მოთხოვნისაგან. იგივე მიდგომა გამოიყენება იმ საქონლის მიმართ, რამაც გაიარა საექსპორტო პროცედურები და განკუთვნილია კოსოვოს საბაჟო ტერიტორიისათვის.

იმ პერიოდში სერბეთი არ განიხილავდა კოსოვოს განცალკევებულ საბაჟო ტერიტორიად. სერბეთის საბაჟო კოდექსის<sup>68</sup> თანახმად, სერბეთის საბაჟო ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც სერბეთის რესპუბლიკის ტერიტორიის თანაბარი, რაც ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიის ფარგლებში მოიაზრება კოსოვოც.<sup>69</sup> ზოგადად, სწორედ ეს კანონი გამოიყენება ნებისმიერი საქონელბრუნვის მიმართ სერბეთის საბაჟო ტერიტორიასა და ყველა სხვა საბაჟო ტერიტორიას შორის და მისი ძალით რეგულირდება სერბეთის საგარეო ვაჭრობა დანარჩენ მსოფლიოსთან.<sup>70</sup> თუმცა, საბაჟო კოდექსის 309-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ «ამ კანონის დებულებები გამოიყენება საქონელბრუნვის მიმართ კოსოვოსა და მეტოქის ავტონომიურ პროვინციასთან გაეროს უშიშროების საბჭოს №1244 რეზოლუციის მოქმედების პერიოდში». ამ კანონის ძალით, სერბეთის მთავრობას ევალება საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი გადამკვეთი პუნქტების მოწყობა, რომელთა მუშაობითაც უნდა განხორციელდეს საბაჟო კონტროლი და პროცედურები. აგრეთვე, გაწერილია შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების აუცილებლობა.

პრაქტიკულად, კოსოვო არ ყოფილა ერთიანი საბაჟო ტერიტორია, ამას გაეროს ექსპერტიზის გეგმა ადასტურებდა კიდევ. კოსოვო უნდა გამხდარიყო ერთიანი საბაჟო ტერიტორია, რაც გულისხმობდა მთელი ტერიტორიის და ყველა გამშვები პუნქტის ერთი უფლებამოსილი ორგანოსათვის დაქვემდებარებას. ჩრდილოეთ კოსოვოში, კოსოვოს სერბების უმრავლესობით დასახლებულ ნაწილში, მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს შორის, პუნქტები №1 და №31 (იარინიე (Jarinje) და ბრნიაკი (Brnjak)) საერთაშორისო კონტროლის დაქვემდებარებაში დარჩა. ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარე ამ ორ პუნქტში მიღებული საბაჟო მოსაკრებელი ადგილობრივ სათემო განვითარებას მოხმარდება. ვერ შეძლო რა საკუთარი პოსტების მოწყობა იარინიესა და ბრნიაკში, კოსოვოს საბაჟო სამსახურმა გადაწყვიტა წარმომადგენლობა სამხრეთ მიტროვიცაში გაენსნა, რაც კოსოვოსკა

67 This Regulation was published in the Official Gazette of the Republic of Serbia No. 86/2010.

68 Carinski zakon, Službeni glasnik RS, br. 18/2010

69 სერბეთის საბაჟო კოდექსის მე-3 მუხლი.

70 სერბეთის საბაჟო კოდექსის მუხლი 1.

მიტროვიცას პრიშტინას მიერ კონტროლირებადი ნაწილია. ყოველივე ეს ცხადყოფდა, რომ კოსოვო ვერ ფუნქციონირებდა, როგორც ერთიანი საბაჟო ტერიტორია, რადგანაც კოსოვოს საბაჟო ტერიტორია მხოლოდ მდინარე იბარის (Ibar) სამხრეთ მხარეს ფარავდა (სამხრეთ კოსოვო), კოსოვოს საბაჟო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ჩრდილოეთ კოსოვო კი, არ აღასრულებდა სერბეთის რესპუბლიკის საგადასახადო თუ საბაჟო რეგულაციებს. სწორედ ამან აქცია ჩრდილოეთ კოსოვო დე ფაქტო თავისუფალი ვაჭრობის ზონად, რასაც მოყვა უკანონო და ჩრდილოვან ვაჭრობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები – მრავალი დასახელების საქონელი, რომელიც გადიოდა სერბეთიდან და თავისუფლდებოდა დღგ-ს გადახდისგან, უკანონოდ ბრუნდებოდა სერბულ ბაზარზე.<sup>71</sup> პრიშტინის ხელისუფლებამ 2011 წლის 26 ივლისს, წარუმატებლად სცადა ძალისმიერად გაეკრძალებინა საკუთარი სუვერენიტეტი ჩრდილოეთ კოსოვოზე, შედეგად ჩრდილოეთ კოსოვოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტები «კოსოვოს ძალების» (KFOR) კონტროლის ქვეშ გადავიდა. ყოველივე ეს გახდა ბელგრადისა და პრიშტინას შორის ბრიუსელში ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების ერთ-ერთი მიზეზი.

მაშინაც კი, როდესაც დაიწყო CEFTA 2006-ის პრაქტიკული გამოყენება, სერბეთსა და კოსოვოს შორის ვაჭრობის სფეროში სავაჭრო პროცედურების გამოყენება ქაოტური იყო. პრაქტიკულად, საქონლის ზოგიერთი სახეობა განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმის გამოყენებას ექვემდებარება, ასეთ საქონელს უნდა ახლდეს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, როგორცაა OLDPV ან EL დოკუმენტები, მათ შორის, ანგარიშ-ფაქტურა და წარმოშობის სერტიფიკატი (EUR 1) და სხვა სათანადო დოკუმენტაცია. გარკვეული საქონლით ვაჭრობა, განსაკუთრებით, თუკი ვაჭრობა კოსოვოს სამხრეთ ნაწილთან (პრიშტინას მიერ კონტროლირებადი ტერიტორია) ხდება, ითხოვს საბაჟო დეკლარაციის (JCI) გამოყენებას და სათანადო საბაჟო პროცედურების დაცვას. კოსოვოსა თუ უშუალოდ სერბეთში წარმოებული საქონლის შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული ადგილობრივი ნედლეულის წილი სათანადოა, კვლავაც განიხილება სერბეთში როგორც შიდა ვაჭრობა, რომლის მიმართაც გამოიყენება შესაბამისი საგადასახადო პროცედურა. სერბეთში იმპორტირებული კოსოვური ნაწარმი კვლავაც არ იბეგრება საბაჟო მოსაკრებლებით. საქონლის შიდა წარმოშობის დასადგენად მხოლოდ CEFTA 2006-ის მე-4 ოქმი<sup>72</sup> გამოიყენება. ამ შემთხვევაში, ექსპორტიორი არაა ვალდებული წარმოადგინოს სერბული საგადასახადო ხელისუფლების მიერ გაცემული ადგილობრივი წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### ბლოკადიდან დიალოგამდე (2008–2013)

2008 წელს, კოსოვოს დროებითი ხელისუფლების მიერ პრიშტინაში დამოუკიდებლობის ცალმხრივმა გამოცხადებამ, საფუძველი ჩაუყარა სერბეთსა და კოსოვოს შორის ვაჭრობაში პრობლემების წარმოქმნას. მათ შორის უმნიშვნელოვანესი, კოსოვოს საბაჟო დოკუმენტაციისა და შტამპების მიუღებლობის საკითხი იყო, პრიშტინის ხელისუფლების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. სერბეთი უარს აცხადებდა ისეთი დოკუმენტაციის მიღებაზე, რომელიც არ იყო «სახელმწიფოებრიობის სტატუსის მიმართ ნეიტრალური», შესაბამისად, ისეთი საქონლის იმპორტი და ექსპორტი, რომელსაც თან ახლდა «კოსოვოს რესპუბლიკის» სიმბოლიკის მქონე დოკუმენტაცია, არ დაიშვებოდა. რადგანაც ვაჭრობა ყოველთვის პოპულარს გამოსავალს, კოსოვოდან მომდინარე საქონელი სერბეთში მონტენეგროს გავლით შედიოდა. კოსოვური საქონელი მონტენეგროს გავლით რეექსპორტის დროს იძენდა მონტენეგროს დოკუმენტაციას, სადაც გაწერილი იყო მისი კოსოვური წარმომავლობა და ნათლად იყო მითითებული, რომ ეს საქონელი რეექსპორტს წარმოადგენდა. 2011 წლის ზაფხულში, პრიშტინის ხელისუფლებამ წამოიწყო კოსოვოში სერბული ექსპორტის ბლოკადა, რადგანაც, 2008 წელს სერბეთის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არ მიეღო კოსოვური დოკუმენტაცია და საბაჟო შტაპები, აღიქმებოდა პრიშტინაში, როგორც კოსოვური ექსპორტის ბლოკადა.

მრავალი დაურეგულირებელი საკითხის გამო, რაც აფერხებდა CEFTA 2006-ის გამოყენებას სერბეთსა და კოსოვოს შორის სავაჭრო ურთიერთობაში, ევროკავშირის ეგიდით

71 დაწვრილებით იხილეთ Bjelić et al (2012). Op. cit.

72 CEFTA 2006, დანართი 4: «საქონლის წარმოშობის» ცნებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლობის მეთოდების განმსაზღვრელი ოქმი.

დაიწყო ტექნიკურ საკითხებზე მოლაპარაკებები. სერბეთიც და კოსოვოც მიისწრაფვის ევროკავშირის წევრობისაკენ, შესაბამისად, ამ სავარაუდო ინტეგრაციის პერსპექტივას ძალუძს დიდი გავლენა მოახდინოს ორივე ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი მოლაპარაკება შედგა საბაჟო საკითხებზე, კერძოდ კი, საბაჟო დოკუმენტაციისა და შტამპების გამოყენების თაობაზე. ეს მოლაპარაკება სერბეთის ევროკავშირში მიღების ერთ-ერთი წინაპირობა გახდა.

ტექნიკური საკითხების გადაწყვეტისაკენ მოწოდებული მოლაპარაკებები ბელგრადსა და პრიშტინას შორის ბრიუსელში, 2011 წელს დაიწყო. 2011 წლის ოქტომბრისათვის, მიღწეულ იქნა კომპრომისი კოსოვოს საბაჟო დოკუმენტაციისა და შტამპების თაობაზე. შესაბამისად, სერბეთი დათანხმდა «კოსოვოს საბაჟოს» სიმბოლიკის მატარებელი შტამპების გამოყენებას იმ პირობით, რომ საბაჟო დეკლარაციებზე არ გამოჩნდება «კოსოვოს რესპუბლიკის» სიმბოლიკა. მიღწეული შეთანხმება წერილობით გაფორმდა, სერბეთისა და კოსოვოს ოფიციალური წარმომადგენლების ხელმოწერებისა და დასტურის გარეშე.<sup>73</sup> შეთანხმების პირობების თანახმად, სერბეთი და კოსოვო «ყოველივეს იღონებენ საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესაბამისად». დღეისათვის, კოსოვომ მოხსნა უშუალოდ სერბეთიდან საქონლის იმპორტის ბლოკადა.

სერბეთსა და კოსოვოს შორის ვაჭრობისათვის, აგრეთვე, CEFTA 2006-ის აღსრულებასთან დაკავშირებული ერთ-ერთ პრობლემას კოსოვოს მიერ რეგიონალურ შეხვედრებზე კოსოვოში გაეროს მისიის დასწრებაზე უარის განცხადება გახდა. სერბეთმა და ბოსნია და ჰერცეგოვინამ კოსოვოს დამოუკიდებლობა, განსხვავებით დასავლეთ ბალკანეთის სხვა ქვეყნებისაგან, არ აღიარეს, რაც CEFTA 2006-ის ორგანოების ოპერირებისათვის დაბრკოლებას წარმოადგენდა. განსაკუთრებით თვალსაჩინო მდგომარეობა 2011 წელს იყო, როდესაც კოსოვომ იკისრა CEFTA 2006-ის თავმჯდომარეობა. სწორედ ამ მიზეზით გახდა საჭირო ისეთი შეთანხმების მიღწევა, რაც კოსოვოს ისეთ რეგიონალურ შეხვედრებსა და რეგიონალურ ორგანიზაციებსა და ორგანოებში მონაწილეობის საშუალებას მისცემდა, საიდანაც სერბეთმა გადაწყვიტა გასულიყო იმ შემთხვევებში, როდესაც კოსოვო არ იყო წარმოდგენილი კოსოვოში გაეროს მისიის მიერ. 2011 წელს დადებული რეგიონალური წარმომადგენლობისა და თანამშრომლობის შეთანხმება გულისხმობდა კოსოვოს წარმომადგენლობას რეგიონალურ შეხვედრებზე საკუთარი სახელითა და საკუთარი ინტერესების დასაცავად, «კოსოვოს\*» დასახელებით. დასახელებასთან თანდართული «ვარსკვლავი» მინიშნებაა შემდეგ ფორმულაზე «ეს დასახელება არ ასახავს სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ პოზიციას და შეესაბამება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244-ს და გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებას კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თაობაზე.» ამ შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ევროკავშირმა აიღო.

ბელგრადსა და პრიშტინას შორის ტექნიკური დიალოგის ფარგლებში მიღწეული უმნიშვნელოვანესი შეთანხმება ადმინისტრაციული საზღვრის ინტეგრირებული მართვის შესახებ (Integrated Border Management – IBM)<sup>74</sup> შეთანხმება გახდა. ხსენებული შეთანხმება განსაზღვრავს საბაჟო საზღვრის ერთიანი მართვის წესს, რაც უკვე სტანდარდულად იქცა ევკორავშირში და გულისხმობს ორ ტერიტორიას შორის საბაჟო და საიმპორტო კონტროლის ერთ წერტილში განხორციელებას. ევროკავშირი და ევროკავშირის მისია კოსოვოში (EULEX) გაზრდილი პასუხისმგებლობას კისრულობს ჩრდილოეთ კოსოვოში განლაგებულ ადმინისტრაციულ გამშვებ პუნქტებზე, რუდინცასა და ბრნიაკში. სხვა მნიშვნელოვანი გამშვები პუნქტები, სადაც გამოყენებულ იქნება საზღვრის ინტეგრირებული მართვის პრინციპები ბელა ზემლია/კონჩიული, მერდარე,

73 შეთანხმება საბაჟო შტამპების თაობაზე. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.media.srbija.gov.rs/medsrp/dokumenti/carinski\\_pecat-srp\\_eng.doc](http://www.media.srbija.gov.rs/medsrp/dokumenti/carinski_pecat-srp_eng.doc). იხილეთ: დანართები, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

74 საზღვრის ინტეგრირებული მართვასთან დაკავშირებული შეთანხმებული დასკვნები. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე [http://www.media.srbija.gov.rs/medsrp/dokumenti/koncept\\_ibm-srp\\_eng.doc](http://www.media.srbija.gov.rs/medsrp/dokumenti/koncept_ibm-srp_eng.doc). იხილეთ : დანართები, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.international-alert.org/resources/publications/regulations-trade-across-contested-borders-en>

მუტივოდე და დეპცე/მუციბაბა (Bela Zemlja/Konculj, Merdare, Mutivode and Depce/Mucibaba). განისაზღვრა შეთანხმების აღსასრულებლად აუცილებელი სამხრეთი ჯგუფის ჩამოყალიბება.

მიუხედავად სერბეთის მთავრობის მიერ შეთანხმების ოფიციალური აღიარებისა 2012 წლის 6 დეკემბერს,<sup>75</sup> მისი აღსრულება დაუყოვნებლივ არ დაწყებულა. ყველაზე რთული საკითხი შეთანხმების ჩრდილოეთ კოსოვოში აღსრულება გახდა, ადგილობრივი სერბული მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო.

ადგილობრივ სერბებს ადარდებდათ სერბეთიდან სავარაუდო მოწყვეტა და შიშობდნენ, რომ მოსალოდნელი გართულებული პროცედურის გამო, ვეღარ შეძლებდნენ ცენტრალური სერბეთიდან ყოველდღიური მოხმარების საგნების მიღებას. დადგა კოსოვოს საბაჟოს მიერ ადმინისტრაციულ საზღვარზე საბაჟო მოსაკრებლებისა და გადასახადების აკრეფის საკითხიც. სერბეთსა და პრიშტინის მთავრობას შორის, ამ საკითხის მოსაგვარებლად, მიღწეულ იქნა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ჩრდილოეთ კოსოვოს მოსახლეობისათვის აუცილებელი საქონელს არ დაეკისრებოდა საბაჟო მოსაკრებელი იმ შემთხვევაში, თუკი მისი შემოტანა 3,5 ტონამდე ტვირთამწეობის მქონე სატვირთო მანქანებით მოხდებოდა. მეტიც, აქციზი არ დაწესდებოდა ექვსი სახეობის სააქციზო საქონელზე, სანაცვლოდ, საჭირო იქნებოდა მხოლოდ საბაჟო რეგისტრაცია. თავის მხრივ, სერბეთმა გააუქმა სერბეთის გავლით ტრანზიტად მომავალი სატვირთო ქარავნები, რომლებიც ყოველდღე, დილის 8-ზე და დღის 3-ზე გადიოდა. კოსოვოდან სერბეთში ტრანიზატად მიმავალი საქონლის ზოგიერთი სახეობის საბაჟო კონტროლი ვრანიესა (Vranje) და ნიში (Niš) უნდა განხორციელებულიყო.

საბაჟო შეთანხმება სრულად ჯერ არ აღსრულებულა, რასაც სავსე კვლევებისა და ბრიტუსელის შეთანხმებების მონიტორინგი ცხადყოფს.<sup>76</sup> სერბეთსა და კოსოვოს შორის საქონელბრუნვის მრავალი საკითხი კვლავაც გადაწყვეტას საჭიროებს. ერთ-ერთი გადაუწყვეტელი საკითხი სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაა, რასაც გავლენა აქვს ორ საბაჟო ტერიტორიას შორის საქონლის გადამზიდ სატრანსპორტო საშუალებებსა და საბაჟო ტერიტორიების გავლით საქონლის ტრანზიტით გადამზიდ სატრანსპორტო საშუალებებზე. დღეისათვის, გამოიყენება სადაზღვევო რეჟიმი, რომლის ფარგლებშიც აიღება ე.წ. «სასაზღვრო სადაზღვევო გადასახადი», რადგანაც კოსოვოს არ აქვს საშუალება, გახდეს «მწვანე ბარათის სადაზღვევო კლუბის» წევრი.

ბელგრადსა და პრიშტინას შორის მოლაპარაკებების დროს, ყველაზე დიდი დრო მხარეთა შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის შესახებ შეთანხმების<sup>77</sup> მიღწევას დაჭირდა, რაც ორივე მხარის მიერ ევროკავშირთან დაახლოების ერთ-ერთი წინაპირობა იყო. შეთანხმება ჩრდილოეთ კოსოვოს სტატუსისადმი მიძღვნილი, მხარეების მიერ შეთანხმებული, 15 პუნქტისაგან შედგება. ჩრდილოეთ კოსოვოს სერბული მუნიციპალიტეტების გაერთიანების ჩამოყალიბება შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. გაერთიანება ჩრდილოეთ კოსოვოს იმ მუნიციპალიტეტებისაგან შედგება, სადაც სერბები ჭარბობენ: ჩრდილოეთ კოსოვოს მიტროვიცა (Kosovska Mitrovica), ლეპოსავიჩი (Leposavic), ზევეჩანი (Zvecan) და ზუბინ პოტოკი (Zubin Potok). ბელგრადსა და პრიშტინას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის შეთანხმება განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების გაერთიანების უფლებამოსილებას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს როგორც კოსოვოს სამართლებრივ ნორმებთან, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების მარეგულირებელი ევროპული კონვენციასთან. თუმცა, გაერთიანებას ენიჭება დამატებითი უფლებამოსილებაც. ხსენებული შეთანხმებით დარეგულირებულ საკითხთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიციური ძალებისა და სასამართლო სისტემის სტატუსია. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კოსოვოს სასამართლო და პოლიცია კოსოვოს სასამართლო და პოლიციური სისტემის ნაწილია, უმაღლესი თანამდებობები ჩრდილოეთ

75 სერბეთის მთავრობის დასკვნა ადმინისტრაციული გამგეობის პუნქტების ინტეგრირებული მართვის შეთანხმების თაობაზე 05 No. 06-8907/2012, 2012 წლის 6 დეკემბერი.

76 Bjelić et al (2013). Op. cit.

77 შეთანხმება ბელგრადსა და პრიშტინას შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.pressonline.rs/info/politika/269887/originalan-tekst-briselskog-sporazuma.html>



კოსოვოში სერბებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი. ეს შეთანხმება ჯერ სრულად არ აღსრულებულა.

ჩრდილოეთ კოსოვოსთან ვაჭრობისას გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების აღმოსაფხვრელად, სერბეთმა ხელახლა შემოიღო დღგ სასაქონლო ნომენკლატურის გარკვეულ ერთეულებზე, მიიღო რა რეგულაცია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციაში გაეროს №1244 რეზოლუციის მოქმედების პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.<sup>78</sup> ეს რეგულაცია ძალაში 2011 წლის 16 სექტემბერს შევიდა.<sup>79</sup> ძირითადი ცვლილებები შეეხო დღგ-ს ხელახალ შემოღებას ჩრდილოეთ კოსოვოდან უშუალოდ სერბეთის საბაჟო ტერიტორიის მიმართულებით მომდინარე საქონელობრუნვაზე, განსაკუთრებით, მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებებზე, ნავთობსა და მის ნაწარმზე და სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე. ეს ნაკადები კვლავაც არ იბეგრება დღგ-ით, მაგრამ ექსპორტიორები ვალდებულები არიან, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის გზით, დაადასტურონ, რომ დღგ კოსოვოში იქნა გადახდილი. იგივე მიდგომა გამოიყენება ადგილობრივი ნაწარმის ექსპორტის შემთხვევაშიც.

ბელგრადსა და პრიშტინას შორის ბრიუსელის დიალოგის დასრულების შემდგომ, 2013 წელს, სერბეთმა მიიღო ახალი რეგულაციები, რომელთა ძალითაც შეიცვალა კოსოვოს მიმართ გამოყენებული სავაჭრო რეჟიმი. 2013 წლის 14 დეკემბერს მიღებულ იქნა და ძალაში შევიდა სამი ახალი კანონქვემდებარე აქტი, რითაც ჩანაცვლდა სერბეთში აქამდე მოქმედი ყველა დებულება კოსოვოსთან ვაჭრობის შესახებ. ეს კანონქვემდებარე აქტებია: რეგულაცია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციაში გაეროს №1244 რეზოლუციის მოქმედების პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ კანონის აღსრულების თაობაზე; რეგულაცია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციაში გაეროს №1244 რეზოლუციის მოქმედების პერიოდში აქციზის დამატებითი გადასახადის შესახებ კანონის აღსრულების თაობაზე; და რეგულაცია კოსოვოსა და მეტოჰიის ავტონომიურ პროვინციასთან სასაქონლო ვაჭრობის განსაკუთრებული პირობების შესახებ, რეგულაციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.<sup>80</sup> საქონლის სერბეთიდან კოსოვოში ექსპორტის ძირითადი დამადასტურებელი დოკუმენტი საბაჟო დეკლარაციაა. კოსოვოში საქონლის გამტანი სერბული კომპანიები აღარ არიან ვალდებულნი, მიჰყიდონ საკუთარ ანგარიშზე მიღებული უცხოური ვალუტა სერბეთის ეროვნულ ბანკს, მაგრამ ვალდებულნი არიან, განაცხადონ მათ ანგარიშებზე მიმდინარე ყველა ტრანზაქცია. სიახლეს წარმოადგენს კომპანიებისათვის დღგ-ს გადახდისგან გათავისუფლების შესაძლებლობა წინაწარმ გადახდის შემთხვევაში, თუკი ეს კონტრაქტით დასტურდება. რაც არსებითია, კოსოვოს მიმართულებით ექსპორტი, ამიერიდან, იმავე მდგომარეობაშია, რაც სტანდარტული ექსპორტი მსოფლიოს ყველა დანარჩენი ეკონომიკის მიმართულებით.

78 Uredba o izmenama i dopunama Uredbe o izvršavanju Zakona o porezu na dodatu vrednost na teritoriji Autonomne pokrajine Kosovo i Metohija za vreme važenja Rezolucije Saveta bezbednosti OUN broj 1244.

79 გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 68/2011-შო.

80 სამივე რეგულაცია გამოქვეყნდა Official Gazette of the Republic of Serbia No. 111/2013-შო.

## კოსოვო-სერბეთი: ვაჭრობისა და ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირების საკითხები

შპენდ კურსანი და ბერატ თაქი

### შესავალი

მოცემულ თავში განიხილება კოსოვოსა და სერბეთის ეკონომიკური ურთიერთობები და სავაჭრო მოდელები 1999 წლის ივნისიდან მოყოლებული, როდესაც ჩამოყალიბდა გაეროს დროებითი ადმინისტრაცია კოსოვოში (UNMIK), 2013 წლის დეკემბრამდე. განსახილველად ეს პერიოდი იმიტომ შეირჩა, რომ იგი მოიცავს კოსოვო-სერბეთის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას და დავეხებით კოსოვოს მიერ 2008 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. იმავე პერიოდს დაემთხვა სხვადასხვა შეთანხმების მიღწევა და ორივე მხარის მიერ მოწონებული მოდელის გამოყენება მხარეთა შორის სავაჭრო ურთიერთობების დასარეგულირებლად. მიუხედავად იმისა, რომ სერბეთმა დაკარგა ძალაუფლება კოსოვოში 1999 წლის ივნისში გაეროს ადმინისტრაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, ვაჭრობა ორ ერთეულს შორის გაგრძელდა, რამდენიმე ჩავარდნის გამოკლებით კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ფაქტობრივად, სერბეთი კოსოვოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2013 წელს, კოსოვოში სერბეთიდან შემოსულმა იმპორტმა ქვეყნის მთლიანი იმპორტის 11%-ი შეადგინა, მოცულობით კი 285 მილიონ ევროს მიაღწია.<sup>81</sup> მეორეს მხრივ, კოსოვოს ექსპორტმა სერბეთში იმავე პერიოდისათვის მხოლოდ 14,5 მილიონი ევრო შეადგინა, რაც კოსოვოსთვის სავაჭრო ბალანსის მსხვილ დეფიციტს ასახავს, როდესაც სერბეთიდან იმპორტის საშუალოდ, 5% იფარება კოსოვოდან ექსპორტით.

1999 წლის ივნისში კოსოვოში გაეროს ადმინისტრაციის ჩამოყალიბების შემდგომ, ნელ-ნელა ვითარდებოდა და ამიტომ მრავალჯერ შეიცვალა ვაჭრობის რეგულირება და მოდელები კოსოვოსა და სერბეთს შორის. ქვემოთ მოყვანილია კოსოვოსა და სერბეთს შორის სავაჭრო რეგულირებისა და თანამშრომლობის ძირითადი საფეხურები.

- **კოსოვო გაეროს მოქმედი ადმინისტრაციის დროს Kosovo (1999–2008):** კოსოვოში გაეროს ადმინისტრაციის დაარსების პირველ წელს, კოსოვოსა და სერბეთს შორის მიმდინარე ვაჭრობა საშინაო ვაჭრობად იყო მიჩნეული. ეს მიდგომა მაშინ შეიცვალა, როდესაც გაეროს ადმინისტრაციამ 2001 წელს დაიწყო «კონსტიტუციური ჩარჩოს» აღსრულება, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდა კოსოვოში გაეროს მისიის საბაჟო სამსახური, თვითმმართველობის სხვა ორგანოებთან ერთად. კოსოვოს გაეროს ადმინისტრაციის მოქმედების პერიოდში, არ ქონია სერბეთთან ვაჭრობის ორმხრივი, ოფიციალურად გაფორმებული შეთანხმება. მიუხედავად ამისა, ორივე ქვეყანა ნებას რთავდა სასაქონლო და მომსახურებით ვაჭრობას, ვიდრე კოსოვო შეცვლიდა საბაჟო შტამპებს, 2008 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შედეგად.
- **კოსოვო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (2008–2011):** ამ პერიოდში, კოსოვომ დაიწყო მოქმედება დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით, გაეროს ადმინისტრაციის როლის დაკნინების ფონზე, რამაც კოსოვოსა და სერბეთს შორის სავაჭრო და პოლიტიკური დაპირისპირება გამოიწვია. როგორც კი კოსოვომ გაეროს მისიის საბაჟო შტამპების ახალი, «კოსოვოს საბაჟოს» სიმბოლიკის მატარებელი შტამპებით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო, სერბეთმა დაბლოკა კოსოვო-სერბეთი ექსპორტი სერბეთში და აუკრძალა კოსოვოს მისი ტერიტორიის სატრანზიტო, მესამე მხარეებთან სავაჭრო მიზნებით გამოყენება. შედეგად, მოგვიანებით, კოსოვომაც მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება სერბეთიდან მიმდინარე იმპორტის დასაბლოკად, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მხარეთა ურთიერთობა.
- **კოსოვო სერბეთთან ევროკავშირის ეგიდით მოწყობილი მოლაპარაკებების დაწყების შემდგომ (2011 წლიდან– დღემდე):** ამ პერიოდს დაემთხვა მხარეთა შორის მოლაპარაკებების მრავალი რაუნდი, რომელთა ფარგლებშიც მიღწეულ იქნა რამდენიმე შეთანხმება და

81 კოსოვოს სტატისტიკის სააგენტო (2013). 'ვარე ვაჭრობის სტატისტიკა – 2013'. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე <http://ask.rks-gov.net/tregtia-e-jashtme/publikime/>

აგრეთვე მხარეთა შორის სავაჭრო დავის გადაწყვეტილებაც. ვაჭრობა მხარეთა შორის, საბოლოოდ, მხოლოდ 2013 წლის ბოლოსთვის დარეგულირდა. მოლაპარაკებები როგორც ტექნიკური ექსპერტების, ასევე, პრემიერ-მინისტრების დონეზე მიმდინარეობდა, რამაც შედეგად, საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და საბაჟო კონტროლის თაობაზე რამდენიმე შეთანხმება მოიტანა.

## კოსოვო გაეროს ადმინისტრაციის პერიოდში

1999 წლის 10 ივნისს, გაეროს უშიშროების საბჭომ (UNSC) მიიღო რეზოლუცია №1244, რომლის ფარგლებშიც კოსოვოში საერთაშორისო სამოქალაქო წარმომადგენლობა – კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისია (UNMIK)<sup>82</sup> განწესდა. იმავე რეზოლუციის ძალით, კოსოვოს უნდა მინიჭებოდა «მნიშვნელოვანი ავტონომია იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის (FRY) ფარგლებში».<sup>83</sup> მეტიც, იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის ევალუაცია კოსოვოდან «ყველაწარმოადგენს, პოლიციური და გასამხედროებელი ძალის სრული და გადამოწმებას დაქვემდებარებული, საფეხურებრივი გაყვანა უმოკლეს ვადებში».<sup>84</sup>

1999 წლის ივნისში, UNMIK-ის ჩამოყალიბებასთან ერთად, კოსოვოს საზღვრებში არსებული იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის საბაჟო სამსახური გაუქმდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი არაეფექტური და მოძველებული იყო.<sup>85</sup> სანაცვლოდ, ჩამოყალიბდა საბაჟო ადმინისტრირების დროებითი სისტემა და კოსოვოში შემოტანილი ყველა ნაწარმზე, სურსათისა და მედიკამენტების რამდენიმე დასახელების გამოკლებით, ერთიანი 10%-იანი ბაჟი დაწესდა. თუმცა, ეს რეჟიმი კოსოვოს ყველა მეზობელ სახელმწიფოზე თანაბრად არ გავრცელებულა. მაგალითად, ამ პერიოდში, საბაჟოს თანამშრომლები განთავსდნენ მხოლოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში ალბანეთისა და მაკედონიის საზღვარზე (დაახლოებით 40), იმავდროულად, იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკასთან, კერძოდ კი, მონტენეგროსა და სერბეთის საზღვარზე განლაგებულ გამშვებ პუნქტებზე საბაჟო მომსახურება არ ხორციელდებოდა.<sup>86</sup> შესაბამისად, კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისია განიხილავდა ვაჭრობას იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკასთან, როგორც საშინაო ვაჭრობას. მეორეს მხრივ, მონტენეგრომ და სერბეთმა დამოუკიდებლად და ცალმხრივად მოაწყვეს საბაჟო პოსტები კოსოვოს საზღვარზე განლაგებულ ზოგიერთ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, სადაც კოსოვოდან იმპორტირებულ ნაწარმს მისი ღირებულების 10%-დან 90%-დე ოდენობის საბაჟო მოსაკრებელი ეკისრებოდა. შესაბამისად, მონტენეგრო და სერბეთი განიხილავდნენ კოსოვოსთან მიმდინარე ვაჭრობას საგარეო ვაჭრობად.

კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის დაარსებასა და იუგოსლავის ფედერაციული რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გაყვანის ფონზე, გაეროს გენერალური მდივნის განსაკუთრებულმა წარმომადგენელმა (SRSG) კოსოვოში, 2001 წლის 15 მაისს, მოაწერა ხელი კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის რეგულაცია №2001/9-ს. ამ რეგულაციის ძალით ჩამოყალიბდა კოსოვოს დროებითი თვითმმართველობის კონსტიტუციური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ნავარაუდევია იყო კოსოვოში ყველა აუცილებელი თვითმმართველობის ორგანოს დაარსება.<sup>87</sup> კონსტიტუციური ჩარჩო ასევე გულისხმობდა კოსოვოს საბაჟო სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელსაც «კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის საბაჟო სამსახური» ეწოდებოდა. კოსოვოს კონსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, თვითმმართველობის დროებითი ორგანოები (PISG) პასუხს აგებდნენ საბაჟო სამსახურის მხოლოდ ადმინისტრაციულ და საოპერაციო

82 გაერო (1999). 'რეზოლუცია 1244 (1999)'. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFC9B-6D27-4E9C-8CD3-CF6E4FF96FF9%7D/kos%20SRES%201244.pdf>

83 გაერო (1999). Op. cit. Annex 2, Paragraph 5.

84 გაერო (1999). Op. cit.

85 მსოფლიო ბანკი (1999). კოსოვო: მშვიდობის მშენებლობა მდგრადი ზრდის მეშვეობით: ეკონომიკური და სოციალური დღის წესრიგი (Kosovo: Building Peace Through Sustained Growth: The Economic and Social Agenda). ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://ec.europa.eu/enlargement/archives/seerecon/kosovo/documents/kosovo\\_building\\_peace\\_1999.pdf](http://ec.europa.eu/enlargement/archives/seerecon/kosovo/documents/kosovo_building_peace_1999.pdf)

86 იქვე.

87 კოსოვოს ასამბლეა (2001). 'კოსოვოს დროებითი თვითმმართველობის კონსტიტუციური ჩარჩო'. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე [http://www.assembly-kosova.org/common/docs/FrameworkPocket\\_ENG\\_Dec2002.pdf](http://www.assembly-kosova.org/common/docs/FrameworkPocket_ENG_Dec2002.pdf)

საქმიანობაზე.<sup>88</sup> მეორეს მხრივ, დროებითი ორგანოების საქმიანობის ზედამხედველობის «უზენაესი» უფლებამოსილება გაეროს გენერალური მდივნის განსაკუთრებულ წარმომადგენელს ენიჭებოდა, მათ შორის, საბაჟო სამსახურისაც, კერძოდ კი: UNMIK-ის საბაჟო სამსახურის საქმიანობის კონტროლი, ზედამხედველობა, საბაჟო სამსახურისა და საგადასახადო ინსპექციის უფროსი აღმასრულებლის დანიშვნის უფლებამოსილება.<sup>89</sup>

იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (მონტენეგრო და სერბეთი) მიმდინარე ვაჭრობა მთლიანად საშინაო ვაჭრობად განიხილებოდა UNMIK-ის ხელისუფალთა მიერ მხოლოდ 2001 წლის 1 ივლისამდე, როდესაც კოსოვოში ძალაში შევიდა დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ), კოსოვოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 31 მაისს მიღებული რეგულაცია №2001/11-ი «დღგ-ს შესახებ» ძალით.<sup>90</sup> რეგულაცია №2001/11-ის თანახმად, ნებისმიერ იმპორტზე, მათ შორის, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (მონტენეგროსა და სერბეთიდან) შემოტანილ საქონელზე, წესდებოდა 15%-იანი განაკვეთის დამატებითი ღირებულების გადასახადი,<sup>91</sup> რაც ნიშნავდა, რომ საბაჟო მომსახურება პირველად წესდებოდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე იუგოსლავიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან (მონტენეგრო და სერბეთი), სადაც აიღებოდა მხოლოდ დღგ და არა სხვა საბაჟო მოსაკრებლები, რაც კოსოვოს დე იურე განცალკევებულ საბაჟო ზონად ჩამოყალიბებას ნიშნავდა. ამ გადაწყვეტილებამ აიძულა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკა, უშიშროების საბჭოსადმი 2001 წლის 4 მაისის რეზოლუციისთვის დაემატებინათ დანართი, სერბი ხალხისა და კოსოვოს არააღიარებული თემების ღრმა შეშფოთების გამოხატულებით, კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის გადაწყვეტილების გამო. გაეროსადმი ამ მიმართვაში, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლება აცხადებდა, რომ «კოსოვოსა და მეტოპიის ცენტრალურ სერბიასთან ადმინისტრაციულ საზღვარზე საბაჟო პუნქტების მოწყობა [კოსოვოში მცხოვრები სერბი] მოქალაქეებისთვის დამატებითი შეშფოთების საგანია».<sup>92</sup> მეტიც, სერბეთის აზრით, UNMIK-ის ეს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244-თან მოდიოდა წინააღმდეგობაში, რადგან აცხადებდა, რომ ფისკალურ პოლიტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კოსოვოში იუგოსლავიურ ხელისუფლებასთან კონსულტაციის გზით უნდა გატარებულიყო.<sup>93</sup> სერბეთის რეაქციის მიუხედავად, UNMIK-ის საბაჟო სამსახური სერბეთთან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, უმეტესწილად, ნორმალურად აგრძელებდა ფუნქციონირებას, ვიდრე კოსოვო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა 2008 წლის თებერვალში.

### ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების კონტექსტი

2007 წლის 27 ივლისს, კოსოვო, დასავლეთ ბალკანეთის სხვა ხუთ ქვეყანასთან ერთად, ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (CEFTA)<sup>94</sup> სრულყოფილებიან წევრი გახდა. CEFTA თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზეა დაფუძნებული, მარაკეში დაფუძნებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO)<sup>95</sup> შეთანხმებების მიხედვით. გარდა ამისა, შეთანხმება მიზნად ისახავს საერთო ინტერესების სფეროში თანამშრომლობის წახალისებას თანასწორობის, ურთიერთმოგების, არადისკრიმინაციული მოპყრობისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.<sup>96</sup> იქიდან გამომდინარე, რომ კოსოვო არ იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, კოსოვოს სახელით შეთანხმებას კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიამ მოაწერა 2006 წლის 19 დეკემბერს ხელი. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის, UNMIK-ს, კოსოვოს დროებითი

88 კოსოვოს ასამბლეა (2001). Op. cit. თავი 5 (c).

89 კოსოვოს ასამბლეა (2001). Op. cit. თავი 8 (x).

90 UNMIK (2001). 'UNMIK რეგულაცია No. 2001/11 კოსოვოში დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ', 2001 წლის 31 მაისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.atk-ks.org/wp-content/uploads/2010/07/Regulation\\_2001\\_11.pdf](http://www.atk-ks.org/wp-content/uploads/2010/07/Regulation_2001_11.pdf)

91 UNMIK (2001). Op. cit. თავი 2, ქვეთავი 2, პარაგრაფი 2.1.

92 UNMIK (2001). 'UNMIK რეგულაციები – გაერთიანებული ერებში იუგოსლავიის მუდმივმოქმედი წარმომადგენლის 2001 წლის 5 მაისით დათარიღებული წერილის დანართი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის სახელზე'. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.icj-cij.org/docket/files/141/15034.pdf>

93 'კოსოვო და მეტოპია' კოსოვოს სერბული მთავრობის მიერ გამოყენებული დასახელება.

94 CEFTA ჩამოყალიბდა 1992 წელს ოთხი ცენტრალურ-ევროპული ქვეყნის მიერ: ჩეხეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, და სლოვაკია. მოგვიანებით, მას შეუერთდნენ სხვა ქვეყნებიც: სლოვენია (1996), რუმინეთი (1997), ბულგარეთი (1998), ლიუტენი (2003) და მაკედონია (2006). შეთანხმებაზე მიერთებული უკანასკნელი ქვეყნები 2007 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ექვსი ქვეყანა გახდა: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა (BiH), მოლდავეთი, მონტენეგრო, სერბეთი, და UNMIK-ის მიერ წარმოდგენილი კოსოვო.


95 CEFTA (2006). 'CEFTA 2006-ის კონსოლიდირებული ვერსია – პრეამბულა'. გვ. 2. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://192.232.255.119/~cefta/sites/default/files/trade/ANN1CEFTA%202006%20Final%20Text.pdf>

96 Ibid.

თვითმართველობის სახელით, უკვე ქონდა ხელი მოწერილი ორმხრივ სავაჭრო შეთანხმებებზე ალბანეთთან (2003), მაკედონიასთან (2005), ხორვატიასთან (2006) და ბოსნია – ჰერცეგოვინასთან (2006). ყველა ეს ქვეყანა, მოგვიანებით, CEFTA-ს ხელმომწერი მხარე გახდა. კოსოვოსა და სერბეთს, იმ დრომდე, ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებისთვის ხელი მოწერილი არ ჰქონიათ. თუმცა, როგორც კი მხარეები CEFTA-ს წევრები გახდნენ, მათ შორის გაფორმებული ყველა წინარე შეთანხმება, ავტომატურად, ბათილად იქნა ცნობილი, CEFTA-ს დანართი 2-ის თანახმად.<sup>97</sup> სერბეთმა არ უთხრა კოსოვოს CEFTA-ში წევრობაზე უარი ორი მიზეზის გამო: პირველ რიგში, შეთანხმების ხელმომწერი UNMIK-ი იყო და არა კოსოვოს ხელისუფლება; მეორე რიგში, კოსოვოს წარმოადგენდა UNMIK-ის წარმომადგენელი და არა კოსოვოს ხელისუფლების მიერ მოვლენილი ოფიციალური პირი. ყოველივე ეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია № 1244-ის შესაბამისად გაკეთდა.<sup>98</sup>

კოსოვოს წევრობა CEFTA-ში განიხილებოდა, როგორც კარგი შესაძლებლობა ამ ქვეყნის სუსტი და მცირე ზომის ეკონომიკის გაძლიერებისა და განვითარებისთვის. ნავარაუდევია იყო, რომ სუსტად განვითარებული კერძო სექტორი, კონკურენციის საშუალებით, შეიძენდა გამოცდილებას, გაზრდიდა ეფექტიანობასა და წარმოებული პროდუქციის ხარისხს. გარდა ამისა, კოსოვოსა და CEFTA-ს სხვა წევრებს, ყოველგვარი სავაჭრო ბარიერის გარეშე, ხელი მიუწვდებოდათ, დაახლოებით, 30 მილიონ მომხმარებელზე. მეტიც, CEFTA-ს წევრობა შეამზადებდა კოსოვოს ევროკავშირისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობისათვის. თუმცა, ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა 4 ცხადყოფს, რომ CEFTA-ში წევრობით კოსოვოს ბაზრის წილი არ გაზრდილა, პირიქით, კოსოვოს ექსპორტი CEFTA-ს წევრ ქვეყნებში აგრძელებდა შემცირებას. უფრო მეტიც, სერბეთსა და კოსოვოს შორის წარმოშობილმა პოლიტიკურმა უთანხმოებამ, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 2008 წლის თებერვალში, არ მისცა საშუალება, ბევრი მოეგო CEFTA-ს წევრობითა და თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე წვდომით.

**დიაგრამა 4: კოსოვოს ექსპორტი რეგიონების მიხედვით (2005–2013)<sup>99</sup>**



შენიშვნა: EFTA – თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია.

97 იხილეთ ორმხრივი შეთანხმებების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე CEFTA-ს ძალაში შესვლის დღიდან CEFTA (2006). 'შეთანხმება ცვლილებების შეტანისა და ცენტრალური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მიერთების თაობაზე', მუხლი 4, პარაგრაფი 5. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://192.232.255.119/~cefta/sites/default/files/CEFTAMAINTEXT2006.pdf>

98 CEFTA (2006). Op. cit.

99 კოსოვოს სტატისტიკის სააგენტო (2013). Op. cit.

## დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი პერიოდი

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორ დღეში, 2008 წლის 19 თებერვალს, სერბეთთან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს #1 და #31 ჩრდილოეთ კოსოვოში ცეცხლი წაუკიდეს სერბმა ექსტრემისტებმა,<sup>100</sup> (რომლებიც ბელგრადის მხარდაჭერით სარგებლობდნენ). სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისათვის ცეცხლის წაკიდება ორი მიზეზით შეიძლება აიხსნას: პირველი – სიმბოლოური ქუსტი, დამოუკიდებელი კოსოვოში ცხოვრებაზე უარით; მეორე კი უკავშირდება იმ ფაქტს, რომ სერბებს არ სურდათ დღგ-ს გადახდა დამოუკიდებელი კოსოვოს ბიუჯეტის სასარგებლოდ. ადგილობრივი სერბებისა და მეწარმეების აზრით, სერბეთთან სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე აღებული დღგ-ს თანხები აღარ მოხვდებოდა კოსოვოს UNMIK-ის მიერ მართულ კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, არამედ, დამოუკიდებელი კოსოვოს ბიუჯეტში შევიდოდა. სერბების აზრით, ეს ფაქტი დამოუკიდებლობის ირიბად აღიარება იქნებოდა, ამის თავიდან აცილებას კი სერბები ყველა ღონით ცდილობდნენ.<sup>101</sup> ყოველივე ამის შედეგად, კოსოვოს მცირე ან არარსებულ ძალაუფლების პირობებში საკუთარი ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილზე, დე ფაქტოდ, სერბეთის მიერ მართულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონად იქცა. კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ჩრდილოეთ ნაწილში სასაზღვრო-გამშვები პუნქტების განადგურების შემდეგ, სერბულმა მთავრობამ გადაწყვიტა, ჩრდილოეთ კოსოვოსთან მოვაჭრე სერბული ეკონომიკური სუბიექტებიც (საწარმოები) გაეთავისუფლებინა დღგ-ს გადახდისაგან. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში საქონლის გამტანი სერბული საწარმოები არა მარტო არ იხდინდნენ დღგ-ს კოსოვოში, არამედ, სერბული დღგ-ც უბრუნდებოდათ ყველა იმ ნაწარმზე, რაც კოსოვოს ჩრდილოეთში შექონდათ, რამაც საფუძველი ჩაუყარა კონტრაბანდისტულ საქმიანობას.<sup>102</sup>

დამატებით, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებმა სერბებმა იმ შეუღლებული უფლებამოსილების უარყოფაც კი დაიწყეს, რაც ჩრდილოეთ ნაწილში საერთაშორისო საზოგადოებას ჰქონდა მინიჭებული, მათ შორის, კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიისა და კოსოვოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიისა (EULEX), რომლებსაც სერბები და თავად სერბეთიც აწ დამოუკიდებელი «ალბანური სახელმწიფოს» სამსახურში მყოფ ერთეულებად აღიქვამდნენ.<sup>103</sup> დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოკლე ხანში, კოსოვომ საკუთარი საბაჟო სამსახური შექმნა რაც ნიშნავდა, რომ მან გადაიბარა UNMIK-ის საბაჟო სამსახურთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული უფლებამოსილება. დამატებით, რადგან კოსოვომ დაიწყო სახელმწიფო სიმბოლოების შემოღება, 2008 წლის ივნისიდან დაიწყო UNMIK-ის სიმბოლიკის ჩანაცვლება ახალი კოსოვური სიმბოლოებით, დამოუკიდებლობის გამოცხადების ოთხი თვის შემდეგ. 2008 წლის დეკემბერში კოსოვოს ხელისუფლებამ ჩანაცვლა ადრე გამოყენებული UNMIK-ის საბაჟო შტამპები ახალი კოსოვური საბაჟო შტამპებით (იხილეთ სურ. 2), დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ათი თვის და ძველი სიმბოლიკის ახლით ჩანაცვლების დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ. როგორც კი კოსოვომ შეცვალა საკუთარი საბაჟო შტამპები 2008 წლის დეკემბერში, სერბეთმა და ბოსნია და ჰერცეგოვინამ (BiH) გადაწყვიტეს, დაებლოკათ კოსოვოდან მომდინარე იმპორტი იმ საბაბით, რომ მსგავსი საბაჟო შტამპები უკანონო იყო და CEFTA-ს მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა.

<sup>100</sup> კოსოვოსა და სერბეთს შორის ექვსი ოფიციალური სასაზღვრო-გამშვები პუნქტია. პუნქტები 1 და 31 სერბული უმრავლესობით დასახლებულ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს, დანარჩენი ოთხი კი კოსოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილშია.

<sup>101</sup> ავტორების საუბარი ჩრდილოეთში მცხოვრებ ადგილობრივ სერბთან, 2013 წლის 20 დეკემბერი, ჩრდილოეთ მიტროპოლია.

<sup>102</sup> სერბეთის ეკონომიკურმა სუბიექტებმა დაიწყეს ამ შესაძლებლობის გამოყენება, აცხადებდნენ რა დოკუმენტურად საქონლის კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში გატანას, პრაქტიკულად კი საქონელი არ გადიოდა. სანაცვლოდ ეს სუბიექტები ითხოვდნენ არგატანილი საქონლის ღირებულებიდან გამომდინარე დღგ-ს დაბრუნებას.


<sup>103</sup> შ. კურსანი (2014). კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში არსებული მდგომარეობის ცვლილება ბრიუსელის პირველი შეთანხმების შემდგომ. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.iksweb.org/repository/docs/Altering\\_the\\_status\\_quo\\_in\\_the\\_northern\\_part\\_of\\_Kosovo\\_Final\\_Spend\\_Kursani\\_\(2\)\\_578268.pdf](http://www.iksweb.org/repository/docs/Altering_the_status_quo_in_the_northern_part_of_Kosovo_Final_Spend_Kursani_(2)_578268.pdf)

**სურათი 2: სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში გამოყენებული UNMIK-ისა და კოსოვოს ახალი შტამპების ნიმუშები**



მიუხედავად იმისა, რომ CEFTA-ში კოსოვოს კვლავაც UNMIK წარმოადგენდა, შტამპების გამოცვლა, სერბეთისა და ბოსნია და ჰერცეგოვინას აზრით, უნდა განხილულიყო, როგორც CEFTA-ს დარღვევა. სერბეთმა და ბოსნია და ჰერცეგოვინამ დაბლოკეს კოსოვოდან მომდინარე იმპორტი და შეწყვიტეს საკუთარ ტერიტორიაზე კოსოვური ნაწარმის ტრანზიტის გატარება. კოსოვოს ექსპორტი სერბეთში 2008 წელთან შედარებით 2009 წელს 65%-ით დაეცა (იხილეთ სურ. 3). იმ პერიოდში, როდესაც სერბეთი და ბოსნია და ჰერცეგოვინა ბლოკავდნენ კოსოვოს ექსპორტს, უკანასკნელმა საექსპორტო შემოსავლის სახით 30 მილიონი ევრო დაკარგა, რაც 2009-2011 წლების კოსოვოს ჯამური ექსპორტის, დაახლოებით, 4%-ს შეადგენდა.

**სურათი 3: კოსოვოს ექსპორტი (2005–2013)<sup>104</sup> (ათასი €)**



როგორც ზემოთ მოყვანილი მე-3 სურათიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ ბლოკადა 2011 წლამდე რჩებოდა ძალაში, კოსოვოს ექსპორტი სერბეთში სრულად არ შემწყვდარა. ამის მიზეზი იყო ჩრდილოეთ კოსოვოში მოქმედი სერბეთის საგადასახადო სამსახური, რომელიც გაცემდა საბუთებს კოსოვოში არსებულ სერბულ საწარმოებზე და ამ საშუალებით შეეძლოთ კოსოვოდან სერბეთში საქონლის ექსპორტირება, რომელიც არ რეგისტრირდებოდა, როგორც კოსოვოს ჩრდილოეთი ნაწილიდან სერბეთის მიმართულებით მიმდინარე ექსპორტი, რადგანაც ეს ტერიტორია, დე ფაქტო, სერბეთის ეკონომიკური ზონა იყო; ამ

104 Kosovo Agency of Statistics (2013). Op. cit.

საქონლის რეგისტრაცია ხდებოდა კოსოვოსა და სერბეთს შორის სხვა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, რომლებსაც კოსოვოს სერბული საწარმოების მფლობელები იყენებდნენ.<sup>105</sup> სერბეთის მიერ ასეთი საბუთების გაცემის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა კოსოვოს, როგორც ერთიანი საბაჟო რეგიონის კონცეფციას, რომლის ფარგლებშიც მხოლოდ კოსოვოს ხელისუფლებას უნდა ქონოდა მსგავსი საბუთების გაცემის უფლება.<sup>106</sup>

მეორე მხრივ, კოსოვოს არ გამოუყენებია დავების მოგვარების CEFTA-სეული მექანიზმები. შეთანხმების (CEFTA) 42-ე მუხლის თანახმად, მოდავე მხარეებმა, პირველ რიგში, უნდა სცადონ დავის ორმხრივი კონსულტაციებისა და გაერთიანებული კომიტეტის შეხვედრების გზით გადაწყვეტა. თუკი, შეთანხმებით გათვალისწინებული ზომების მიღების შემდეგაც მხარეები არ შეთანხმებულან, გაერთიანებული კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას აუცილებელი ზომების თაობაზე, თუმცაღა, მხარეებს უნარჩუნდებათ უფლება, მიიღონ ან უარყონ შემოთავაზებული ზომები. თუკი გადაწყვეტილება არ მიღწეულა, კონსულტაციებისათვის მიმართვიდან 90 დღის შემდეგ, უფლებამოსილნი არიან მიიღონ დროებითი გამაწონასწორებელი ზომები. დამატებით, მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ არბიტრაჟი. თუმცაღა, საარბიტრაჟო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაიმართოს, თუკი CEFTA-ს ერთ წევრზე მეტი შეიტანს საჩივარს ერთსა და იმავე საკითხზე და ერთსა და იმავე წევრის წინააღმდეგ. საარბიტრაჟო სასამართლოს გამართვის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილებები საყოველთაოდ სავალდებულო შესასრულებელი ხდება. კოსოვოს არ გამოუყენებია ეს პროცედურები; სანაცვლოდ, კოსოვოს ხელისუფლება საჩივრის წერილებით მიმართავდა სერბულ ხელისუფლებას, ევროკომისიას და სამდივნოს ბრიუსელში.<sup>107</sup> კოსოვოში გაეროს გენერალური მდივნის განსაკუთრებულმა წარმომადგენელმა წერილობით ოფიციალურად დაუდასტურა სერბეთსა და ბოსნია და ჰერცეგოვინას, რომ საბაჟო შტამპის შეცვლა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1244-ის შესაბამისობაში მოხდა, რადგანაც შტამპზე ნახსენები იყო მხოლოდ დასახელება “კოსოვო” და არა “კოსოვოს რესპუბლიკა”.<sup>108</sup> მიუხედავად ამისა, CEFTA-ს გაერთიანებულ კომიტეტზე საკითხი არ განხილულა. კოსოვომ გამაწონასწორებელი (საპასუხო) ზომები მხოლოდ 2011 წელს გამოიყენა, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

## მოდელის ძიება: ევროკავშირის ეგიდით შემდგარი მოლაპარაკებები კოსოვოსა და სერბეთს შორის

კოსოვოს ორნახევარ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეეძლო სერბეთში ექსპორტი, ვიდრე მიღწეული იქნებოდა შეთანხმება საბაჟო შტამპების საკითხზე, 2011 წლის 2 სექტემბერს, კოსოვოსა და სერბეთს შორის ევროკავშირის ეგიდით შემდგარი, 2011 წლის 8 მარტს დაწყებული, მოლაპარაკებების შედეგად. მოლაპარაკებების ფარგლებში, მხარეები პირველად შეიკრიბნენ ერთ მაგიდასთან კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ. მოლაპარაკებები პოლიტიკურ პროცესს წარმოადგენდა, თავდაპირველად კი «ტექნიკურ» საკითხებს ეძღვნებოდა. მას შემდეგ, რაც ბრიუსელში მოლაპარაკებების ხუთი რაუნდი შედგა, ედიტა ტაჰირი (Edita Tahiri) (კოსოვოს მომლაპარაკებელი) და ბორისლავ სტეფანოვიჩი (Borislav Stefanović) (სერბეთის მომლაპარაკებელი) სამ შეთანხმებაზე მორიგდნენ:<sup>109</sup> გადაადგილების თავისუფლება; სამოქალაქო რეესტრის ჩანაწერები; საუნევერსიტეტო დიპლომების ურთიერთაღიარება. ეს სამი საკითხი, რომელზეც მხარეებმა შეთანხმება შეძლეს, არ იყო კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილის საკითხთან დაკავშირებული და არანაირ განსაკუთრებულ კომპრომისზე წასვლა მხარეებს არ დასჭირვებიათ.<sup>110</sup> მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი, რიგით მეექვსე, 2011 წლის 20 ივლისისთვის იყო დაგეგმილი; თუმცაღა, სერბეთმა შეატყობინა რობერტ კუპერს (Robert Cooper), ევროკავშირის

<sup>105</sup> Ibid.

<sup>106</sup> ევროკომისია (2010). კოსოვო 2010. მიღწევების ანგარიში, COM(2010) 660. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key\\_documents/2010/package/ks\\_rapport\\_2010\\_en.pdf](http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key_documents/2010/package/ks_rapport_2010_en.pdf)

<sup>107</sup> GAP Institute (2011). კოსოვო CEFTA-ში: შესვლა თუ გამოსვლა, პოლიტიკის დოკუმენტი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.institutigap.org/documents/72590\\_CEFTAEng.pdf](http://www.institutigap.org/documents/72590_CEFTAEng.pdf)

<sup>108</sup> ევროკომისია (2010). Op. cit.


<sup>109</sup> 1-ი შეხვედრა შედგა 2011 წლის 8-9 მარტს; მე-2 შეხვედრა შედგა 2011 წლის 28 მარტს; მე-3 შეხვედრა შედგა 2011 წლის 15 აპრილს; მე-4 შეხვედრა შედგა 2011 წლის 17-18 მაისს; და მე-5 შეხვედრა შედგა 2011 წლის 2 ივლისს.

<sup>110</sup> შ. კურსავინი (2014). Op. cit.



წარმომადგენელს, რომ მათი მხარე არ იყო მზად მოლაპარაკებების ამ რაუნდში მონაწილეობისთვის.<sup>111</sup> როგორც კუპერი მხარეებისადმი მიექვე რაუნდის დაწყების წინა დღეს დაგზავნილ წერილში აღნიშნავდა, იგი იძულებული იყო, გაეუქმებინა შეხვედრა, რადგანაც «ნათელია, რომ შეთანხმება არ შედეგაა».<sup>112</sup> სერბეთის მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდების გაგრძელებაზე უარი განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მოლაპარაკებები უნდა შეხებოდა კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ მდგომარეობას, სერბეთს კი მისი შენარჩუნება სურდა, რადგანაც მისი გავლენა რეგიონში უზარმაზარი იყო.<sup>113</sup> განსახილველი საკითხები, სხვა საკითხთა შორის, მოიცავდა, აგრეთვე: რეგიონალურ ვაჭრობასა და საქონლის თავისუფალ გადაადგილებას; ტელეკომუნიკაციასა და ენერგეტიკის საკითხებს; ავტომობილების რეგისტრაციას, რაც მოლაპარაკებების წინა რაუნდებზეც განხილულა, მაგრამ მხარეები არ შეთანხმებულან. ამ საკითხებზე ნებისმიერი სახის შეთანხმება ჩრდილოეთ კოსოვოში წლების განმავლობაში არსებულ მდგომარეობას ამა თუ იმ მიმართულებით შეცვლიდა.

#### სურათი 4: კოსოვოს რუკა, ჩრდილოეთი ნაწილით (ნარინჯისფრად)



კოსოვო მისწრაფვოდა საქონლის თავისუფალი გადაადგილების თაობაზე შესთანხმებლად, იმისთვის, რომ კოსოვოს ნაწარმზე სერბეთის ბლოკადა მოხსნილიყო, რადგანაც სერბეთს ამგვარი შეთანხმების გაჭიანურება სურდა, შეხვედრის გაუქმებიდან მეორე დღეს, 2011 წლის 20 ივლისს, კოსოვოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სერბეთის წინააღმდეგ გამაწონასწორებელი (საპასუხო) სავაჭრო ზომები მიეღო.<sup>114</sup> ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულება არ წარმოადგენდა პრობლემას კოსოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში, მაგრამ გართულებული იყო ორ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში (კარიბჭეები 1 და 31) კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც კოსოვოს ძალაუფლება და წარმომადგენლობა ძალიან შეზღუდული იყო ან არ არსებობდა. EULEX-ი -ერთადერთი უფლებამოსილი ორგანო კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ორივე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში იყო წარმოდგენილი. კოსოვოს მთავრობამ მიმართა EULEX-ს თხოვნით, აღსრულებინა სამთავრობო გადაწყვეტილება და დაებლოკა სერბეთიდან შემოსული სასაქონლო ნაკადი;

111 B92 (2011). 'სექტემბერში შეთანხმების უკეთესი პერსპექტივები', 2011 წლის 20 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2011&mm=07&dd=20&nav\\_id=75533](http://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2011&mm=07&dd=20&nav_id=75533)

112 ევროკავშირი (2011). 'განცხადება მას-მედისთვის: ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე დიალოგი – მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი გადაიდო', ბრიუსელი, 2011 წლის 19 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/EN/foraff/123964.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/EN/foraff/123964.pdf)

113 თ. კურსანი (2014). Op. cit.

114 Tema Online (2011). 'Kosova nis reciprocitetin, bllokun mallrat e Serbisë', 2011 წლის 20 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.gazetatema.net/web/2011/07/20/kosova-nis-reciprocitetin-bllokon-mallrat-e-serbise/>

თუმცა, EULEX-ისგან უარი მიიღო, რამაც კოსოვოს სხვა გამოსავალი არ დაუტოვა, გარდა ამ გადაწყვეტილების საკუთარი ძალებით აღსრულებისა. შესაბამისად, ჩრდილოეთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე სამთავრობო კონტროლის დასამყარებლად, გაიგზავნა რეგიონალური ოპერაციების სპეციალური დანაყოფი (ROSU), რასაც მოყვა დაპირისპირება ROSU-სა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რომელსაც მხარს უჭერდა სერბეთის მიერ კოსოვოს ჩრდილოეთში გათავისუფლებული ალტერნატიული უსაფრთხოების ძალები. დაიღუპა ROSU-ს დანაყოფის ერთი წევრი.

მდგომარეობის ამგვარი განვითარების შესაჩერებლად და უთანხმოების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად, მხარეთა შორის შუამავლობა ევროკავშირმა იკისრა. 2011 წლის 26 ივლისს, „საერთო გარე და უსაფრთხოების პოლიტიკის“ (CFSP) ხელმძღვანელმა, კეტრინ ეშტონმა (Catherine Ashton), რომელსაც არ გააჩნდა კონფლიქტის შეწყვეტის პრაქტიკული საშუალებები, გამოაკვეყნა განცხადება, რომ ევროკავშირის შუამავლობით შემდგარი დიალოგის საშუალებით მომხდარიყო კონფლიქტის გამომწვევი პრობლემების მოგვარება, რადგან „დიალოგი საბაჟო შტამპების პრობლემის გადაწყვეტისა და ორივე მიმართულებით თავისუფალი ვაჭრობის აღდგენის ერთადერთი გზაა“.<sup>115</sup> მეორე დღეს, 2011 წლის 27 ივლისს, რამდენიმე სერბულმა ორგანიზებულმა დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ დააზიანა ჩრდილოეთ კოსოვოში მდებარე ერთ-ერთი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი; საქმეში რეგიონში განლაგებული «კოსოვური ძალების» (KFOR) გერმანული შენაერთები ჩაერთო და უსაფრთხოების მდგომარეობის შემდგომი გაუარესება შეაჩერა.<sup>116</sup> სერბეთის მისწრაფება, შეენარჩუნებინა ჩრდილოეთში არსებული მდგომარეობა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც სერბი მომლაპარაკებელი, ბორისლავ სტეფანოვიჩი, პირადად ჩავიდა კოსოვოს ჩრდილოეთში და მოუწოდა ადგილობრივ მოსახლეობას, წინააღმდეგობა გაეწია პრიშტინას მიერ საკუთარი უფლებამოსილების დამყარების მცდელობისთვის.<sup>117</sup> სტეფანოვიჩმა გამოიყენა ადგილზე ყოფნის საშუალება KFOR-ის გერმანულ შენაერთებთან შესახვედრად და შეუთანხმდა, რომ ეს შენაერთები დარჩებოდნენ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში 2011 წლის 15 სექტემბრამდე.<sup>118</sup>

### ორმხრივი სავაჭრო ბლოკადის მოხსნისკენ გადადგმული ნაბიჯები

გერმანია, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი წევრი ქვეყანა, რომლის პოლიტიკური გავლენა დასავლეთ ბალკანეთში იზრდება, საკვანძო როლს ასრულებდა მდგომარეობის გამოსწორებისა და შემდგომი ესკალაციის თავიდან არიდების თვალსაზრისით. 2011 წლის 23 აგვისტოს, ბელგრადში, სერბეთის მაშინდელ პრეზიდენტთან, ბორის ტადიჩთან (Boris Tadić) შეხვედრისას გერმანიის კანცლერი, ანგელა მერკელი (Angela Merkel), მოუწოდებდა ტადიჩს უარი ეთქვა კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში გავლენის შენარჩუნებაზე და განეხილებინა მოლაპარაკებები კოსოვოსთან განსახილველ საკითხებზე. იმის გამო, რომ სერბეთს სურდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის დაჩქარება, გერმანიამ შეძლო სერბეთისათვის კურსი შეეცვლევინებინა, გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებული პირობების გამოყენებით. 2011 წლის 2 სექტემბერს, კანცლერ მერკელის პრეზიდენტ ტადიჩთან შეხვედრიდან ათი დღის შემდეგ, მოლაპარაკებები კოსოვოსა და სერბეთს შორის განახლდა და შეთანხმებასაც მიაღწიეს საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და საბაჟო შტამპების საკითხზე. საბოლოოდ, სერბეთი დათანხმდა ნება დაერთო კოსოვოს საბაჟო შტამპების გამოყენებისთვის კოსოვოდან მომდინარე იმპორტზე, რის შემდეგაც, თავის მხრივ, კოსოვოს მთავრობამ შეწყვიტა 2011 წლის 20 ივლისს დაწყებული ზომების გამოყენება.<sup>119</sup> 2011 წლის 16 სექტემბერს დასრულდა კოსოვოს მიერ 58 დღის განმავლობაში მიმდინარე ორმხრივი სავაჭრო ბლოკადა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეთანხმება არც თუ ისე მოეწონათ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრებ ადგილობრივ სერბებს. მათ სავსებით

115 ევროკავშირი (2011). 'ევროკავშირის უზენაესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის, განცხადება ჩრდილოეთ კოსოვოში არსებული მდგომარეობის შესახებ', ბრიუსელი, 2011 წლის 26 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/124060.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/124060.pdf)

116 შ. კურსანი (2014). Op. cit.

117 Ibid.

118 B92 (2011). 'ბელგრადი: KFOR-ი გავიდა UNSCR 1244-ს ფარგლებს გარეთ', 2011 წლის 28 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2011&mm=07&dd=28&nav\\_id=75662](http://www.b92.net/eng/news/politics.php?yyyy=2011&mm=07&dd=28&nav_id=75662)


119 ევროკავშირი (2011). 'განცხადება მას-შედიისთვის: ევროკავშირის შუამავლობით შემდგარი დიალოგი – შეთანხმება საბაჟო შტამპებისა და კადასტრის თაობაზე', ბრიუსელი, 2011 წლის 2 სექტემბერი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/EN/foraff/124501.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/EN/foraff/124501.pdf)

გამართლებული ეჭვი ჰქონდათ, რომ მსგავსი შეთანხმება შეცვლიდა არსებულ მდგომარეობას, რაც მათთვის წამგებიანი იქნებოდა, ვინაიდან გაიზრდებოდა კოსოვოს ხელისუფლების წარმომადგენლობა რეგიონში. ადგილობრივმა სერბებმა უკმაყოფილება გამოხატეს გზების გადაკეცვით და ცდილობდნენ არ შეეშვათ კოსოვოს ხელისუფლების წარმომადგენლები (პოლიცია და საბაჟო მოსამსახურეები) ჩრდილოეთ კოსოვოში. კოსოვომ 1-ელ და 31-ე კოსოვომ ზე საკუთარი პერსონალის მიყვანა მხოლოდ საჭაერო გზით EULEX-ის შვეულმფრენების გამოყენებით შეძლო. მსგავსი მდგომარეობა დაახლოებით, ერთ წელიწადს გაგრძელდა.

**სერბეთის მიმართ გამოყენებული საპასუხო ზომების შედეგი**

იმ 58 დღის განმავლობაში, როდესაც კოსოვო სერბეთის მიმართ საპასუხო ზომებს იყენებდა, სერბული იმპორტი, ძირითადად, რეგიონის სხვა ქვეყნების იმპორტით ჩანაცვლდა. ქვემოთ მოყვანილი სურათი 5 ასახავს კოსოვოს საიმპორტო პორტფელს თითოეული წლის მესამე კვარტალში 2008 წლიდან 2012-მდე. როგორც ვხედავთ, სერბეთიდან მომდინარე იმპორტი 2011 წლის მესამე კვარტალში, რომლის დროსაც გამოიყენებოდა საპასუხო ზომები, კოსოვოს ჯამური იმპორტის მხოლოდ და მხოლოდ 5%-ეს შეადგენდა, წინა სამი წლის მესამე კვარტალების 11-12%-თან შედარებით. გარდა კოსოვოს სხვა სავაჭრო პარტნიორებისა, როგორცაა ევროკავშირი (ამ დიაგრამაზე წარმოდგენილი არაა), რომელსაც შეეძლო ჩაენაცვლებინა სერბეთიდან მომდინარე იმპორტი, მაკედონიამ შეასრულა საკვანძო როლი იმპორტის ჩანაცვლებაში. 2011 წლის მესამე კვარტალში მაკედონიიდან მომდინარე იმპორტი აღწევდა კოსოვოს ჯამური იმპორტის 18%-ს, წინა ორი წლის მესამე კვარტალების 16-17%-თან შედარებით.

**სურათი 5: სერბეთის მიმართ გამაწონასწორებელი ზომების რეჟიმის გავლენა კოსოვოს მთლიან იმპორტზე წლის მესამე კვარტალში (2008–2012)<sup>120</sup>**




მეტიც, იმპორტის მოცულობის თაობაზე, ქვემოთ მოყვანილი სურათი 6 აჩვენებს 2011 წლის მესამე კვარტალში სერბეთიდან მომდინარე იმპორტის მკვეთრ დაცემას – 2010 წლის მესამე კვარტალში, დაახლოებით, 80 მილიონი ევროდან 40 მილიონ ევროზე ნაკლებ თანხამდე – 2011 წლის მესამე კვარტალში. ნათლად ჩანს, რომ რეგიონის ორ ქვეყანასთან – მაკედონიასა და ბულგარეთთან – საქონელბრუნვა მკვეთრად გაიზარდა 2011 წელს. 2011

120 ავტორისეული გამოთვლა კოსოვოს სტატისტიკის სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით.

წლის მესამე კვარტალში მაკედონიიდან მომდინარე იმპორტის მოცულობა გაიზარდა 120 მილიონ ევრომდე. შედარებისთვის, ეს ციფრი 2010 წლის მესამე კვარტალში შეადგენდა 100 მილიონ ევროს. 2011 წლის მესამე კვარტალში ბულგარეთიდან წამოსულმა იმპორტმა შეადგინა 15 მილიონ ევროზე მეტი, მაშინ როცა 2010 წლის მესამე კვარტალში ის შეადგენდა დაახლოებით 10 მილიონ ევროს. შეიძლება ითქვას, რომ მაკედონიამ და ბულგარეთმა ჩაანაცვლეს სერბული იმპორტი საპასუხო ზომების გამოყენებისას, არა მხოლოდ მთლიან იმპორტთან შეფარდებით, არამედ აბსოლუტური მნიშვნელობითაც, რადგანაც, საპასუხო ზომების რეჟიმის გაუქმებასთან ერთად, იმპორტის მონაცემები ამ ორი ქვეყნისთვის 2012 წლის მესამე კვარტალში სერბეთიდან მომდინარე იმპორტის ზრდის ფონზე კვლავ დაბალ დონეებზე დაბრუნდა.

**სურათი 6: სერბეთის მიმართ გამაწონასწორებელი ზომების რეჟიმის გავლენა კოსოვოს მთლიანი იმპორტის მოცულობაზე წლის მესამე კვარტალში (2008–2012)<sup>121</sup> (€)**



**განხორციელებადი შეთანხმება**

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოსოვო და სერბეთი შეთანხმდნენ საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და საბაჟო შტამპების თაობაზე და ჩრდილოეთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტები კოსოვოს ხელისუფლების პერსონალით შეივსო, ადგილობრივი სერბი მოსახლეობა და მეწარმეები სერბეთიდან კოსოვოში ნაწარმის კონტრაბანდას «ალტერნატიული გზებით» შეუდგნენ.<sup>122</sup> ასე იმიტომ იქცეოდნენ, რომ დამოუკიდებელი კოსოვოს სახელისუფლებო საბაჟო პუნქტების გავლა და საბაჟო მოსაკრებლის გადახდა არ სურდათ. მეტიც, იმავე პერიოდში, კოსოვოს უფლებამოსილი ორგანოები სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში, მონიტორინგის ფუნქციას ასრულებდნენ; საბაჟო სამსახურის რეალური აღმასრულებელი უფლებამოსილება ამ ორ პუნქტში EULEX-ის წევრებს ქონდათ, რომლებიც არც თუ ისე ხშირად ასრულებდნენ პრიშტინის ბრძანებებს. შედეგად, მრავალი სახის ნაწარმი შემოდის კოსოვოში დღგ-სა და სხვა საბაჟო მოსაკრებლების დაკისრების გარეშე, იმის საწინააღმდეგოდ, რასაც CEFTA ითვალისწინებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სერბეთთან 2011 წლის 2 სექტემბერს მიღწეული შეთანხმება საქონლის თავისუფალი გადაადგილების თაობაზე, კოსოვოს ბიუჯეტისათვის მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროდ არ ქცეულა, რადგანაც ამ მოსაკრებლებს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ორ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე კოსოვოს ხელისუფლება ვერ კრებდა.

მოლაპარაკებების შემდგომი რაუნდების დროს, 2011 წლის ბოლოს, განხილულ იქნა სასაზღვროს ინტეგრირებული მართვის (IBM) კონცეფცია, როგორც «სასაზღვრო-გამშვები

121 Authors' own calculation based on Kosovo Agency of Statistics data.  
 122 კოსოვოს კვლევისა და განვითარების ინსტიტუტი (2012). კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილის ავტონომია: მიმდინარე სენარი და რეგიონალური შედეგები, პოლიტიკური ანალიზის სერია, 2012/05. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.kipred.org/advCms/documents/46046\\_Autonomy%20for%20the%20northern%20part%20of%20Kosovo%20-20Unfolding%20scenarios%20and%20regional%20consequences.pdf](http://www.kipred.org/advCms/documents/46046_Autonomy%20for%20the%20northern%20part%20of%20Kosovo%20-20Unfolding%20scenarios%20and%20regional%20consequences.pdf)

პუნქტების პრობლემის ევროპული გადაწყვეტილების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი».<sup>123</sup> IBM-ის შეთანხმება უმნიშვნელოვანესი იყო კოსოვოსათვის, რადგანაც სწორედ მას სჭირდებოდა ოფიციალური სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, რომელსაც სერბეთი სათანადო პატივისცემით მოეპყრობოდა სასაზღვრო კონტროლის განხორციელებისა და დღგ-სა და სხვა საბაჟო მოსაკრებლების აღების საშუალებას მისცემდა კოსოვოს საკუთარი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილშიც, როგორც ეს ხდებოდა სხვა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში. “ევროკავშირის მიერ შემუშავებული სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ინტეგრირებული მართვის კონცეფციის (IBM)<sup>124</sup> “თაობაზე პირველადი შეთანხმება შედგა ედიტა ტაჰირისა და ბორისლავ სტეფანოვიჩის შორის ტექნიკური დიალოგის მერვე რაუნდზე, რაც ნიშნავდა, რომ “მხარეები, ყველა მათთვის საერთო სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, ეტაპობრივად მოაწყობენ საერთო, ინტეგრირებულ, ერთიან და უსაფრთხო პოსტებს”.<sup>125</sup> შეთანხმების ძალით, აგრეთვე, განისაზღვრა, რომ EULEX «წარმოდგენილი იქნება საკუთარი მანდატის ფარგლებში”.<sup>126</sup>

IBM-ის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი იყო მხარეთა მიერ დამატებითი ტექნიკური ოქმის ხელმოწერა; სერბეთი ფეხს ითრევდა და წელიწადზე მეტი ხნით შეძლო მისი განხორციელების გაჭიანურება. კოსოვოს მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ენვერ ჰოჯამ (Enver Hoxhaj), შემფოთებაც კი გამოხატა 2012 წლის 14 მაისს შემდგარ გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე, ხელახლა გაუსვა ხაზი სერბეთის მიერ IBM-ის განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკური ოქმის ხელმოწერელობას.<sup>127</sup> ბ-ნ ჰოჯას მიაჩნდა, რომ სერბეთი ხელმოწერას იმიტომ არიდებდა თავს, რომ კვლავაც სურდა საკუთარი გავლენის შენარჩუნება კოსოვოს ჩრდილოეთში ან მეტიც, მისწრაფვოდა კოსოვოს გაყოფისკენ ჩრდილოეთ ნაწილში<sup>128</sup>. 2011 წლის 2 დეკემბრის IBM შეთანხმების შეუსრულებლობა, აგრეთვე, განხილვის საგანი გახდა მოლაპარაკებების მეოთხე რაუნდის ფარგლებში, პრემიერ მინისტრების დონეზე. 2013 წლის 17 იანვარს, კოსოვოს მაშინდელი პრემიერ მინისტრი, ჰაშიმ ტაჩი (Hashim Thaçi) და სერბეთის მაშინდელი პრემიერ მინისტრი, ივიცა დაჩიჩი (Ivica Dačić) მეოთხედ შეხვედრენ ერთმანეთს და IBM-ის აღსრულების საკითხი განიხილეს.<sup>129</sup> <sup>130</sup> სერბეთის პრემიერი დათანხმდა შეთანხმების განხორციელების გაგრძელებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც კოსოვოს პრემიერისაგან პირობა მიიღო, რომ ჩრდილოეთ კოსოვოს ორ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში (1 და 31) აღებული დღგ და საბაჟო მოსაკრებლები გადაწილდებოდა სერბი უმრავლესობის ოთხი მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში.<sup>131</sup> დაახლოებით ერთი თვის თავზე, 2013 წლის 24 თებერვალს,<sup>132</sup> მხარეებმა IBM-ის განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნიკური ოქმის თაობაზეც მიაღწიეს თანხმობას. კოსოვომ ტექნიკურ ოქმს 2013 წლის 28 თებერვალს მოაწერა ხელი, სერბეთს კი ხელმოსაწერად დამატებით ექვსი თვე დასჭირდა. საბოლოოდ, კოსოვომ დაიწყო გადასახადების აღება ორ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში 2013 წლის დეკემბრის შუა რიცხვებიდან მას მერე ყოველივე ნორმალურად მიმდინარეობს, კოსოვოსა და სერბეთს შორის 2011 წელს მიღწეული შეთანხმების შესაბამისად.

123 ევროკავშირი (2011). ‘განცხადება მასშედისთვის: ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარე დიალოგი – პოზიტიური განახლება’, ბრიუსელი, 2011 წლის 21–22 ნოემბერი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/EN/foraff/126265.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/EN/foraff/126265.pdf)

124 ევროკავშირი (2011). ‘განცხადება მასშედისთვის: ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარე დიალოგი – შეთანხმება სასაზღვრო პუნქტების ინტეგრირებული მართვის თაობაზე’, ბრიუსელი, 2011 წლის 2 დეკემბერი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_data/docs/pressdata/en/er/126544.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/126544.pdf)

125 Ibid.

126 Ibid.

127 კოსოვოს საგარეო საქმეთა მინისტრო (2012). ‘მინისტრი ჰოჯა: სერბეთის ორპირობა’, 2012 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.mfa-ks.net/?page=2,4,1238>

128 Ibid.

129 როგორც ადრე აღინიშნა, სერბეთი აჭიანურებდა IBM-ის განხორციელებას, რადგანაც, ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად შეცვლიდა ჩრდილოეთში არსებულ მდგომარეობას და შეასუსტებდა სერბეთის გავლენას მის “ღია და თავისუფალ” ეკონომიკურ ზონაში.

130 ევროკავშირი (2013). ‘ევროკავშირის უზენაესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის განცხადებები ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარე დიალოგის მეოთხე შეხვედრის შემდეგ’, ბრიუსელი, 2013 წლის 17 იანვარი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/134784.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/134784.pdf)

131 შ. კურსანი (2014). Op. cit.

132 ევროკავშირი (2012). ‘განცხადება მასშედისთვის: ევროკავშირის შუამავლობით მიმდინარე დიალოგი – შეთანხმება რეგიონალური თანამშრომლობის შესახებ და IBM ტექნიკური ოქმი’, ბრიუსელი, 2012 წლის 24 თებერვალი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms\\_Data/docs/pressdata/EN/foraff/128138.pdf](http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_Data/docs/pressdata/EN/foraff/128138.pdf)

## შეჯამება

- 1999 წლის ივნისში კოსოვოში გაეროს დროებითი ადმინისტრაციის მისიის (UNMIK) განწესებასთან ერთად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გაუქმებულიყო იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის საბაჟო რეჟიმი იმ მიზეზით, რომ ეს უკანასკნელი მოძველებული იყო და ეფექტურად ვერ მუშაობდა. თავდაპირველად, UNMIK-ი კოსოვოსა და სერბეთს შორის მიმდინარე საქონელბრუნვას საშინაო ვაჭრობად მიიჩნევდა და 2011 წლამდე, კოსოვოსა და სერბეთს შორის საზღვარზე საბაჟო მომსახურება არ ხორციელდებოდა.
- UNMIK-ის საბაჟო სამსახური სრული დატვირთვით 2001 წლის შუიდან ამუშავდა, როდესაც შემოღებულ იქნა კონსტიტუციური ჩარჩოს რეგულაცია. ამ პერიოდში, UNMIK-ისა და კოსოვოს თვითმმართველი ორგანოების მიერ მიღებულ იქნა რეგულაცია დამატებითი ღირებულებების გადასახადის დაწესების თაობაზე, რომელიც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში უნდა ყოფილიყო აღებული. ამან კოსოვო სერბეთისგან განცალკევებულ საბაჟო ზონად აქცია და ორ ერთეულს შორის ვაჭრობა საგარეო ვაჭრობად აქცია. მიუხედავად ამისა, სერბეთიდან მომდინარე იმპორტზე საბაჟო მოსაკრებლები არ აღიბოდა.
- კოსოვოს არასდროს ქონია თავისუფალი ვაჭრობის ორმხრივი შეთანხმება სერბეთთან. მიუხედავად ამისა, 2007 წლის 27 ივლისს, კოსოვო, დასავლეთ ბალკანეთის სხვა ხუთ ქვეყანასთან, მათ შორის სერბეთთან ერთად, გახდა ცენტრალური ევროპის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (CEFTA) სრულყოფილებიანი წევრი. კოსოვოს UNMIK წარმოადგენდა.
- 2008 წლის თებერვალში, კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში სერბეთთან საზღვარზე მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს (1 და 31) ბელგრადის მიერ მხარდაჭერილმა სერბმა ექსტრემისტებმა ცეცხლი წაუკიდეს. კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილში მცხოვრები სერბები უარს აცხადებდნენ დამოუკიდებელ კოსოვოში ცხოვრებაზე და არ სურდათ დამოუკიდებელი კოსოვოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დღგ-ს გაღება.
- დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, კოსოვომ დაიწყო საკუთარი სახელმწიფო სიმბოლიკის გამოყენება, რომლითაც ანაცვლებდა UNMIK-ის პერიოდში გამოყენებულ სიმბოლიკას. 2008 წლის დეკემბერში, UNMIK-ის საბაჟო სამსახურის შტამში ჩანაცვლდა კოსოვოს საბაჟო სამსახურის შტამით. შედეგად, სერბეთმა და ბოსნია და ჰერცეგოვინამ დაბლოკეს კოსოვოდან მომდინარე იმპორტი და აუკრძალეს კოსოვოს მეწარმებს საკუთარი ტერიტორიის სატრანზიტო მარშრუტად გამოყენება, მესამე მხარეებისათვის განკუთვნილი ექსპორტისათვის.
- საპასუხოდ, კოსოვო 58 დღის განმავლობაში იყენებდა საპასუხო ზომებს სერბეთისა და ბოსნია და ჰერცეგოვინას წინააღმდეგ, 2011 წლის 20 ივლისიდან 2011 წლის 16 სექტემბრამდე. მდგომარეობა შეიცვალა მას შემდეგ, რაც მხარეებმა მიაღწიეს დროებით შეთანხმებას საქონლის თავისუფალი გადაადგილებისა და საბაჟო შტამების თაობაზე. გერმანიის, ევროკავშირის წამყვანი წევრი სახელმწიფოს ზეწოლით, სერბეთმა აღიარა კოსოვოს საბაჟო სამსახური.
- ორივე მხარის მიერ სავაჭრო ბლოკადის მოხსნის მიუხედავად, კოსოვო მაინც ვერ ახერხებდა ჩრდილოეთში მდებარე სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში დღგ-ს აღებას. მდგომარეობა საბოლოოდ შეიცვალა 2013 წელს, საზღვრის ინტეგრირებული მართვის (IBM) და მისი აღსრულებისათვის აუცილებელი დამატებითი ტექნიკური ოქმის თაობაზე შეთანხმებაზე ხელმოწერის მიღწევით.
- საბოლოოდ, დაიწყო კოსოვოსა და სერბეთს შორის საქონელბრუნვის რეგულირება, შეთანხმებისამებრ, სავაჭრო პრინციპების გამოყენება დაიწყო 2013 წლის დეკემბრიდან.

## კვიპროსი: რეგულაცია «მწვანე ხაზის» შესახებ

ნატალია მირიმანოვა

### კვიპროსის სავაჭრო პალატა

#### გასაუბრება ლეონიდას პასქალიდესთან

**ნმ:** რა მნიშვნელობა აქვს «მწვანე ხაზის რეგულაციას» კვიპროსის კუნძულის ორი თემის ხელახალი ურთიერთდაახლოებისათვის?

**ლპ:** «მწვანე ხაზის რეგულაცია» (GLR) ევროკავშირის რეგულაციაა, რომელიც კვიპროსის ევროკავშირის შესვლასთან ერთად ამოქმედდა, 2004 წელს. იგი განსაზღვრავს, რომ კვიპროსის თურქულ თემში (TC) დამზადებულ ნაწარმს შეუძლია გადმოკვეთოს გამყოფი ხაზი და გაიყიდოს კვიპროსის რესპუბლიკაში (ROC) იმ შემთხვევაში, თუ მისი დამატებითი ღირებულების წილი შესაფერის დონეზეა, რათა ის ჩაითვალოს კვიპროსულად.

თუმცადა, ასეთ ნაწარმს თან უნდა ახლდეს თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატის მიერ გაცემული საბუთი, რომელიც დაადასტურებს საქონლის კვიპროსულ წარმოშობას.

2005 წლიდან, ჩვენსა და თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატას შორის ერთწლიანი განხილვის შემდეგ, ვაჭრობა უკუმიმართულებითაც გახდა შესაძლებელი. აუცილებელი იყო განსაკუთრებული პროცედურის შემუშავება კვიპროსის ბერძნული თემის (GC) ნაწარმისთვის «მწვანე ხაზის» გადასაკვეთად კვიპროსის თურქული ტერიტორიის მიმართულებით, რადგანაც GLR მხოლოდ კვიპროსის რესპუბლიკაში, კვიპროსის თურქული თემიდან მომდინარე ნაწარმის გადინებას ეხებოდა და არა უკუმიმართულებით.<sup>133</sup> GLR არ მოიცავს ვაჭრობის ამ მიმართულებას იმ მიზეზის გამო, რომ ევროკავშირს არ შეუძლია რეგულაციების დაწესება ტერიტორიაზე, სადაც *acquis communautaire* შეჩერებულია, ამ შემთხვევაში, ჩრდილოეთ კვიპროსზე. შესაბამისად, თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატასთან განხილვის შედეგად, წამოვყენეთ არგუმენტი ცალმხრივი ვაჭრობის არაეფექტიანობისა და ორმხრივი ვაჭრობის საჭიროების შესახებ. თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატის ჩარევამ დაარწმუნა იქაური ხელისუფლება ბერძნულ-კვიპროსული წარმოშობის საქონლით თურქულ-კვიპროსულ თემში ვაჭრობის აუცილებლობაში, გამოიცა შესაბამისი ნებართვა. ფაქტობრივად, ჩრდილოეთ კვიპროსზე გამოყენებული სამართლებრივი აქტები ევროკავშირის «მწვანე ხაზის რეგულაციის» ანარეკლია.

**ნმ:** როგორ შეხვდა ევროკავშირი კვიპროსის თურქული თემის გადაწყვეტილებას? თქვენ ბრძანეთ, რომ სამართლებრივი მიზეზების გამო, ეს ვაჭრობა «მწვანე ხაზის რეგულაციით» გათვალისწინებული არ არის.

**ლპ:** ევროკავშირს არ ძალუძს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მყოფი ტერიტორიისთვის რეგულაციის დაწესება. რამდენადაც ჩრდილოეთის ხელისუფლება ნებას რთავს უკუმიმართულებით ვაჭრობას, ყველაფერი კარგადაა. რადგანაც იქაური წესი «მწვანე ხაზის რეგულაციის» ანარეკლია, ნაწარმის ბერძნულ-კვიპროსული წარმოშობის დასადასტურებლად ისინიც შესაბამის საბუთს ითხოვენ; დამადასტურებელ საბუთს

<sup>133</sup> GLR მეხუთე მუხლი განსაზღვრავს, რომ კვიპროსის რესპუბლიკის მოქმედ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადაგზავნილი საქონელი თავისუფლად უნდა კვეთდეს ხაზს და არ ექვემდებარება ექსპორტთან დაკავშირებულ ფორმალურებს – ამიტომაც, სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და დამუშავებულ სასოფლო-სამეურნეო ნაწარმზე საქსპორტო ანაზღაურება არ ვრცელდება.

კი კვიპროსის სავაჭრო და სამრეწველო პალატა გასცემს. იმის გამო, რომ თანმხლებ დოკუმენტაციას ჩვენ გავცემთ, ორივე პალატა «მწავენ ხაზის რეგულაციის» ჩართული გამოდის. მსგავსი სერტიფიკატების გასაცემად, მხარეთა შორის საქონლის სახეობასა და მოცულობას ვარეგისტრირებთ.

რაც შეეხება კვიპროსის რესპუბლიკასა და თურქულ კვიპროსს შორის დაბრკოლებებს, ძირითადი შემაფერხებელი ორია – პირველი ესაა, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) დაკისრება გვიწევს, რაც კვიპროსის თურქული თემის მყიდველისთვის ხარჯია, რა ხან დღგ-ს დაბრუნებას ვერ მოითხოვენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ეს ვაჭრობა უცხო ქვეყანასთან ვაჭრობად არაა მიჩნეული, ანუ ექსპორტზე არაფერი გააქვთ, რა შემთხვევაშიც დღგ-ს დაკისრება არ მოხდებოდა. პალატამ და მთავრობამ მივმართეთ ევროპულ კომისიას (EC) შეკითხვით, როგორ შეგვეძლო ამ საკითხის მოგვარება, რადგანაც დღგ ზრდის საქონლის ღირებულებას. ევროკომისიიდან შემდეგი განმარტება მივიღეთ: დღგ-ს გაუქმება შეუძლებელია, ვიდრე ამ ვაჭრობას ექსპორტად არ მივიჩნევთ. ამიტომაც კვიპროსის რესპუბლიკაში ნაწარმოები საქონლის ფასში, ჩრდილოეთში გატანის შემთხვევაში, გვიწევს დღგ-ს გათვალისწინება.

მეორეს მხრივ, თურქული კვიპროსის ხელისუფლება ამ საქონელბრუნვას იმპორტ-ექსპორტის ოპერაციებად აფასებს, რაც კიდევ ერთ პრობლემას ქმნის. როდესაც კვიპროსის ბერძნული თემიდან მომდინარე საქონელი გადადის ჩრდილოეთში, შესაბამისი მოსაკრებელი ეკისრება თურქული კვიპროსის სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რადგანაც, მათი აზრით, ეს ნაწარმი იმპორტია. ესეც ბერძნულ-კვიპროსულ ნაწარმზე დამატებითი ღირებულებაა, თუ გავითვალისწინებთ 19%-იან დღგ-ს და დამატებით 25-30%-იან მოსაკრებლებს, რაც საბოლოო ფასს არაკონკურენტუნარიანს ხდის.

**ნმ:** უწოდებენ თუ არა თურქულ კვიპროსზე ამას საბაჟო მოსაკრებელს?

**ლპ:** კი, ბატონო, საბაჟო მოსაკრებლად განიხილავენ ასეთ მოსაკრებლებს.

კიდევ ერთი დაბრკოლება ისაა, რომ ნებისმიერ თურქ კვიპროსელს, ბერძენ კვიპროსელთან სავაჭროდ, სახელისუფლებო ნებართვა სჭირდება, რაც «მწავან ხაზის რეგულაციით» გათვალისწინებული არაა, თურქული კვიპროსის ხელისუფლების პირობაა. ასეთ ნებართვას ყოველთვის არ გასცემენ, რადგანაც კვიპროსის თურქული თემი საკუთარი წარმოების დაცვას ცდილობს. ასე რომ, ზოგჯერ, ასეთი ნებართვის გაუცემლობის გამო, რომელიმე ნაწარმის ამ კონკრეტული პარტიით ვაჭრობა შეუძლებელი ხდება. მსგავსი ნებართვის მიღება კვიპროსის ბერძნულ კომპანიას არა, მაგრამ კვიპროსის თურქულ კომპანიას უწევს.

**ნმ:** ანუ, როგორ შეაფასებდით ამ ვაჭრობის ეკონომიკურ საფუძვლებს? იმდენად ეკონომიკური კი არა, მეტად სიმბოლური მნიშვნელობა ხომ არ აქვს მას ორივე მხარისათვის?

**ლპ:** თქვენი დაკვირვება, ნაწილობრივ სწორია. თუმცა, ვაჭრობა კვიპროსის თურქული თემისთვის ბერძნულზე უფრო მნიშვნელოვანია. ამას სავაჭრო ბალანსიც ადასტურებს, შეფარდება ხუთი-ერთთანაა კვიპროსის თურქული თემის სასარგებლოდ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხუთჯერ მეტი შემოაქვთ, ვიდრე ჩვენგან ყიდულობენ.

**ნმ:** ასეთი მდგომარეობა კვიპროსის რესპუბლიკის მომხმარებლებისთვის თუ არის მომგებიანი? კვიპროსის თურქული თემის რა ნაწარმზეა აქ მოთხოვნა?

**ლპ:** ერთმანეთში მეწარმეები ვაჭრობენ. ბიზნესი სხვა ბიზნესთან მხოლოდ მაშინ იჭერს საქმეს, როცა მოგებას ნახულობს. ფასი თუ კონკურენტულია, ხარისხი კი კარგი –



ივაჭრებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში – არა. საყოველთაო წესია. უკრაინელი ავსტრიაში იყიდის საქონელს, ფასი, ხარისხი და ა.შ. მისაღები თუ გამოდგა. ბიზნესი ასე აზროვნებს. აი, მაგალითად, ბერძენ კვიპროსელს იტალიიდან რომ შემოჰქონდეს უკეთესი ხარისხის პოლიეთილენის პარკები უფრო იაფად, ვიდრე თურქი კვიპროსელისგან – ამ უკანასკნელისგან აღარ იყიდის, იტალიიდან წამოიღებენ.

კიდევ ერთი საკითხი, თურქულ-კვიპროსულ ნაწარმთან დაკავშირებით, ისაა, რომ კვიპროსის რესპუბლიკაში შემოტანილი საქონელი ევროკავშირის სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, რადგან კვიპროსის რესპუბლიკა ევროკავშირის წევრია. არსებობს ევროკავშირის მიერ პროდუქციაზე დაწესებული სტანდარტები, მაგალითად, ელექტრონულ საქონელს თუ შემოიტანენ, თურქი კვიპროსელი მწარმოებელი უნდა უზრუნველყოფდეს საკუთარი ნაწარმის სტანდარტთან შესაბამისობას.

**ნმ: ამოწმებს თუ არა თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატა თურქული კვიპროსის ნაწარმის შესაბამისობას ევროკავშირის სტანდარტებთან?**

ლპ: არა. პალატებს არ უკავიათ ისეთი მდგომარეობა, რომ ნაწარმის შესაბამისობის გადამოწმება შეეძლოთ. ერთადერთი, იმას ადასტურებენ, რომ კვიპროსული ნაწარმია. ელექტრონულ და სხვა მსგავსი პროდუქციის შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაა საჭირო, თურქ-კვიპროსელ მწარმოებელს უწევს საკუთარი ნაწარმის ისეთ კომპანიების მეშვეობით სერტიფიცირება, ვინც სტანდარტებთან შესაბამისობას ადასტურებს. «მწვანე ხაზის რეგულაციაში» მსგავსი მოთხოვნა გათვალისწინებულია. კვიპროსის რესპუბლიკის ხელისუფლებას უფლება აქვს გადამოწმოს შემოტანილი ნაწარმი, თუკი უჩნდება ეჭვი, რომ თურქული კვიპროსის კომპანიები ამ სტანდარტებს სცილდებიან.

**ნმ: დარღვევები თუ ყოფილა?**

ლპ: იყო რადმენიმე შემთხვევა, როცა დადგინდა, რომ კვიპროსის თურქული თემიდან მიმდინარე ნაწარმი არ შეესაბამებოდა ევროკავშირის სტანდარტებს. ასეთი ნაწარმი კვიპროსის რესპუბლიკის ბაზარზე არ დაიშვა.

**ნმ: კვიპროსის ბერძნული და თურქული კომპანიები ერთმანეთის კონკურენტები რომ ყოფილიყვნენ და ბერძნულ კომპანიას თურქულისათვის კვიპროსის ბერძნულ ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის გზის გადაკეტვა რომ ნდომებოდა, შეძლებდა?**

ლპ: არა, ასეთი რამის გაკეთების საშუალება არ აქვთ. რამე საქონლის ბაზარზე არდასაშვებად, ამ ნაწარმის ნაკლოვანება უნდა დაამტკიცონ. თუკი საქონლის უვარგისობის მტკიცებულებას ვერ წარმოადგენენ, ვაჭრობისათვის ხელის შეშლის არანაირი არანაირი საშუალება არ აქვთ.

**ნმ: ამას რომელი ორგანო ამოწმებს?**

ლპ: ნაწარმს გააჩნია. სამშენებლო მასალების შემთხვევაში, მაგალითად, პასუხისმგებელი ორგანო შინაგან საქმეთა სამინისტროა. სურსათისთვის – ჯანდაცვის სისტემა, და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო საქონლის შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

**ნმ: როგორ ფიქრობთ, ენდობიან თუ არა თურქი კვიპროსელები ასეთ ექსპერტიზას? ენდობიან თუ არა კვიპროსის რესპუბლიკის სამინისტროს მიერ მომზადებულ ექსპერტიზას? ასრულებენ? მათთვის ავტორიტეტული ორგანოა? ყოფილა საჩივრები ან თურქული კვიპროსის მხრიდან ბერძნული კვიპროსისათვის არასამართლიანი მოპყრობის დაბრალვების შემთხვევა? ამოწმებენ თუ არა თურქული კვიპროსის ორგანოები ბერძნულ კვიპროსზე წარმოებულ საქონლის ხარისხს – საპასუხო პროცედურა თუ აქვთ?**

**ლპ:** იმის გამო, რომ კვიპროსის რესპუბლიკა სერტიფიკატს არ გასცემს, საერთაშორისო ორგანიზაციებს პო-ულობენ თავიანთი ნაწარმის სერტიფიცირებისთვის. კვიპროსის რესპუბლიკას მათ საწარმოებზე ხელი არ მიუწვდება და ა.შ.

**ნმ:** **თქვენ ბრძანეთ, რომ საჩივრებს შესაბამისი სამინისტროები განიხილავენ?**

**ლპ:** წარმოიდგინეთ, რომ თურქული კვიპროსიდან კვიპროსის რესპუბლიკაში სამშენებლო მასალაა შემოტანილი. თუკი კვიპროსის რესპუბლიკის უფლებამოსილი ორგანოებს უჩნდება ეჭვი, რომ ეს მასალა შეუსაბამოა, აიღებენ სინჯს და შეამოწმებენ.

**ნმ:** **და თუკი იტყვიან, არ შეესაბამება?**

**ლპ:** თუ ასე დაასკვნიან, ნაწარმი საზღვარს ვერ გადმოკვეთს.

**ნმ:** **თურქული კვიპროსის კომპანიებისათვის თუ იქნება ეს მისაღები?**

**ლპ:** მისაღები იქნება, რადგანაც ეს ნიშნავს, რომ გამოყენებულ იქნა ევროკავშირის რეგულაცია. რადგან ეს არ არის კვიპროსის სამართლებრივი ნორმა, ევროკავშირის სამართლებრივი ნორმაა.

**ნმ:** **თქვენის აზრით, რა გავლენა აქვს ყოველივე ამას ვაჭრობის და საქონლის ხარისხზე? ხდება თუ არა ნაწარმის სპექტრი უფრო მრავალფეროვანი? იზრდება თუ არა საქონლის ხარისხი?**

**ლპ:** ხარისხი თუ გაუმჯობესდა, ვერ გეტყვით. ამის თაობაზე არაფერი ვიცი, პალატებიც არ ახორციელებენ ხარისხის მონიტორინგს. თუმცა, ბოლო დროს გაცილებით ნაკლები პრობლემა გვაქვს, ვიდრე თავიდან, რადგანაც თურქული კვიპროსის კომპანიებმა ისწავლეს ნაწარმის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. თავიდან, ამას დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და იყო შემთხვევები, როდესაც საქონლის დაბრუნება გვიწევდა. ახლა გაცილებით მეტი სიფრთხილით უდგებიან ამ საქმეს, ევროკავშირის წესებით თამაშობენ, ასე რომ, პრობლემებიც ნაკლებია. თურქული კვიპროსის ნაწარმის უდიდესი ნაწილი შეესაბამება მოთხოვნებს. ერთი-ორი შემთხვევა თუ ხდება წელიწადში, მეტი არა.

**ნმ:** **არის თუ არა კვიპროსის რესპუბლიკის ბიზნეს თანასაზოგადოებაში ვინმე «მწვანე ხაზის რეგულაციის» მოწინააღმდეგე?**

**ლპ:** “მწვანე ხაზს” ორივე თემში – ბერძნულ და თურქულ მხარესაც ჰყავს მოწინააღმდეგე. როცა ვამბობთ, მოწინააღმდეგეები არიან-თქო, ისიც უნდა გვანხივდეს, რომ ამ ვაჭრობას ვერაფრით შეუშლიან ხელს. კომპანია, რომელიც მეორე მხარესთან ვაჭრობას ეწინააღმდეგება, უბრალოდ არ ვაჭრობს მეორე მხარესთან. თავისუფალი ბაზარია – ვერავინ დააძალებს კერძო კომპანიას, ვინმეს ევაჭროს ან არ ევაჭროს.

**ნმ:** **იზრდება თუ არა ორივე მხარეს «მწვანე ხაზის» გავლით მოვაჭრე კომპანიების რიცხვი?**

**ლპ:** არა, არ იზრდება, და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი მიზეზი ყველა ის პროცედურაა, რაც უნდა გაიარო, სანამ ვაჭრობას შეძლებ – ბიზნესს არ უყვარს სავაჭროდ ბიუროკრატიულ პროცედურებში გახლართვა. მეორე მიზეზი, ბერძნულ-კვიპროსული ნაწარმის შემთხვევაში, დღგ-ს, მოსაკრებლების და ნებართვების ტვირთია – ყველა ის პრობლემა, რაც ვაჭრობას ანელებს. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკანასკნელ წლებში ეკონომიკურ კრიზისთან გვიწევს გამკლავება, არა მარტო კვიპროსზე, მთელს მსოფლიოში. ვაჭრობა მრავალ ქვეყანაში შენედა, ეს «მწვანე ხაზის» გავლით მიმდინარე ვაჭრობასაც შეეხო. კვიპროსი, კვიპროსის

რესპუბლიკა, ნაკლებს ყიდულობს საზღვარგარეთ, არა მარტო თურქული თემისგან, არამედ ზოგადად, საერთაშორისო თანასაზოგადოებისგან, ეკონომიკურად უკეთეს ხანაში რაც იყო, იმასთან შედარებით. კვიპროსის თურქული თემიც ეკონომიკურ პრობლემებს აწყდება, ასე რომ, ისიც ნაკლებს ყიდულობს.

**ნმ:** სამომავლოდ, თუკი გაერთიანებას განვიხილავთ, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის ერთ-ერთ სავარაუდო გზას, თქვენი პროგნოზი, დღევანდელი ვაჭრობის დონის გათვალისწინებით? გაზრდიდა გაერთიანება მხარეთა შორის მიმდინარე ვაჭრობას?

**ლპ:** კი, დანამდვილებით. კვიპროსი თუ გაერთიანდა, ერთიანი ბაზარი გვქენება და საქმე ყველასთვის გაადვილდება. გამოსავალი თუ მოიძებნა, თურქულ-კვიპროსულ პლასტმასის მწარმოებელს აღარ დაჭირდება ნაწარმის კვიპროსის ბერძნული თემისთვის მიყიდვა, პირდაპირ ბაზარზე გაყიდის.

**ნმ:** ამგვარად, კვიპროსის თურქული თემი მსოფლიო ბაზარზე კანონიერ წვდომას მიიღებს. ორ თემს შორის ურთიერთობის, მათ შორის, ბიზნეს თანასაზოგადოების ურთიერთობის, თვალსაწიერიდან შემცირდება თუ არა კუნძულის ფარგლებში მიმდინარე ვაჭრობის მოცულობა იმ მიზეზით, რომ თურქულ თემს დანარჩენ მსოფლიოსთან შეეძლება ვაჭრობა?

**ლპ:** გამოსავალი თუ მოიძებნა, თავისუფლად შეძლებენ ვისთანაც მოესურვებათ, იმასთან ვაჭრობას.

**ნმ:** უკან რომ მივიხედოთ და პოლიტიკური თვალსაწიერიდან და მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით შევხედოთ საკითხს, სწორი იყო მხარეთა შორის ვაჭრობის გაადვილების გადაწყვეტილება? ამ საკითხზე ორი ძირითადი მოსაზრებაა. ერთის თანახმად, დაკანონებული ვაჭრობა აძლიერებს არსებულ მდგომარეობას და კვიპროსის თურქული თემის განცალკევებას აკანონებს, თითქმის სახელმწიფოდ აქცევს მას. მეორე, საპირისპირო მოსაზრებით, ბიზნეს ურთიერთობის გამარტივება მხარეებს აახლოვებს.

**ლპ:** ჩემი აზრით, ნებისმიერი საქმიანობა, რაც ორ თემს დაახლოვებს, სასარგებლოა. ასე რომ, მჯერა ბიზნეს ურთიერთობას თავისი წვლილი შეაქვს ურთიერთობების გაუმჯობესებაში ჩვეულებრივ ადამიანებს შორის. მეწარმეები სამოქალაქო საზოგადოების ჩვეულებრივი ნაწილი არიან, ასე რომ, ნებისმიერი საქმიანობა, რაც მათ დაახლოვებს, სასარგებლოა.

სავაჭრო პალატები, ჩემი პალატა და თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატა, ყველაფერს აკეთებენ, რაც ძალუძთ, ბიზნეს თანასაზოგადოებათა შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. თუმცა, ჩვენ რეალისტები ვართ. ჩვენი ძალისხმევა მაშინაა ნაყოფიერი, როცა პოლიტიკური გარემო გვიწყობს ხელს. პოლიტიკური კლიმატის გაუარესება ჩვენზეც უარყოფითად მოქმედებს. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ მცელობა და სწორედ ამას ვაკეთებთ, ორივე პალატა.

## თურქული კვიპროსის სავაჭრო პალატა

### გასაუბრება ქემალ ბაიკალისთან

**ნმ:** რა მნიშვნელობა აქვს «მწვანე ხაზის რეგულაციას» კვიპროსის კუნძულის ორი თემის ხელახალი ურთიერთდაახლოებისათვის?

**კბ:** სამწუხაროდ, «მწვანე ხაზის რეგულაციის» (GLR) მიერ ურთიერთდაახლოებაში შეტანილი წვლილი საკმაოდ მწირია. ამის მიზეზების გასაგებად, პოლიტიკური და ეკონომიკური ფონი არ უნდა დავივიწყოთ. «მწვანე ხაზი» 2004-ში ამუშავდა, როდესაც ბერძენი კვიპროსელები (GC) ევროკავშირის (EU) წევრები გახდნენ, კვიპროსის რესპუბლიკის სახელით, რომლის იურისდიქცია კუნძულის მხოლოდ სამხრეთ ნაწილზე ვრცელდება. «მწვანე ხაზის რეგულაცია» მიზნად «კვიპროსის რესპუბლიკის ქმედითი კონტროლის ფარგლებს გარეთ მყოფი ტერიტორიებიდან» (ევროკავშირის მიერ ჩრდილოეთ კვიპროსის განსასაზღვრად გამოყენებული განმარტება) ადამიანებისა და საქონლის მიმოქცევის რეგულირებას ისახავდა. ამ რეგულაციის შემოღებამ საშუალება მისცა ჩრდილოეთში მცხოვრებ თურქ კვიპროსელებს (TC) გარკვეული საქონელი გაეყიდათ კუნძულის სამხრეთ ნაწილში. არსებობდა იმედი, რომ თემთა შორის ვაჭრობა კუნძულის ნაწილების ურთიერთდაახლოებას შეუწყობდა ხელს. მართლაც, 2004 წელი მნიშვნელოვანი ნიშნული გახდა სამშვიდობო პროცესში, რადგანაც სწორად ამ წელს შემუშავდა გაეროს გეგმა, რომლის ფარგლებშიც ორივე მხარისათვის სხვადასხვა რეფერენდუმში ჩატარდა და რომელიც თურქმა-კვიპროსელებმა (TC) მიიღეს, მაგრამ ბერძენმა-კვიპროსელებმა (GC) უარყვეს. ასე რომ, საერთაშორისო თანასაზოგადოება აღმოჩნდა მდგომარეობაში, როდესაც სამშვიდობო გეგმის უარყოფილი მხარე მიიღეს ევროკავშირში, გადაწყვეტილების მოძიებისა და ევროკავშირის წევრობის მოსურნე მხარე კი მის ფარგლებს გარეთ დარჩა. შესაბამისად, «მწვანე ხაზი», ავტომატურად, ევროკავშირის საზღვრად გადაიქცა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არც კვიპროსელი ბერძენები, არც საერთაშორისო თანასაზოგადოება ამ ხაზს «საზღვარს» არ უწოდებს, რადგანაც ამგვარი ტერმინის გამოყენება ჩრდილოეთ კვიპროსის არაღიარების ოფიციალურ პოზიციასთან მოვიდოდა წინამდებარეობაში. ამიტომაც მოუწიათ ისეთი სისტემის დაწესება, რომლის ფარგლებშიც, ხალხისა და საქონლის გადაადგილების რეგულირება იქნებოდა შესაძლებელი. ვიცით, რომ, თეორიულად, მთლიანი კუნძული ევროკავშირშია, მაგრამ *acquis communautaire* პრინციპების მოქმედება კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში შეჩერებულია. შედეგად, ჩახლართული სამართლებრივი მდგომარეობა გვაქვს.

რა თქმა უნდა, თავის დროზე გვეგონა, რომ «მწვანე ხაზის რეგულაცია» საწყისი საფეხური გახდებოდა კვიპროსელი თურქებისათვის ევროკავშირთან კომერციული და ეკონომიკური კონტაქტების გასაზრდელად და იზოლაციის დასასრულებლად, როგორც 2004 წელს რეფერენდუმის შედეგების შემდეგ ევროკავშირის საბჭოს გამოსვლაში იყო ნაგარაუდები. ასე რომ, კვიპროსის თურქული საზოგადოება მას საკმაოდ დადებითად აფასებდა. თუმცა, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არ იყო ერთადერთი შემოთავაზებული რეგულაცია – დანარჩენი ორი, ფინანსურ დანხარებასა და პირდაპირ ვაჭრობას ეხებოდა. ფინანსური დანხარება თავისთავად გასაგებია – მისი მიზანი იყო, კვიპროსის თურქული თემის ეკონომიკის გაძლიერებასა და სამომავლო მოწყობისათვის დანხარების გაწევა.<sup>134</sup> მაგრამ პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია<sup>135</sup> ურთიერთწინამდებარეობრივი იყო, რადგანაც, კომისიის წინადადებით,

134 259 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დანხარება დაუმტკიცდა თურქულ-კვიპროსულ თემს ევროსაბჭოს მიერ 2006 წლის 27 თებერვალს, მათი ეკონომიკის გასაჯობებლად. იხილეთ კვიპროსის თურქული თემის მიმოხილვა. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://ec.europa.eu/cyprus/turkish\\_cypriots/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/cyprus/turkish_cypriots/index_en.htm)

135 ევროკომისია (2004). 'შემოთავაზება საბჭოს რეგულაციის მიღების თაობაზე ვაჭრობის განსაკუთრებული პირობების შესახებ კვიპროსის რესპუბლიკის იმ ტერიტორიებთან, რომლებიც კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობის ქმედითი კონტროლის ფარგლებს გარეთ იმყოფება', COM(2004) 466 საბოლოო, ბრიუსელი, 2004 წლის 7 ივლისი. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2004:0466:FIN:EN:PDF>

პირდაპირი ვაჭრობის რეგულაციის მიღების შემდეგ, კვიპროსის თურქული თემი შეძლებდა ევროკავშირის დანარჩენ ნაწილთან ვაჭრობას ანუ საქონელი პირდაპირ წავიდოდა თურქული თემიდან ევროკავშირში და არა ბერძნული თემის ტერიტორიის გავლით, მაგალითად ჩრდილოეთ კვიპროსის პორტებიდან ჰამბურგში, ან ევროკავშირის სხვა რომელიმე ნაწილში. საქონლის შეტანა ევროკავშირში შესაძლებელი იქნებოდა ევროპული დანიშნულების პორტებში განსაკუთრებული რეჟიმის გამოყენებით, მრავალი მოსაკრებლისა და ბაჟის გაუქმებით, თითქოსდა ეს ნაწარმი საბაჟო კავშირში ყოფილიყო წარმოებული. ეს ინიციატივა დაბლოკა ბერძნულმა თემმა იმის გამო, რომ ასეთი რეგულაცია თურქული თემის პოლიტიკურ სტატუსს გაზრდიდა. ამ ფონზე, «მწვანე ხაზი» ერთადერთი საშუალება გამოდგა თურქულ და ბერძნულ თემებს შორის სავაჭროდ. როდესაც პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია დაიბლოკა, ზოგიერთს მიაჩნდა, რომ «მწვანე ხაზიც» შეიძლება იქნას გამოყენებული საქონლის ევროპაში გადასაზიდვად, სამხრეთ კვიპროსის პორტების გამოყენებით. თეორიულად, როგორც კი რაიმე საქონელი გადაკვეთს «მწვანე ხაზს», უკვე ევროკავშირის შიგნითაა და ნებისმიერი მიმართულებით შეიძლება გააგრძელოს გზა. მაგრამ პრაქტიკა ასეთი მარტივი არაა, რადგანაც იმისთვის, რომ კვიპროსის თურქული თემის ნაწარმი გაყიდო «მწვანე ხაზის» გავლით და ევროკავშირის კონტინენტურ ნაწილში მიიტანო, სამხრეთში უნდა დაარსო კომპანია, დამატებითი ღირებულების გადასახადისა (დღგ-ს) და სხვა საკითხები მოაგვარო. არც პრაქტიკულია, არც ადვილი კვიპროსელი თურქი მეწარმისათვის, კომპანია დაარსოს, ქალაქები მოკრიბოს, მერე ნაწარმი სამხრეთში გაუშვას და იქიდან კიდევ სადმე ევროკავშირში. დანამდვილებით არ ვიცით, განხორციელებულა თუ არა მსგავსი რამ პრაქტიკულად, თუმცადა გვსმენია, რომ იყო რამდენიმე შემთხვევა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ «მწვანე ხაზის რეგულაციის» ფარგლებში, მხოლოდ გარკვეული, ორიგინალური ნაწარმი ექვემდებარება ვაჭრობას, რაც ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კვიპროსზე შემოტანილი საქონელი ვერ გადავა «მწვანე ხაზს» და ბერძნულ თემში ვერ აღმოჩნდება. საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე წარმოებული საქონელიც კი ვერ გადაკვეთს «მწვანე ხაზს». გერმანული ნაწარმი რომ ვიყიდო და მერე სამხრეთში რომ მოვიტანო გადავიტან, ვერ გადავიტან. სხვა შეზღუდვებიც არის. მაგალითად, სურსათი ვერ გადადის სამხრეთში, რადგანაც ჯანდაცვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ უნდა შემოწმდეს. კუნძულზე არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, მათი ჯანდაცვის ორგანოები ვერ გადმოვლენ ჩვენი ნაწარმის შესამოწმებლად, ჩვენს ჯანდაცვის ორგანოებს კი, რაღა თქმა უნდა, არ აღიარებენ. ასე რომ, კვლავაც გვიწევს ამ პრობლემის მოგვარების გზის ძიება. თურქულ კვიპროსზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები ვერ გადადის სამხრეთში იმის გამო, რომ მათი გამართულობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია სამხრეთის მიერ ცნობილი არაა. მაგრამ ყველა ეს ტექნიკური სირთულე გვერდზე რომ გადავდოთ, ჩემის აზრით, კვიპროსის თურქულ თემთან ვაჭრობის უმთავრესი პრობლემა კვლავაც ბერძნულ თემში ტაბიურების თემაა. დღესაც კი, ბერძნული თემის სუპერმარკეტებში თაროებზე თურქული თემის ერთი დასახელების ნაწარმაც კი ვერ ნახავთ, ბერძნული თემის გაზეთები კი კვლავაც უარს აცხადებენ თურქული თემის კომპანიების რეკლამის დაბეჭდვაზე. მეტიც, ის კვიპროსელი ბერძნები, ვინც კვიპროსელ თურქებთან ვაჭრობს, ამ ფაქტის მიჩქმალვას ცდილობენ; არ სურთ, ცნობილი გახდეს, რომ მათი კომპანია თურქულ თემთან ვაჭრობს. ესაა ზოგადი სურათი.

**ნმ:** შეიძლება თუ არა «მწვანე ხაზის რეგულაციის» მიმართ დამოკიდებულება მისი შემოღების შემდეგ? კვიპროსის თურქული თემის ბიზნესმენები კვლავაც სასარგებლოდ მიიჩნევენ მას? კვლავაც დადებითად თუ აღიქმება «მწვანე ხაზის რეგულაცია»?

**კბ:** ღიად წინამდებელი არავინაა, მაგრამ კვლავაც საკმაოდ შეზღუდულ საშუალებად აღიქმება. «მწვანე ხაზის» გავლით ვაჭრობას ჩვენს ეკონომიკაში საკმაოდ მწირი შენამატი შეაქვს. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკა, ძირითადად მომსახურებაზეა ორიენტირებული, ორიგინალურ ნაწარმსა და ნედლეულს კი სამხრეთში ვიწრო

ბაზარი აქვს. რამეს რომც აწარმოებდე, ვერ დაამუშავებ და ვერ გაყიდი – არსებული ფონი ვაჭრობას ხელს არ უწყობს. თუმცა, არიან ბიზნესმენები, ვინაც დაამყარა ბიზნეს ურთიერთობა და ათ წელიწადზე მეტია ყიდის მასალებს სამხრეთში. გვიხარია, რომ «მწვანე ხაზი» არსებობს და ვაჭრობის საშუალებას იძლევა, მაგრამ მეტად შეზღუდულ საშუალებად აღვიქვამთ. მეტიც, ევროკავშირის რეგულაციებს უკვე ყოველთვის ოდნავი ეჭვის თვლით ვუყურებთ, რადგანაც უწინ შეუსრულებელი დაპირებებს გვახსენებს. 2004 წელს, გაეროს გეგმას დასტური რომ მივუგეთ, ევროსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც კვიპროსის თურქული თემის იზოლაციას ორ-სამ დღეში მოუღებდა ბოლოს. ეს ვალდებულება იყო, მაგრამ ათი წელია მას მერე გასული და დიდად არაფერი შეცვლილა. აზრიანი ცვლილებების მოსაგებად, «მწვანე ხაზის რეგულაცია» საკმარისი არ არის.

**ნმ:** **თურქულმა თემმა საპასუხო ზომები მიიღო «მწვანე ხაზის რეგულაციის» საპირწონედ, საკუთარი ბაზრის დასაცავად. რას წარმოადგენს ეს ზომები და ეფექტიანია თუ არა?**

**კბ:** 2003 წელს თურქული თემის მიერ სასაზღვრო-გამშვები პუნქტების შემოღებამდე, ორ თემს შორის კონტაქტი თითქმის არ იყო. ერთი წლის თავზე, ძალაში შევიდა «მწვანე ხაზის რეგულაცია», ასე რომ, ნოლიდან მოგვიწია ვაჭრობის დაწყება. «მწვანე ხაზის» შემოღებასთან ერთად, თურქულ თემშიც მივიღეთ ახალი კანონი, საპირისპირო მართულებითაც რომ ყოფილიყო ვაჭრობა შესაძლებელი. შესაბამისად, მყიდველი ვალდებულია, მიმართოს სავაჭრო სამმართველოს და მიიღოს ნებართვა. რახან მხოლოდ ორიგინალური ნაწარმის გაყიდვა შეგვიძლია, დღესდღეობით, გარე სამყაროსთან მხოლოდ თურქეთი გვაკავშირებს, რადგანაც ჩვენი საგარეო ვაჭრობა თურქული პორტების გავლით ხდება. ჩვენი კონკურენტული უპირატესობის უდიდესი წილი იკარგება, რადგანაც საერთაშორისო ბაზრებზე ხელი არ მიგვიწვდება, გადაზიდვის ფასი კი მაღალია ჩვენი პორტების გამოყენების მიმართ, ბერძნული თემის აგრესიული პოლიტიკის გამო. ყოველივე ერთად იმას ნიშნავს, რომ ორივე თემის ვაჭართა შორის არასამართლიანი კონკურენციაა, რადგანაც ბერძნული თემი აღიარებისა და ევროკავშირის წევრობის ყველა სარგებელს იმკის. ამიტომაც გახდა ჩვენი შიდა სამართლებრივი აქტები «მწვანე ხაზის რეგულაციის» «ანარეკლი» და სავაჭრო სამმართველოს ნებართვაცაა საჭირო, არათანაბარი კონკურენციის პირობების გამოსასწორებლად.

**ნმ:** **ამ წყობაში, არაღიარების საკითხი როგორ ფიგურირებს? ურთიერთობენ თუ არა კვიპროსელი ბერძნები თურქული თემის ხელისუფლების ორგანოებთან, როგორც უცხო ქვეყნის ორგანოებთან?**

**კბ:** თუკი კვიპროსელი ბერძენს სურს გაყიდოს რამე თურქულ თემში, სამხრეთიდან ჩრდილოეთით, კვიპროსელი თურქი პარტნიორი უნდა მოიძიოს. ამის შემდეგ, კვიპროსელი თურქი მყიდველი მიმართავს თურქული თემის სავაჭრო სამმართველოს ნებართვის მისაღებად. მიმართვის ფორმას თან უნდა ახლდეს ბერძნული თემის პალატის – კვიპროსის სავაჭრო და სამრეწველო პალატის – დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც დამტკიცდება, რომ გასაყიდი საქონელი მართლაც კუნძულის სამხრეთში იქნა წარმოებული. თუმცა, თუკი თურქული თემის სავაჭრო სამმართველომ ნებართვა არ გასცა, თუნდაც ბერძნული თემში წარმოებულ, ადგილობრივ ნაწარმზე იყოს საუბარი, გარიგება არ შედგება. რადგანაც ბერძნული თემის მთავრობა ჩრდილოეთს ცალკე სახელმწიფოდ არ აღიარებს, სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი ვაჭრობა საშინაო ვაჭრობად აღიქმება და დღგ-თი იბეგრება. მაგრამ, რადგანაც ჩრდილოეთის მთავრობა ამ ვაჭრობას იმპორტად აფასებს, ჩვენი უფლებამოსილი ორგანოები აგრეთვე აკისრებენ დღგ-ს, რაც ამცირებს სამხრეთიდან შემოტანილი საქონლის კონკურენტუნარიანობას.

**ნმ:** **ანუ, ბერძნული თემის ბიზნესმენს არ სჭირდება თურქული თემის სავაჭრო სამმართველოში მიმართვა ნებართვის მისაღებად?**

კბ: არა, მაგრამ მყიდველს – თურქული თემის ბიზნესმენს – უწევს. ნებართვის გარდა, ბერძნული თემის პალატამაც უნდა გასცეს დოკუმენტი. მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩრდილოეთში შემოსულ ყველანაირ იმპორტზე პასუხისმგებელი და ნებართვის გამცემი ორგანო სავაჭრო სამმართველოა, თუმცა პროცედურაში სხვაობა ისაა, რომ თითოეულ გარიგებას ცალკე ნებართვა სჭირდება.

**ნმ: თქვენ ბრძანეთ, რომ «მწვანე ხაზის რეგულაცია», ბიზნესის კუთხით, უმნიშვნელოა. ამას ეკონომიკური მიზეზები უდევს საფუძვლად თუ რამე სხვა დაბრკოლებებიც არსებობს? თქვენი აზრით, შეიცვლება თუ არა ეს მდგომარეობა?**

კბ: რაღაცის გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლება. ამიტომაც ვცდილობთ «მწვანე ხაზის» გავლით ვაჭრობის გამარტივებას. მაგალითად, ჩვენი შეთავაზება იყო, საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე წარმოებული საქონელიც ჩართულიყო ვაჭრობაში – საფრანგეთიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ა.შ. რომ შემოგვეტანა რამე და შეგვძლებოდა «მწვანე ხაზის» გავლით მისი სამხრეთში გაყიდვა, თუკი კარგ მყიდველს მოვიძიებდით და სარგებლიან გარიგებას დავდებდით მასთან. ასევე, ვითხოვდით სურსათის ჯანდაცვისა და ჰიგიენის თვალსაზრისით შემოწმების კარგი მექანიზმის შემუშავებას, გადამუშავებული სურსათის გაყიდვა რომ შეგვძლებოდა სამხრეთში. ჩვენ არ გვაქვს დიდი მრეწველობის მქონე ეკონომიკა, მაგრამ გვაქვს ისეთი სასურსათე ნაწარმი, რაც სამხრეთში გაიყიდებოდა. ჯანდაცვის სერტიფიცირების განსაკუთრებული პროცედურები რომ არსებულობდა, შევძლებდით ასეთი ვაჭრობის მექანიზმის ამუშავებას. დღესდღეობით, შეგვიძლია სამხრეთს თევზი და კარტოფილი მივყიდოთ, რაც ევროკავშირის სანიტარულ სერტიფიცირებას საჭიროებს. ასეთი წვრილმანები თავად რეგულაციაში გაწერილი არაა, მაგრამ აღსრულების მხრივ პრობლემაა. იგივე ენება კომერციული დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებებსაც. სურვილი რომ იყოს, გაუმჯობესების საშუალება მოიძებნებოდა.

**ნმ: თურქული თემის ეკონომიკის რომელმა დარგმა შეიძლება ნახოს მეტი სარგებელი «მწვანე ხაზის რეგულაციის» გამოყენებითა და სამხრეთთან თუ სამხრეთის გავლით ვაჭრობით?**

კბ: ამჟამად, მრავლად გვაქვს სამშენებლო მასალა, თევზი, ნედლი და დაუმუშავებელი ბოსტნეული და გარკვეული ხელნაკეთი ნაწარმი, რაც ჩვენი საქონელბრუნვის უდიდეს ნაწილს შეადგენს. გადამუშავებული სასურსათე პროდუქციისთვის კარის გაღება არსებული ბაზრებისთვის დამატებით შესაძლებლობებს შექმნიდა.

**ნმ: პირდაპირ ვაჭრობაზე რას იტყვით – კვლავაც არსებობს ასეთი შესაძლებლობა? რამე წინსვლას თუ ქონია ადგილი?**

კბ: პირდაპირი ვაჭრობის საკითხი ბერძნული თემის მიერ უაღრესად დაიმუხტა პოლიტიკურად იმ საბაბით, რომ მას თურქული თემის მთავრობის სტატუსის გაძლიერება და აღიარება შეიძლებოდა მოყოლოდა. სინამდვილეში, იგი თურქული თემის ნაწარმის ევროკავშირის ბაზრებზე წვდომის რეგულირების მიზანს ემსახურებოდა. ეს საკითხი ევროკავშირში სამართლებრივი ომის საგნადაც კი აქციეს და არც ძალაში შესულა, რადგანაც, ევროკავშირში გადაწყვეტილებები ერთხმად მიიღება. ლისაბონის ხელშეკრულების შემდგომ, რომელიც ხელმოწერაც ნიშნავდა, რომ კომერციულ საკითხებზე ერთსულოვნება აღარ იყო მოთხოვნილი, კომისიამ პარლამენტს გადასცა პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია, რომ სავაჭრო-სამართლებრივ ნორმას, ყველა ქვეყნის დასტური არ ესაჭიროებოდა და ამგვარად, ფაქტობრივად გამოაცალა ხელიდან კვიპროსის ბერძნულ თემს ვეტოს უფლება. ამიტომ, ბერძნულმა თემმა სამართლებრივ სამსახურს მიმართა განცხადებით, რომ ეს საკითხი კომერციული ხასიათისა არ იყო, არამედ კვიპროსის

ევროკავშირთან მიერთების ხელშეკრულების მე-10 ოქმთან<sup>136</sup> იყო დაკავშირებული, რომლის ფარგლებშიც, ჩრდილოეთ ნაწილში *acquis communautaire* რეჟიმით დროებით შეჩერებული იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი თქმით, პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია ერთსულოვნებას ითხოვდა. რაზან ამ საკითხზე შეთანხმება ვერ მოხერხდა, პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია, ამჟამად, შეჩერებულია თავჯდომარეების კონფერენციის დონეზე – პარლამენტის იმ მექანიზმისა, რომელიც წყვეტს, თუ რომელი საკითხი იქნება პარლამენტის მიერ განხილული და რომელი არა. რეალობაში, ეს საკითხი ახლა პოლიტიკური ხასიათის საკითხადაა ქცეული და კვიპროსის ბერძნული თემის პოლიტიკურ თანხმობას მოითხოვს.

**ნმ:** **პიპოთეტურად, პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია რომ ყოფილიყო ძალაში შესული, რა შედეგს მოუტანდა ეს თურქული და ბერძნული თემების ურთერთობას? აქცევდა თუ არა ზურგს თურქული თემი ბერძნულს, არჩევდა რა ევროკავშირის დანარჩენ ნაწილთან ვაჭრობას?**

**კბ:** სამწუხაროდ, ორ თემს შორის რეგისტრირებული ეკონომიკური ურთიერთქმედება მეტად მწირია. «მწვანე ხაზის რეგულაცია», ყოველწლიურად, საქონელბრუნვის 3-დან 4-დე მილიონ ევროს აღწევს. უკუმინართულებით მიმდინარე ოფიციალური ვაჭრობა, აგრეთვე, ნაწილობრივ შეზღუდულია, დღგ-თი ორმაგი დაბეგვრის გამო. ბერძნული თემისთვის ძირითადი სარგებელი თურქული თემის მომხმარებლების ყოველდღიურ საყიდლებზე და ფულის სახარჯად სამხრეთში სიარულია. ბერძნული თემის წინააღმდეგობა ეკონომიკური არაა, უფრო პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. ფაქტობრივად, ვფიქრობ, თურქულ თემს დანარჩენ მსოფლიოსთან უკეთესი ურთიერთობა რომ ქონდა და პირდაპირ ევაჭრა ევროკავშირთან, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს გაზრდიდა და კუნძულის შიგნით თანამშრომლობასაც უფრო ნაყოფიერს გახდიდა. ამას შეიძლება ახალი, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი სფეროების აღმოჩენა მოყოლოდა. შეიძლება ვიპოვოთ კიდევ ახალი ბაზარი და ერთად განვაკითხოთ.

თურქული თემის მიერ მისი ნაწარმის ბორნით პირდაპირ ევროკავშირში გაგზავნის იდეა, ძალიან მიმზიდველია. დღესაც კი შეგვიძლია ევროპისათვის საქონლის მიყიდვა. პრობლემა სხვაა – ის, რის გადაწყვეტასაც პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია ისახავდა მიზნად – რა ბედი ეწევა ჩვენ ნაწარმს, როდესაც ევროპის სანაპიროს აღწევს. ამჟამად, ჩვენი საქონელი მესამე ქვეყნიდან შემოსულ ნაწარმადაა აღქმული და შეღავათიანი მოპყრობით არ სარგებლობს, რაც მის კონკურენტუნარიანობას ამცირებს. პირდაპირი ვაჭრობის რეგულაცია მოგვცემდა საშუალებას, ჩვენი საქონელი ევროკავშირის წარმოშობის მქონე ნაწარმად განხილულიყო, ეს ჩვენ ხარჯებსაც შეამცირებდა და საქონელსაც გაუზრდიდა კონკურენტუნარიანობას.

**ნმ:** **ახლა მოსაკრებლებისა და ტარიფების იმ 15 თუ 20%-იან დაკლებაზე ვსაუბრობთ, რაც პირდაპირი ვაჭრობის რეგულაციის ამოქმედებას უნდა მოჰყვეს? როგორ შეაფასებდით პირდაპირი ვაჭრობის მოგების პოტენციალს?**

**კბ:** არანაირი ციფრები არ გვაქვს. 1994 წლამდე, შეგვიძლო ჩვენი ნაწარმის გაყიდვა ისევე, როგორც ამას ევროპული საზოგადოების (EC) ნებისმიერი სხვა ქვეყანა აკეთებდა. კვიპროსის ბერძნულმა თემმა სარჩელი შეიტანა ევროპულ სასამართლოში იმ საფუძველზე, რომ ჩვენი ხელისუფლების ორგანოების ნებისმიერი კომერციული სერტიფიცირება არ უნდა იქნას ცნობილი და მიაღწიეს კიდევ იმას, რომ ჩვენი ექსპორტი ვეღარ სარგებლობდა იმ სავაჭრო რეჟიმით, რომლითაც ადრე ვსარგებლობდით.

<sup>136</sup> საბჭოს რეგულაცია (ევროსაბჭო) No 866/2004 მიერთების აქტის მე-10 ოქმის მე-2 მუხლის მიერ დაწესებული რეჟიმის თაობაზე. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32004R0866R%2801%29>. "მწვანე ხაზის" განაცხადის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: <http://www.ktto.net/wp-content/uploads/2014/12/mensebelgesiappli.pdf>



ამ გადაწყვეტილებამ სერიოზო-ული დარტყმა მიაყენა ჩვენს საგარეო ვაჭრობას, რადგანად, იმ დრომდე, ევროპა ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორი იყო. ეკონომიკური ზარალის გარდა, ამ გადაწყვეტილებამ ძირი გამოუთხარა თურქული თემის მეწარმეების შესაძლებლობას, ახალი პრაქტიკის, ტექნოლოგიებისა და ევროპული ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად ემოქმედათ. პირდაპირი რეგულაცია არ უნდა განვიხილოთ, როგორც უბრალოდ შემოსავლის მომტანი ინსტრუმენტი. საჭიროა მივიღოთ ასევე მხვედველობაში შემდეგი ფაქტორები: რაპოტენციალს შეიცავს ის, როგორ გაზრდის ის თურქული თემის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და როგორ დაძლევს ორ თემს შორის არსებულ ეკონომიკურ სხვაობას, მანამ სანამ კონფლიქტი არ იქნება ბოლომდე მოგვარებული. ეს რეგულაცია დაეხმარებოდა ჩვენს მრეწველებს, გაეზარდათ საკუთარი სტანდარტები და მეწარმეობის განვითარებას მისცემდა ბიძგს, შექმნიდა რა ჩვენი თემისთვის ახალ შესაძლებლობებს.

**ნმ: ჩრდილოეთით თურქული თემის ბიზნეს და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რა უფრო მომგებიანია, როგორც ბაზარი – ევროკავშირი თუ თურქეთი?**

კბ: არ უნდა დავივიწყოთ, რომ თურქეთიც საბაჟო კავშირის წევრია, ასე რომ ევროკავშირის ორგანოები და წესები ჩვენსა და თურქეთს შორის ურთიერთობაზეც ახდენს გავლენას. დღესდღეობით, თურქეთთან მჭიდრო კომერციული თანამშრომლობა გვაკავშირებს, განსაკუთრებით ჩვენი ეკონომიკის ძირითად დარგებში – ტურიზმსა და უმაღლეს განათლებაში. პირდაპირი ვაჭრობის რეგულაციის ამოქმედებას თურქეთის მიმართულებით ჩვენი ექსპორტისთვის დადებითი შედეგი უნდა მოყვეს.

**ნმ: არსებობს თუ არა რაიმე განსაკუთრებული შეთანხმება თურქეთსა და ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას (TRNC) შორის?**

კბ: ორ ქვეყანას შორის საბაჟო კავშირი არ დამყარებულა. თუმცა თურქეთი ევროკავშირთანაა საბაჟო კავშირში, ისევე, როგორც კვიპროსის სამხრეთი ნაწილი. თვალსაზრისით ხდება, რამდენად უჭირს ამ ორ მხარეს შორის ჩვენს ეკონომიკას.

**ნმ: ანუ, შესაძლებელია თუ არა თურქული თემის ნაწარმის ევროკავშირში თურქეთის გავლით გატანა, წარმოშობის სერტიფიკატის შეცვლის გზით?**

კბ: თურქეთს უწევს ევროკავშირთან საბაჟო კავშირის შეთანხმების პირობების დაცვა, რაც ნიშნავს, რომ იგივე წესები ვრცელდება თურქეთში გატანილ ჩვენ ნაწარმზეც. თურქეთს შეუძლია ჩვენი ნაწარმის ნაციონალიზაცია ახალი საბუთების გაცემის გზით მერსინში და ჩვენი ვაჭრობის ნაწილის რეგულაცია სწორად ასე ხორციელდება. ამ სისტემის უდიდესი სისუსტე ისაა, რომ კონკურენტუნარიანობას გვაკლებს, გვიზრდის რა გადაზიდვისა და ბიუროკრატიის ხარჯებს.

**ნმ: მომსახურებას რაც შეეხება, «მწვანე ხაზთან» რამე კავშირი აქვს? “მწვანე ხაზის” გავლით მომსახურების გაყიდვა თუ შეგიძლიათ?**

კბ: ასე ვთქვათ, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე (IT) თუ ვსაუბრობთ, ჩვენი მომსახურების გამწევი კომპანიებისთვის საბაზრო პოტენციალი დიდი არაა. კვალიფიციური მუშაკებისთვის დასაქმების შესაძლებლობა კი არსებობს, მაგრამ ის საკმაოდ შეზღუდულია მას შემდეგ, რაც ბერძნულ თემს ეკონომიკური კრიზისი დაატყდა თავს. ტურისტული მომსახურების გაყიდვა იმ ტურისტებზე, რომლებიც სამხრეთის პორტებიდან შემოდიან ან ბერძნული მხარისაკენ მიემართებიან, ასევე არც თუ სახარბიელოა, რადგანაც ჩვენი ტურისტული დარგი ბერძნული თემის ადმინისტრაციის მოწონებას ვერ იმსახურებს, რაც გამოწვეულია შესაძლო კონკურენციისა და საკუთრების უფლების გარშემო წარმოშობილი დავების გამო,

რაც ზოგიერთი ჩვენი სასტუმროს ადგილმდებარეობას უკავშირდება. სამხრეთში, ლარნაკას აეროპორტში ჩამოსული ხალხის ნაწილი ნამდვილად გადმოდის თურქული თემის ტერიტორიაზე, რჩება ჩვენს სასტუმროებში, ყიდულობენ კიდევ რაღაცას, მაგრამ ყოველივე ამას დიდი მოგება არ მოაქვს. ტურისტების უმრავლესობა ჩრდილოეთით მდებარე ერკანის აეროპორტში ჩამოდის. ევროკავშირის მოქალაქეს შეუძლია ჩამოვიდეს კუნძულზე ნებისმიერი პორტის გავლით და მთელს კუნძულზე ადვილად იმოგზაუროს. მაგრამ, ციფრებს თუ გადავხედავთ, მგონი, ჩვენი ტურისტების და სტუდენტების უმრავლესობა მაინც ჩრდილოეთიდან შემოდის.

**ნმ: ინერციის შეგრძნებას ხომ არ გიჩენთ ეს მდგომარეობა?**

კბ: ნაწილობრივ. სტუდენტი თუ ხართ მეტი ალბათობაა, რომ ჩრდილოეთიდან შემოხვალთ, რადგანაც ორი წლის განმავლობაში მოგიწევთ აქ ყოფნა და საჭიროა ყველა საბუთი წესრიგში იქონიოთ ჩრდილოეთის წესების შესაბამისად. სამხრეთიდან შემოსვლამ კი, შეიძლება პრობლემა გაგიჩინოთ. ჩვენი ტურისტული სააგენტოები ცდილობენ, ყველა მიმართულებიდან შემოყვანონ ტურისტი, მაგრამ მგონი, ყველა უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, «მწვანე ხაზის» გადაკვეთა როცა არ უწევთ. ბერძნული თემის ადმინისტრაცია ჩვენი ტურიზმის წინამძღოლად მომართული, ადრე ნახსენები მიზეზების გამო. რა თქმა უნდა, კვლავაც აგრძელებს არსებობას ის მოძველებული რწმენა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის გამოყოფის ასალაგმად ჩვენს ეკონომიკას არ უნდა მიეცეს გასაქანი. სინამდვილეში, ბერძნული თემის მიერ დაწესებული ეკონომიკური ემბარგოები კიდევ უფრო აშორებს მათ თურქულ თემს.

**ნმ: მაგალითად, კვიპროსელ თურქ პროფესორებს თუ შეუძლიათ სწავლება და საკუთარი მომსახურების მიყიდვა ბერძნული თემის უნივერსიტეტებისათვის, ან IT კომპანიებს ფამაგუსტადან თუ შეუძლიათ საკუთარი მომსახურების ბერძნული თემის კლიენტებისთვის მიყიდვა?**

კბ: ვცდილობთ, გავზარდოთ თემებს შორის ორმხრივი ბიზნეს თანამშრომლობა. დარწმუნებული ვარ, რომ გარკვეული ბიზნეს კავშირები უკვე არსებობს, მაგრამ მსგავსი მომსახურების აღმოჩენა უწინდელივით ადვილი აღარაა. მოდიხარ, რაღაცას აკეთებ, ამაში ფულს იღებ, მაგრამ არსებული სისტემა არაა იმაზე მომართული, რომ ხალხი ვაჭრობაში მეტი ჩართულობის სასურველობაში დაარწმუნოს. ინფორმაციის მიღება ყოველთვის პრობლემაა. არ აღიარების საკითხი ყველაფერს უშლის ხელს, ანგარიშ-ფაქტურებით დაწყებული და საბუთების აღიარებით დამთავრებული. ეს თემთა შორის ბიზნეს თანამშრომლობას ხელს სულაც არ უწყობს, მიუხედავად იმისა, რომ ორი პალატა სწორად ამისთვის იღვწის.

**ნმ: არიან ადამიანები, ვისი აზრითაც მთელი ეს «მწვანე ხაზი» თამაშია, რომ ეკონომიკური გამართლება მას არ გააჩნია, ბაზრის მიერ არ იმართება და პოლიტიკური მიზეზით არსებობს. თქვენ როგორ შეაფასებდით?**

კბ: “მწვანე ხაზის რეგულაცია” საჭიროებამ მოიტანა. ჩვენ მისი პოზიტიურად გამოყენება გვსურდა. დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო სარგებლიანად შეგვიძლია მისი მოხმარება. ეს ისეთი ინსტრუმენტია, რომელსაც თითქმის არ იყენებენ და გაუმჯობესებისთვის სივრცე ბევრია. ისიც ნუ დაგვაკვიწყდება, რომ კვიპროსი პატარა კუნძულია, ბაზარიც პატარაა და ორივე ეკონომიკას თანაბარი დონის გამომუშავება აქვს. ეს ის შემთხვევა არაა, როცა ბაზრები დიფერენცირებულია, და ამ დიფერენციით სარგებლობის საშუალებას იძლევა. ალბათ, ბუნებრივი საზღვარიცაა – მცირე ტერიტორიაზე ვართ, ყველა მსგავს რაღაცას აწარმოებს და აკეთებს. ასე რომ, პოლიტიკური ხასიათისაა, სინამდვილეში, «მწვანე ხაზის რეგულაცია», საჭიროებით განპირობებული თუ ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, სხვა დისკუსიის საგანია. მიმაჩნია, რომ შეგვიძლია მისი გაუმჯობესების გზების გამოხატვა, რადგანაც ეს ერთადერთი რამ გაგვაჩნია. ბაზარიც პატარაა და ორივე ეკონომიკის გამომუშავება თანაბარია. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა ბაზრები დიფერენცირებულია, როდესაც

შესაძლებელია გამოიყენო და გაყიდო ის, რაც არა აქვს მეორე მხარეს. ამის მიზეზი არის ჩვენი ბუნებრივი საზღვრები. საერთო ტერიტორია არის მცირე, ყველა აწარმოებს მსგავს პროდუქციასა და მომსახურებას. უფრო ფართოდ თუ შევხედავთ ამ პრობლემას, ვიტყვით, რომ მის ერთხელ და სამუდამო გადაჭრაზე უნდა მივმართოთ ჩვენი ძალისხმევა. ბაზრის წილისთვის ერთმანეთთან პაექრობას, აჯობებს უზრუნველყოთ ის, რომ ყველამ იხეიროს ბაზრით. მოდით, ყველამ ვისარგებლოთ ტურიზმის სფეროსა და უმაღლესი განათლების სექტორში თანამშრომლობით.

**ნმ: როგორ ხდება აღიარება? ბოლონის სისტემაში შეხვედით?**

კბ: სამწუხაროდ, ბოლონის სისტემის ნაწილი ჩვენ არ ვართ. ეს ერთ-ერთი მიზეზია, რატომაც მიგვაჩნია, რომ კვიპროსის თურქული თემის წინააღმდეგ ემბარგოა გამოყენებული. ჩვენთვის ბოლონის პროცესის წევრობა შეუძლებელია. საფოსტო კავშირის წევრობაც აკრძალული გვაქვს; არ შეგვიძლია საკუთარი ინტერნეტ გაფართოება ვიქონიოთ. ტაივანი არაა აღიარებული ქვეყანა, მაგრამ ქვეყანას ცალკე კოდი მაინც აქვს, ინტერნეტის საკუთარი კოდიც. ყველა ჩვენი უნივერსიტეტი თურქული აკრედიტაციის სისტემის მეშვეობითაა აკრედიტებული, რომელიც საერთაშორისო აღიარებით სარგებლობს მთელს მსოფლიოში, რაც ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ გაცემული დიპლომებიც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.

**ნმ: “მწვანე ხაზის” გავლით სავაჭრო დავებზე რას იტყვით?**

კბ: არბიტრაჟის სისტემა, დღესდღეობით, არ გვაქვს. ვცდილობთ, კეთილსინდისიერად გადავწყვიტოთ ყველა დავა. იყო ახლახანს ერთი პროექტი, რომელიც დავების გადასაწყვეტად არბიტრაჟის ერთგვარი მექანიზმის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ძვირი სიამოვნებაა. ვიდრე პალატები იკვლევენ უფრო ოფიციალური სახის დავების გადაწყვეტის სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია ეს სამართლებრივი თვალსაზრისით და ეკონომიკურად რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება.

## დასკვნა

ამ ტომში მოცემულია იმ მარეგულირებელი ჩარჩოების კვლევების უნიკალური კოლექცია, რამაც ეკონომიკური მიმოცვლისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნა. მიუხედავად ამისა, რომ ჩინეთისა და ტაივანის, კოსოვოს, სერბეთისა და კვიპროსის შემთხვევები ურთიერთგანხვავებულია, საერთო მახასიათებლებიც გააჩნიათ – მაგალითად, საერთო გარე ნორმატიული და/ან (გეო)პოლიტიკური ჩარჩო, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სავაჭრო რეგულირების ინსტიტუციონალიზაცია და კერძო სექტორის მხარდაჭერა.<sup>137</sup> ამ ფაქტორებმა მოიტანა თანხმობა სამართლებრივი ნორმების თაობაზე და ხელი შეუწყო ვაჭრობის ორგანიზებას.

სამი კონფლიქტიდან არც ერთს, ახლო მომავალში, ყველა მხარისათვის მისაღები პოლიტიკურ-ტერიტორიული გადაწყვეტილება არ უწერია. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ გარკვეული წინსვლა მიღწეულია ადგილობრივი და რეგიონალური უსაფრთხოების, ადამიანის გადაადგილების თავისუფლების აღდგენისა და დაძაბული ურთიერთობების ზოგადი გაუმჯობესების თვალსაზრისით. თითოეული კონფლიქტი საკუთარი განვითარების ტრაექტორიას მიჰყვება, რაც სხვა შემთხვევებში არ მეორდება. მიუხედავად ამისა, ვაჭრობის გამარტივების გზით - როდესაც ეტაპობრივად ხდება ადამიანების, საქონლისა და კაპიტალის გადაადგილების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრა - მდგომარეობის ნორმალიზაციისკენ მიმართული ყველა ჩართული მხარისა და გარე მოთამაშის ძალისხმევა უკვე იძლევა შთამბეჭდავ შედეგს. ვაჭრობა ნელ-ნელა კარგავს პოლიტიკურ ელფერს, კონფლიქტურ სისტემებში ბრუნდება ბაზრის წესები და სავარაუდო გამოსავლის ძიების სფერო ფართოვდება. ამავდროულად, ნაკლებად პოლიტიკურად დაძაბულ გარემოში, კერძო პირებსა და საწარმოებს უჩნდებათ საკუთარი ბიზნეს ინტერესების შესრულების, სამუშაო ადგილების შექმნის, მოგების ნახვისა და ახალი ტექნოლოგიებისა და უნარების განვითარების შესაძლებლობა.

ქართულ-აფხაზურ კონტექსტში, ამ განხვავებული სტრატეგიების ანალიზმა, შესაძლებელია, საკუთარი წვლილი შეიტანოს ორივე მხარისთვის მისაღები წესების შემოღების თვალსაზრისით, ენგურის გავლით ვაჭრობის დასარეგულირებლად, კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში. ენგურის გავლით მიმდინარე ეკონომიკური ურთიერთობების შემსწავლელი კვლევები<sup>138</sup> ნათელი დასტურია რეგულირების საჭიროების მქონე ეკონომიკური კაზუსისა. დროებითი ქართულ-აფხაზური სამართლებრივი ჩარჩო განსაკუთრებით სასარგებლო შეიძლება გამოდგეს კონფლიქტის გამყოფი ხაზის გავლით მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობის დასარეგულირებლად, გახადოს ეს საქმიანობა უფრო გამჭვირვალე და დამატებითი სტიმული შექმნას სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის.

137 დაწვრილებით ინილეთ შეჯამება

138 Ibid.



**International Alert.**

346 Clapham Road, London SW9 9AP, United Kingdom

Tel +44 (0)20 7627 6800, Fax +44 (0)20 7627 6900

[info@international-alert.org](mailto:info@international-alert.org)

[www.international-alert.org](http://www.international-alert.org)

ISBN: 978-1-911080-16-9

 /InternationalAlert

 @intalert